ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
26 იანვარი სამშაბათი 2016
№ 016 (14 750) ფასი 1 ლარი

## ლევან, შეცდი!



2

# ყველაფერი აირია... თუ დალაგდა?

## სლოვაკმა ეროვნული ნაკრების მწვრთნელი გამოაცხადა





## თბილისის დინამოს იურაი იარაბეკი გაწვრთნის

გია გეგუჩაძე თბილისის „დინამოს" მწვრთნელი აღარ არის. როგორც ჩანს, ის საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ჩაიბარებს. „დინამოს" კი უკვე ახალი თავკაცი ჰყავს. ეს გახლავთ 53 წლის სლოვაკი სპეციალისტი იურაი იარაბეკი.

ფეხბურთელობისას ის რამდენიმე ნაკლებადცნობილ გუნდში თამაშობდა. ყველაზე წარმატებული პერიოდი კი ტრნავის „სპარტაკში" ჰქონდა. სამწვრთნელო კარიერა მან 2008 წელს, „იასლოვსკე ბოჰუნიცეში" დაიწყო. მას შემდეგ იმუშავა „ზლატე მორავცეში", 2013-15 წლებში კი იმავე ტრნავის „სპარტაკს" წვრთნიდა.

*„თბილისის „დინამო" დიდი კლუბია. მან თასების თასი მოიგო 1981 წელს. „დინამოს" დიდი პოტენციალი აქვს, ის ძირითადად ქართველი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული... ჩემი ხელმძღვანელობით ტრნავის „სპარტაკი" თავის დროზე შეხვდა „ზესტაფონს" და მაშინ ამ კლუბში მუშაობდა მენეჯერი, რომელიც ახლა „დინამოშია" და სწორედ მისი მეშვეობით დაინტერესდნენ ჩემით. როგორც ვიცი, „დინამოს" მწვრთნელი კარიერას ეროვნულ ნაკრებში გააგრძელებს. მქონდა კრაკოვის „ვისლას" ვარიანტიც, მაგრამ სამთვიანმა მოლაპარაკებამ შედეგი არ მოიტანა"*, - თქვა იარაბეკმა და იქვე დასძინა, რომ თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებისთვის საქარათველოს დედაქალაქში ახალი წლის შემდგომ დღეებში იმყოფებოდა.

გასულ სეზონში, ევროპა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე, იურაი იარაბეკის მიერ გაწვრთნილი ტრნავის „სპარტაკი" გეგუჩაძის დამოძღვრილ „ზესტაფონს" დაუპირისპირდა და ორი მატჩის ჯამში 3:0 გაიმარჯვა (0:0 ზესტაფონში, 3:0 ტრნავაში).

ალეკო კაკაურიძე

# დღეს ცხადაძეს გადააყენებენ?

დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი შეიკრიბება. განსახილველია ორი საკითხი - **1. საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელების შესახებ; 2. სხვადასხვა.**

დიდი ალბათობით, აღმასკომი თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, **კახა ცხადაძეს**. რა თქმა უნდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.

ქართული საფეხბურთო თემი კი ლამის 100 პროცენტითაა დარწმუნებული, რომ ცხადაძეს თბილისის „დინამოს" დამრიგებელი **გია გეგუჩაძე** შეცვლის.

ცხადია, არის მცირე ალბათობა იმისი, რომ მოვლენები სხვანაირად განვითარდეს. ქართული ფეხბურთი ისეთი ფენომენია, რომ გამორიცხვით ნამდვილად ვერაფერს გამორიცხავ...

ალეკო კაკაურიძე

მწვრთნელის ფასი



Sportall.ge-ს ფოტომონტაჟი

# რამდენად დიდია ცხადაძის ხელფასი?

2005 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ნაკრების თავკაცებში ყველაზე ცოტა ხელფასი **კახა ცხადაძეს** აქვს - თვეში 40 ათასი დოლარი (წელიწადში 480 ათასი დოლარი, ან 440 ათასი ევრო) - მაგრამ, სწორედ ცხადაძის ხელფასს მოჰყვა ყველაზე დიდი აჟიოტაჟი და, როგორც ჩანს, მისი მოხსნის საბაბიც გახდება.

თითქმის ნახევარი მილიონი დოლარი წელიწადში, ბევრია ეს თუ ცოტა? ქართული ფეხბურთი საერთაშორისო საფეხბურთო ინდუსტრიის ნაწილია (ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს), ამიტომ, ცალკე მწვრთნელის ხელფასის განხილვა და მისი მისადაგება მხოლოდ ქვეყნის მდგომარეობაზე, საერთაშორისო საფეხბურთო კონტენტის უგულველყოფით, არასწორ, პოპულისტურ ნაბიჯად მიგვაჩნია.

ვნახოთ, რა მდგომარეობაა სამწვრთნელო ხელფასებსა და ჰონორარებში დღევანდელ საფეხბურთო მსოფლიოში. დღეისათვის ყველაზე მეტ ანაზღაურებას იღებს **ხოსეპ გვარდიოლა**, რომელსაც მიუნხენის „ბაიერნში" წელიწადში 14,8 მილიონი გირვანქა აქვს (20,7 მილიონი დოლარი).

შემდეგ მოდიან **არსენ ვენგერი** და **ლუი ვან გაალი** (თუ ამ წერილის დაწერისას უკვე არ გადააყენეს). დღეისათვის მსოფლიოში 5 მწვრთნელი მაინც იღებს 10 მილიონ დოლარზე მეტს წელიწადში. ისინი ვარსკვლავები არიან და ბუნებრივია, ცხადაძეს არ ვადარებთ, მაგრამ მაინც აღვნიშნავთ, რომ გვარდიოლას ხელფასი 43-ჯერ მეტი აქვს, ვიდრე კახა ცხადაძეს.

ცხადაძე ნაკრების თავკაცია, ამიტომ სანაკრებო მწვრთნელებზე გადავერთოთ. „ფორბსმა" 2014 წლის მუნდიალზე მონაწილე 32-ვე მწვრთნელის ხელფასი გამოაქვეყნა.

ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი ჰყავდა რუსეთის ნაკრებს. იტალიელი **ფაბიო კაპელო** 11,2 მილიონ დოლარს იღებდა, ეს კი საშუალოდ რუსეთის მოქალაქეზე 763-ჯერ მეტი იყო მაშინ.

მეორე ადგილზე იყო ინგლისელთა თავკაცი **როი ჰოჯსონი** - 5,8 მილიონი დოლარი, მესამეზე - **ჩეზარე პრანდელი** (იტალია) - 4,3 მილიონი დოლარი. მომავალი მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის, გერმანიის ნაკრების თავკაცი **იოახიმ ლიოვი** მხოლოდ მე-6 ადგილზე იყო - 3,6 მილიონი დოლარით.

ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ყოველთვის ყველაზე მაღალანაზღაურებად მწვრთნელს არ მოაქვს წარმატება.

32-გუნდიან სიას რომ ჩავყვეთ, ბოლო ადგილზე ვნახავთ მაშინ მექსიკელთა ნაკრების თავკაც **მიგელ ერერას** (რომელიც მერე ჟურნალისტის ცემისთვის გააგდეს). ერერას მუნდიალამდე არც ისე დიდი ხნით ადრე დაუძახეს და მის ნაკრებს ნამდვილად არ შეურცხვენია. ყველაფერი ამისთვის კი მან ყველაზე ცოტა მიიღო - 209 ათასი დოლარი.

როგორც ხედავთ, მექსიკის ნაკრების თავკაცი ორჯერ (და მეტად) ნაკლებს იღებდა, ვიდრე ცხადაძე.

სულ კი მუნდიალის მონაწილე 32 ქვეყნიდან 7-ის მწვრთნელზე მეტია ქართველი სპეციალისტის ხელფასი: **ხორხე ლუის პინტო** (კოსტა რიკა, 440 ათასი დოლარი); **ფოლკერ ფინკე** (კამერუნი, 394 ათასი), **სტეფან კეში** (ნიგერია, 292 ათასი), **საფეტ სუშიჩი** (ბოსნია, 352 ათასი), **ნიკო კოვაჩი** (ხორვატია, 271 ათასი), **ჯეიმს კვესი აპია** (განა, 251 ათასი) და ზემოთ ნახსენები ერერა.

როდესაც ბოსნიელი **ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი** იაპონელებმა 2018 წლის მუნდიალისთვის მწვრთნელად დანიშნეს, მას 2,27 მილიონი დოლარი დაუნიშნეს ხელფასად.

შევეშვათ დალხენილ იაპონიას და მეზობლებში გავიხედოთ - ხორვატ **რობერტ პროსინეჩკის** აზერბაიჯანის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნისას წელიწადში 1,5 მილიონი დოლარი დაუნიშნეს (წყარო ხორვატიულია) ხელფასად. აზერბაიჯანის ნაკრები ჩვენსას ვერ სჯობს, ქვეყანა ჩვენზე ძალიან ბევრად დალხენილიც არ არის, მაგრამ ეროვნული ნაკრების თავკაცს სამჯერ და მეტად მეტი ანაზღაურება აქვს.

ყაზახეთის ნაკრებში **იური კრასნოჟანი** წელიწადში 2,7 მილიონ დოლარს იღებდა. მან თანამდებობა 1 იანვარს დატოვა. სამაგიეროდ, უკრაინის ნაკრების თავკაცის, **მიხაილ ფომენკოს** ხელფასი, ზოგიერთი გამოცემის მიხედვით, მხოლოდ 16 ათასი დოლარია.

გავიხსენოთ **თემურ ქეცბაია**, მას საქართველოს ნაკრებში ცხადაძეზე მეტი ხელფასი ჰქონდა, შემდეგ კი გუნდიდან წავიდა და ახლა კვიპროსის აპოელ-ის თავკაცია. კვიპროსული წყაროების ცნობით, ქეცბაიას ამჟამინდელი ანაზღაურება თვეში 42 ათასი დოლარია. ოდნავ მეტი, ვიდრე ცხადაძის.

სხვათა შორის, ცხადაძე ნაკრები ბაქოს „ინტერიდან" მოვიდა, სადაც მას დაახლოებით ისეთი ანაზღაურება ჰქონდა, როგორც ახლა აქვს.

დაბოლოს, ერთი საკითხიც - ევროპულ ქვეყნებში საფეხბურთო ჩინოვნიკებს მწვრთნელების გაშვება ძვირ სიამოვნებად უჯდებათ. წარმოიდგინეთ, რომ მათ იცავს კონტრაქტი და ხშირ შემთხვევაში, კონტრაქტით გათვალისწინებული სრული თანხის დაფარვა უწევთ, ამას კი ახალი მწვრთნელისთვის მისაცემი ანაზღაურება ემატება. აქ კი? დღეს ისე ჩანს, რომ გათავისუფლების შემთხვევაში, ცხადაძეს მაქსიმუმ ზაფხულამდე შეეძლება ხელფასის აღება. ნუთუ, ჩვენთან მწვრთნელებს კონტრაქტი არ იცავს?

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## კახა ცხადაძე

# ლევან, შეცდი!

**საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ ერთხელაც გამართა პრესკონფერენცია და ძირითადად ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან კობიაშვილის ბრალდებებს უპასუხა...**

### არ გადავმდგარვარ!

- მე ლევან კობიაშვილისთვის არასოდეს არანაირი ზიანი არ მიმიყენებია. უბრალოდ, მან ძალიან არასწორი ფორმა აირჩია. ლევანმა არაერთხელ მომაყენა შეურაცხყოფა, მაგრამ ახლა მე მისთვის პასუხის გაცემას არ ვაპირებ. უბრალოდ, მინდა, შეცდომა აღარ დაუშვას...

დასხდნენ და ლარებში დამითვალეს ხელფასი. ეს არის სიბინძურე და მანიპულირება. კონტრაქტში არ წერია პუნქტი, რომ უნდა იყოს დაცული კონფიდენციალურობა და გაასაჯაროვეს ყველაფერი...

მიაჩნდათ და მიაჩნიათ, რომ ამით ზარალს მიაყენებენ კახა ცხადაძეს. პირიქით, ამით თავადვე დაზარალდნენ. თუ ვინმე დარჩა წაგებული, ეს უდავოდ ლევან კობიაშვილია...

მე არ გადავმდგარვარ! დაველოდოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომას და ვნახოთ, რას გადაწყვეტს ის. შეიძლება, საკითხი იურიდიულ ჭრილში გადავიდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა დაველოდოთ აღმასკომის ვერდიქტს...

### ციფრები, ციფრები...

- უნდა ვთქვა, რომ კონტრაქტი, რომელსაც მოვაწერე ხელი, გათვლილია დოლარებში, ან მის ეკვივალენტ ლარებში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ნაკრებში დასაქმებულ მწვრთნელთაგან ყველაზე დაბალი ხელფასი მე მაქვს. ის წელიწადში 600-700 ათასი დოლარით ნაკლებია ჩემი წინამორბედების ანაზღაურებაზე... ის თვეში 100-120 ათასი ევრო იყო, ჩემი ხელფასი კი არის 40 ათასი დოლარი თვეში. როგორც იცით, მე საჯაროდ განვაცხადე, რომ თანახმა ვიყავი, 25 პროცენტით შემემცირებინა ჩემი ანაზღაურება...

> ...ლევან კობიაშვილის მხრიდან ბევრი შეურაცხყოფა მოვისმინე. თუ ვინმე მეტყვის, რომ მე ერთხელ მაინც მიმიყენებია შეურაცხყოფა მისთვის, ბოდიშს მოვიხდი. მივმართავ მას: ლევან, შენ შეცდი! ბოლოს და ბოლოს, შენზე ბევრად უფროსი ვარ!..

ბონუსური ანუ წახალისების სისტემა არის ის, რომ რაც გაქვს ხელფასი, იმ თანხას უნდა დაემატოს კიდევ გარკვეული თანხა და არა ისე, რომ განახევრდეს ხელფასი. ეს ძალიან კარგად ახსნა თავის გადაცემაში სპორტულმა კომენტატორმა ლევან სალუქვაძემ. ალბათ, ღიმილიც კი მოგგვარათ, ისე მახვილგონივრულად თქვა ყველაფერი...

### რა შესთავაზა ცხადაძეს ფედერაციამ?

- ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან იყო ასეთი შეთავაზება: ან დათანხმდი ჩვენ მიერ შემოთავაზებულ საბონუსო სისტემას, ან 200 ათას დოლარს მოგცემთ და გაგიშვებთ საქართველოს ნაკრებიდანო...

თან მითხრეს, ამის სრული უფლება გვაქვსო. მე ვუთხარი, გადაწყვეტილებას მარტო ვერ მივიღებ, ჩემი სამწვრთნელო შტაბის წევრებს უნდა დაველაპარაკო-მეთქი. არ ვარ ის კაცი, რომ ნაკრების სამწვრთნელო შტაბისგან დამოუკიდებლად მიმეღო გადაწყვეტილება...

სხვათა შორის, ბაქოს „ინტერიდან" მყავს ნაკრებში ჩამოყვანილი ვიდეოანალიტიკოსი. მიმაჩნია, რომ ის ჩვენთვის საჭირო საქმეს აკეთებს. პირადად ჩემი ხელფასიდან ვაძლევ მას 1000 დოლარს...

მოკლედ, ამ საკითხს მე მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ ვერ გადავწყვეტდი. რაც შემეძლო, გავაკეთე. 6 თვის განმავლობაში ვიმუშავე უფასოდ და როგორც წეღან ვთქვი, მზადყოფნა გამოვთქვი, 25 პროცენტით დამეკლო ხელფასი...

იმ დროს კობიაშვილი არ იყო საქართველოში. მივწერე ტელეფონზე შეტყობინება. ვუთხარი, ჩამოდი და მერე განვიხილოთ ეს საკითხი, არ არის იოლი თემა-მეთქი. ეს იყო და ეს...

ჩემ მიერ აღებულ სესხზეც ისაუბრა ლევან კობიაშვილმა. გასული წლის აპრილში ვთხოვე ფეხბურთის ფედერაციას, რომ მოეცა სესხი 100 ათასის ოდენობით. ავიღე ეს სესხი და ახლა ის ჩემი ხელფასიდან იჭრება.

ლევან კობიაშვილის თავდაპირველი განცხადებები ყველას გახსოვთ. პოსტზე მოსვლამდე ასე ამბობდა - ვინც არ უნდა გახდეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, კახა ცხადაძე ნაკრების მთავარი მწვრთნელი უნდა იყოსო...

მერე თქვა, რომ ჩემი მუშაობა აკმაყოფილებდა და არანაირი პრეტენზია არ ჰქონდა. ახლა კი ფედერაცია ამბობს, რა შედეგი ჰქონდა ცხადაძეს, ნაკრებმა ციკლი მეხუთე ადგილზე დაასრულაო...

### მინდა, ოცნება ავისრულო...

- მე ვალდებული ვარ თქვენ წინაშე, ქართველი გულშემატკივრების წინაშე და მინდა, ყველამ იცოდეთ სიმართლე, რა მოხდა და როგორ მოხდა. მე რომ ნაკრებში მოვედი, ამ ციკლისთვის არავის არაფერს შევპირებივარ...

უნდა ჩაყრილიყო მომავლის საფუძველი კარგი გუნდისთვის. მე მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ჩემი კვალიფიკაცია და ფეხბურთელების კონტინგენტი მაძლევდა იმის საშუალებას, რომ საქართველოს ნაკრები გასულიყო, სულ მცირე, მესამე ადგილზე. ეს პუნქტი შევიდა კიდეც ჩემს კონტრაქტში...

როცა ფეხბურთის ფედერაციასთან გავაფორმე ხელშეკრულება, შესარჩევის წილისყრა არ იყო შემდგარი. წილისყრის მერე ჩვენ ყველამ ერთად მივიჩნიეთ, რომ შეგვიძლია არათუ მესამე ადგილზე გასვლა, არამედ პლეი ოფის საგზურისთვის ბრძოლაც...

ჩემი მთავარი სპორტული ოცნება იყო, საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში. კი ვითამაშე ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ ეს იყო სხვა ქვეყნის სახელით. მოქმედი ფეხბურთელობისას ვერ მივაღწიე ამას. რას ვიზამთ, თუ არ დამცალდა ჩემი ოცნების ასრულება, კიდევ არის შანსი და ძალიან მინდა, რომ ოცნება ავისრულო. დაბრუნებას არ გამოვრიცხავ.

### არ ჩაერიოთ!

- ჩემში ღიმილს იწვევს ის ფაქტი, რომ, თურმე, ვურეკავ ფეხბურთელებს და ვთხოვ მათ, მხარი დამიჭირონ. ეს არის სრული აბსურდი! რაც ბოლო დღეებში ხდება, ხდება უშუალოდ ფეხბურთელების ინიციატივით.

საქართველოს ეროვნული ნაკრები არის ძალიან შეკრული, ერთიანი გუნდი და ეს ძალიან მახარებს. საქართველოს ნაკრები არც კახა ცხადაძისაა, არც ლევან კობიაშვილის, არც პეტრესი და არც პავლესი...

ამიტომ, მინდა, ფეხბურთელების მისამართით ერთი განცხადება გავაკეთო. საერთოდ აღარ ჩაერიოთ ამ საკითხში. იფიქრეთ საკუთარ კარიერაზე, საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე... ნაკრები ეკუთვნის მთელ ქვეყანას, გულშემატკივარს...

სამწუხაროდ, ლევან კობიაშვილის მხრიდან ბევრი შეურაცხყოფა მოვისმინე. თუ ვინმე მეტყვის, რომ მე ერთხელ მაინც მიმიყენებია შეურაცხყოფა მისთვის, ბოდიშს მოვიხდი. მივმართავ მას: ლევან, შენ შეცდი! ბოლოს და ბოლოს, შენზე ბევრად უფროსი ვარ!..


კახა ცხადაძე

### სახლიდან ხომ არ მოიტანს ფულს?!

- გეტყვით, საიდან წარმოიქმნა კონფლიქტი სპორტის მინისტრ ტარიელ ხეჩიკაშვილთან. ახლა ამბობენ, კახა ცხადაძე ქართული კლუბების დაფინანსებას უშლის ხელსო...

არადა, გაიხსენეთ ჩემი ყველა ინტერვიუ, სანამ მწვრთნელად მოვიდოდი და შემდეგაც. ყველგან ვამბობდი - საქართველოს ნაკრები ძლიერი რომ იყოს, აუცილებლად საჭიროა ძლიერი ეროვნული ჩემპიონატი...

ჩემი მოთხოვნა იყო სპორტის სამინისტროს მიმართ, რომ მეტი თანხით დაეფინანსებინათ ფეხბურთის ფედერაცია. სწორედ აქედან წამოვიდა პირველად კონფლიქტი...

რაც შეეხება იმას, თითქოს მე ვთქვი, რომ ლევან კობიაშვილი ვერაფერს წყვეტს, ესეც აბსურდია. ეს მე არ მითქვამს. მე ვთქვი, რომ ფეხბურთის ფედერაცია ფინანსურად დამოკიდებულია სპორტის სამინისტროზე...

სპორტის მინისტრთან დაკავშირებულ განცხადებას რაც შეეხება, რომ ის მანქანებს ყიდდა, ეს არ იყო ჩემი მხრიდან კორექტული განცხადება.

დღესაც ვამბობ, რომ სპორტის სამინისტროს პოზიციაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. საჭიროა, ფეხბურთის ფედერაციის დაფინანსება გაიზარდოს. რას იზამს კობიაშვილი, სახლიდან ხომ არ მოიტანს იმ ფულს, რომელიც საჭიროა ამ პროექტების განსახორციელებლად?!

**ალეკო კაკაურიძე**

პოზიცია

# უფლება არც მაქვს, სხვაგვარად მოვიქცე...

## ნავალოვსკი და რევიშვილი ცხადაძის დარჩენას ემხრობიან

ეროვნული ნაკრების შემტევი ნახევარმცველი **გიორგი ნავალოვსკი** ეროვნულ ნაკრებში მიმდინარე მოვლენებით შეწუხებული და **კახა ცხადაძის** შესაძლო წასვლით გულდაწყვეტილია.

*„მე ახლა საქართველოში არ ვარ და ზუსტად არც ვიცი, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის გარშემო რა ხდება. არც არავის ვადანაშაულებ, მაგრამ ნაკრების წევრი ვარ და მსურს, პოზიცია დავაფიქსირო - საქართველოში ყველამ დაინახა, რომ კახა ცხადაძე ნაკრებში კარგად მუშაობდა, მისი წინსვლისთვის ბევრი რამ გააკეთა და გუნდში ატმოსფერო საგრძნობლად შეცვალა. ისიც აშკარაა, რომ მისი მუშაობის შედეგად, გულშემატკივრებს ნაკრებისკენ გული მოუბრუნდა და დიდი იმედი გაუჩნდა. ამიტომ, მას გვერდში ვუდგავარ და მიმაჩნია, რომ ნაკრებისთვის მისი დარჩენა აჯობებს“*, - ამბობს ნავალოვსკი.

გიორგი ცხადაძის მიმართ მადლიერებას არ მალავს:

*„ეროვნული გუნდისთვის ნავალოვსკი დავიწყებული იყო, არავის ვახსოვდი, „ლელოს“ და ორიოდე ჟურნალისტს თუ არ ჩავთვლით. სწორედ ამ დროს, ჩემით კახა დაინტერესდა, იმდენი ქნა, რომ საქართველოს პასპორტის პრობლემა სასწრაფოდ მოგვარდა და ნაკრებს დავუბრუნდი. ეს ჩემთვის იმდენად დიდი სიხარული იყო, ამის გადმოცემა შეუძლებელია. არავის ვერჩი და არც ვაკრიტიკებ. ისე არავინ გაიგოს, თითქოს, კობიაშვილსა და ფედერაციას ვუპირისპირდები. ელემენტარულად, ადამიანურად, უფლება არც მაქვს, სხვაგვარად მოვიქცე და კახას გვერდში არ დავუდგე“.*

მის პოზიციას იზიარებს ეროვნული ნაკრების მეკარე **ნუკრი რევიშვილიც:**

*„გულით და სულით მინდა, რომ ცხადაძე ნაკრებში დარჩეს. 2005 წლიდან ნაკრებში ვარ და მას შემდეგ არ მახსენდება, ოდესმე გვყოლოდა ისეთი ერთსულოვანი გუნდი, როგორიც ცხადაძის დროს არის. პირადად ჩემგან კახა თანადგომას იმსახურებს. მთვარეზე არ ვცხოვრობ, ვიცი, რომ დაპირისპირება წარმოიქმნა, მაგრამ უსიამოვნება ყველას გვქონია, მთავარია, ის მოგვარდეს. იმედი მაქვს, ცხადაძე და კობიაშვილი საერთო ენას გამონახავენ და ამ კრიზისული მდგომარეობიდან გამოვალთ“.*

**მერაბ მამულაშვილი**


გიორგი ნავალოვსკი

## მათე ვაწაძე

# ორივე მხარესთან მექნება ერთი თხოვნა...

## ახლა ცხადაძის წასვლა ნაკრებს არ წაადგება

**რას ფიქრობს საქართველოს ეროვნული გუნდის 27 წლის ფორვარდი მათე ვაწაძე ეროვნულ გუნდში მიმდინარე პროცესებზე? საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ძალიან საგულისხმო რამეს ამბობს...**

*„ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრებში ძალიან დაძაბული სიტუაციაა და ეს ყველას გვაწუხებს. მე მექნება ერთი თხოვნა ორივე მხარესთან - დასხდნენ და მონახონ კომპრომისი. მე ამას ვამბობ, როგორც ნაკრების ფეხბურთელი, ისე უბრალო ქომაგი. დასხდნენ, თუნდაც მედიის გარეშე, დაილაპარაკონ და მჯერა, კომპრომისს მოძებნიან. ეს საჭიროა ქართული ფეხბურთის ინტერესებისთვის...*

*ახლა საქართველოს ნაკრებისთვის მწვრთნელის შეცვლა საზიანო იქნება. ბოლოს და ბოლოს, ახალი შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი და ახალ მწვრთნელს გაუჭირდება გუნდთან ბოლომდე ადაპტირება“*, - გვითხრა ვაწაძემ, რომელსაც „ორჰუსის“ თაობაზეც ვკითხეთ.

*„ახალი მწვრთნელი გვყავს. ეს არის გლენ რიდერსჰოლმი. ის დანიაში ძალიან დაფასებული სპეციალისტია, „მიდტიულანდი“ ჩემპიონი გახადა. ახლაც ვარჯიშიდან მოვედი. ხშირად ვსაუბრობ მწვრთნელთან. ორი ამხანაგური თამაში ჩავატარეთ და ყველა ფეხბურთელი თითო ტაიმით დაიტვირთა. ვნახოთ, როგორ წავა ჩვენი საქმე“*, - გვითხრა ვაწაძემ.

**ალეკო კაკაურიძე**

## გურამ კაშია

# ცხადაძე ძალიან კარგი მწვრთნელია, მაგრამ ჩემი საქმე ფეხბურთის თამაშია...

**საქართველოს ეროვნულ ნაკრებში განვითარებული მოვლენები და საკლუბო თემა - არნემის „ვიტესის“ მცველს, 28 წლის გურამ კაშიას „ლელო“ არნემში ამ თემებზე ელაპარაკა...**

### სანაკრებო თემაზე

- რა თქმა უნდა, ძალიან არასასიამოვნოა, რაც ხდება საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებით. ცუდია, რომ გარეთ გამოვიდა ეს ყველაფერი. ძალიან დაძაბული სიტუაციაა. მიმაჩნია, რომ ფეხბურთელები არ უნდა ჩავერიოთ ამ საკითხში. ჩვენი საქმე ფეხბურთის თამაშია...

სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ კახა ცხადაძესთან იდეალური ურთიერთობა მაქვს. საერთოდაც, ნაკრებში იდეალური სიტუაციაა. დიდი მოცულობის სამუშაო ჩატარდა, შეკრული გუნდი გვყავს, ცხადაძე კი ძლიერი მწვრთნელია...

სანაკრებო თემაზე მეტს ვერაფერს ვიტყვი. წავიკითხე თქვენს გაზეთში საქართველოს ნაკრების კაპიტან ჯაბა კანკავას პოზიცია და ბოლომდე ვეთანხმები მას...

### საკლუბო თემაზე

- რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ, „ვიტესში“ თამაში რომ არ მიწევს. რაც შეეხება გუნდიდან ჩემს შესაძლო წასვლას, არ მინდა, ცხელ გულზე მივიღო გადაწყვეტილება. ვფიქრობ, სეზონის ბოლომდე მოვიცადო და დავაკვირდე, როგორ განვითარდება მოვლენები...

უკვე საკმარისი გამოცდილება დავაგროვე და ვიცი, რომ ფეხბურთელის კარიერაში არსებობს შედარებით რთული პერიოდები. ასე აეწყო ახლაც. მსუბუქი ტრავმა მივიღე და ამის შემდეგ დაიწყო ჩემი უთამაშებლობა. მერე გუნდმა თამაშები მოიგო და მწვრთნელმა შემადგენლობა აღარ შეცვალა...

„ზვოლესთან“ მომავალი შეხვედრის 37-ე წუთზე გულშემატკივრებს განზრახული აქვთ, გარკვეული აქცია მოაწყონ ჩემს მხარდასაჭერად...

ჩემი მხრივ, ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ „ვიტესის“ ძირითად შემადგენლობაში დავიბრუნო ადგილი.

**ალეკო კაკაურიძე**


გურამ კაშია

## ამბები

### გიორგი ყიფიანი

### ეს ძალიან ნაყოფიერი შეკრება იყო...

**გიორგი ყიფიანი** 19-წლამდელთა ნაკრებში მუშაობას შეუდგა და მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი ამხანაგური მატჩი 24 იანვარს, ბულგარეთთან თბილისში გამართა.

*„ბულგარეთთან მატჩამდე გამართულ შეკრება და ამხანაგური შეხვედრა ინფორმაციული შინაარსის იყო. ჩვენი მიზანი გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვედრილ მოთამაშეებზე დაკვირვება და მათი პლუს-მინუსების შეფასება გახლდათ. პასუხი მივიღეთ ბევრ კითხვაზე. 26 იანვარს მეორე შეხვედრა გველის და იქ კიდევ უფრო გამოიკვეთება, ვინ ვინ იმსახურებს ნაკრებში თამაშს. ელიტრაუნდამდე ძალიან ცოტა დრო დაგვრჩა. ბულგარელების შემდეგ, შეკრებასა და თამაშებს მხოლოდ ჩერნოგორიაში მოვასწრებთ. ამიტომ, ეს ძალიან ნაყოფიერი შეკრება იყო. აქვე ვიტყვი, რომ მოთამაშეთა გარკვეული ნაწილით კმაყოფილი დავრჩი“.*

და ბოლოს: დღეს, 26 იანვარს, საქართველოსა და ბულგარეთის 19-წლამდელთა მეორე შეხვედრა გაიმართება. მატჩს „საბურთალოს“ სტადიონი უმასპინძლებს და ის 16 საათზე დაიწყება.

**მერაბ მამულაშვილი**

### დილა ბელეკისკენ

საქართველოს მოქმედი ჩემპიონი გორის „დილა“ 31 იანვრიდან შეკრებას თურქულ ბელეკში გაივლის. გორელები იქ 6 საკონტროლო შეხვედრას გამართავენ. მეტოქეთა ვინაობა ზუსტდება. თურქეთში წასვლამდე, „დილა“ 27 იანვარს „სიონს“ შეხვდება, 30 იანვარს კი - „სამტრედიას“.

### სამი ცნობილია, ორიც გაირკვევა

თურქულ შეკრებაზე ბოლნისის „სიონის“ სპარინგ-პარტნიორთა ჩამონათვალს ყაზახეთის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი „აქტობეც“ შეემატა. „სიონი“ თურქეთში 1 თებერვალს გაემგზავრება. „აქტობეს“ გარდა, **ვარლამ კილასონიას** გუნდი რუმინულ „კრაიოვასა“ და დანიურ „ოლბორგსაც“ დაუპირისპირდება. კიდევ ორი მეტოქის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

### არაბიძის 20 წუთი

ამერიკულ შეკრებაზე დონეცკის „შახტარმა“ ამხანაგური მატჩი გამართა შვედურ „ჰაკენთან“ და 3:1 მოიგო. უკრაინული გუნდის შემადგენლობაში ბოლო 20 წუთი ითამაშა (ამ დროისთვის ანგარიში უკვე 3:1 იყო) 17 წლის შემტევმა **გიორგი არაბიძემ**, რომელმაც ბრაზილიელი **მარლოსი** შეცვალა.

**ალეკო კაკაურიძე**



ამხანაგური მატჩი

## ფრე თოვლჭყაპსა და ქარში

ქობულეთის „შუქურამ" საკონტროლო შეხვედრაში ქუთაისის „ტორპედოს" უმასპინძლა. ქუთათურთა პრესსამსახურის ცნობით, „ტორპედოს" მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ შტელინმა,** სიფრთხილის გამო, **ვაჟა ტაბატაძე, შოთა ბაბუნაშვილი** და **თენგიზ ბრეგვაძე** დაასვენა, მათ ნაცვლად კი სათადარიგო მოთამაშეები დაასაქმა.

შეხვედრა უმძიმეს პირობებში ჩატარდა - თოვლჭყაპი და პლუს ზღვიდან წამოსული ქარი კომფორტულ სათამაშო გარემოს ნამდვილად არ ქმნიდა. თუმცა თამაშის ტემპი საკმაოდ მაღალი იყო.

თავიდან უფრო მეტად მასპინძლები აქტიურობდნენ. უკვე მე-3 წუთზე **გრიგოლ დოლიძის** გადაცემის შემდეგ ანგარიშის გახსნა **ელგუჯა ლობჟანიძეს** შეეძლო, მაგრამ ახლო მანძილიდან „შუქურას" თავდამსხმელის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი **როინ კვასხვაძემ** მოიგერია.

სტუმრებმა თამაში გაათანაბრეს და პირველივე სახიფათო იერიში გოლით დაასრულეს: **ოლეგ მამასახლისმა** ქობულეთელთა საჯარიმოში **ბექა ტულუში** შენიშნა, რომელმაც „ტორპედო" ზუსტი თავურით დააწინაურა - 0:1.

მასპინძლებს წონასწორობის აღსადგენად 10 წუთი დასჭირდათ: ტორპედოელთა დაცვის შეცდომით საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილმა **ილია კერძევაძემ** ისარგებლა - 1:1.

მეორე ნახევარში შტელინმა თავდამსხმელი **ოთარ კვერნაძე...** საყრდენად გამოსცადა. ამას გარდა, „ტორპედომ" რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნა, თუმცა **ვახტანგ კვარაცხელიამ** და იმავე კვერნაძემ შანსების რეალიზება ვერ მოახერხეს.

„შუქურა" 72-ე წუთზეც გადარჩა, როცა **გიორგი კუხიანიძის** ჩინებული გადაცემის შემდეგ საგოლე მომენტი კვლავ კვარაცხელიას ჰქონდა, მაგრამ მისი თავურის შემდეგ ბურთი კარის ძელს მოხვდა. საბოლოოდ - 1:1.

შუქურა: **სტურუა, ტაკიძე, აფაქიძე (73. კალანდაძე), ბრაჭული (46. მალანია), ჩალაძე (73. ვერულიძე), თარხნიშვილი, მოსიაშვილი (74. ჩხაიძე), დოლიძე (69. ლ. ანანიძე), გეწაძე (70. ჭანუყვაძე), ი. კერძევაძე, ე. ლობჟანიძე (54. კაკალაძე).**

ტორპედო: **რ. კვასხვაძე, ბურჯანაძე, მირცხულავა, მარდალეიშვილი, ნაცვლიშვილი, ფანცხავა, მამასახლისი, ტულუში, საღრიშვილი, შინდაგორიძე, კაპანაძე;** *შეცვლაზე:* ***მ. ქვილითაია, კუჭუხიძე, ნიკონოვი, ნერგაძე, ქიმაძე, ო. კვერნაძე, კლიმიაშვილი, კუხიანიძე, გოგუაძე, წილოსანი, ვ. კვარაცხელია.***

ამ საკონტროლო მატჩით „ტორპედომ" ეროვნული ჩემპიონატის მე-2 წრისთვის მზადების პირველი ეტაპი დაასრულა. ფეხბურთელები ორ დღეს დაისვენებენ და 27 იანვარს თურქულ შეკრებაზე გაემგზავრებიან.

არშემდგარი ტრანსფერი

# რატომ წამოვიდა კომახიძე რუბინიდან?


ცენტრში ირაკლი კომახიძე

ქობულეთის „შუქურაში" მიმდინარე სიახლეებზე ლაპარაკისას, კლუბის დირექტორმა **რევაზ ჩელებაძემ** გაგვიმხილა, რომ შესაძლებელი იყო, **ირაკლი კომახიძეს** კარიერა უცხოეთში გაეგრძელებინა.

მისი თქმით, ირაკლი ყაზანის „რუბინის" მთავარ გუნდთან ერთად პორტუგალიურ შეკრებაზე გაემგზავრა. ჩელებაძე იმედოვნებდა, რომ 18 წლის ფლანგის შემტევი თავს გამოიჩენდა და ყაზანელებთან კონტრაქტს გააფორმებდა.

ამის გამო, კომახიძე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების შეკრებაზე ვერ გამოცხადდა, თუმცა... მოულოდნელად, ბულგარეთის ნაკრებთან 24 იანვრის ამხანაგურ შეხვედრაში **გიორგი ყიფიანის** შერჩეულ სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა.

*„რუბინში" ჩარიცხვის დიდი იმედი მქონდა. მაგრამ მერე მითხრეს, რომ იურიდიული საკითხების გამო, ეს საკითხი იწელებოდა. ბოლოს გაირკვა, რომ ამ ეტაპზე ყაზანის კლუბში ჩემი ჩარიცხვა ვერ ხერხდებოდა და წამოსვლამ მომიწია. სამი დღის წინ ჩამოვედი და მაშინვე ნაკრებს შევუერთდი",* - ამბობს კომახიძე.

ამის მიუხედავად, ახალგაზრდა ფეხბურთელი იმედიანადაა განწყობილი:

*„არ იყო სასიამოვნო, რაც მოხდა, მაგრამ არაფერია, ცხოვრება ამით არ მთავრდება. 19-წლამდელთა ნაკრებს ძალიან საპასუხისმგებლო თამაშები ელის. ისიც ვიცი, რომ „რუბინი" კიდევ დამაკვირდება. ვიშრომებ, გავიზრდები... იმედია, ნაკრებსაც გამოვადგები და მჯერა, უცხოეთში წასვლას მოვახერხებ".*

კომახიძეს კომენტარი ბულგარელ თანატოლებთან სპარინგზეც ვკითხეთ:

*„გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს, მოსამზადებელი ეტაპიც მიმდინარეობს და ცხადია, საუკეთესო ფორმაში არ ვართ. ეს ჩვენს თამაშსაც დაეტყო. ელიტრაუნდის შეხვედრები მარტში გველის, სადაც ძალიან სერიოზული მეტოქეები გვეყოლება. მაგრამ კარგად თუ მოვემზადებით, მჯერა, ღირსეულად ვითამაშებთ".*

მამლუქები

# ქართველი, რომელსაც ომში უკრაინის დაცვა სურს


ბადრი აქუბარდია

უცხოეთში მოთამაშე ქართველებს რომ ვეძებთ, ამ კუთხით უკრაინაში „ზღვა" მასალაა. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფეხბურთელი **ბადრი აქუბარდიაა**, რომელიც ამჟამად კიევის „დინამო 2-ში" თამაშობს. ეს ბიჭი 1993 წლის 11 იანვარს აფხაზეთში, გალის რაიონის სოფელ ფიჩორშია დაბადებული.

ეს ის დროა, როცა აფხაზეთში ქართული ჯარი ჯერ კიდევ არ იყო დამარცხებული, გალში კი ჩვენებს მყარი პოზიცია ჰქონდათ. მაგრამ ომის გამო ოჯახი ჯერ ზუგდიდში გადასახლდა, შემდეგ - უკრაინაში. თავად ბადრი კი 2009 წლიდან კიევის „დინამოშია". იყო უკრაინის ასაკობრივი და ახალგაზრდული ნაკრებების წევრი. 182 სმ სიმაღლის მარცხენა მცველი ამჟამად უკრაინული გრანდის მეორე გუნდშია. როგორც იქაური მედია წერს, აქუბარდია საკმაოდ პერსპექტიული მცველია.

*„4 წლის ვიყავი, როცა უკრაინაში გადმოვედით საცხოვრებლად. ჩერნიგოვის ოლქის ქალაქ ბახმაჩში ჩვენი ნათესავები ცხოვრობდნენ და მათთან დროებით დავბინავდით. მერე კი უკრაინაში დასახლება გადავწყვიტეთ",* - ამბობს ბადრი.

აქუბარდიამ ბედი სცადა მუსიკაში, კარატესა და ცეკვაშიც კი, მაგრამ ბოლოს ფეხბურთი ამჯობინა. მამამისი ბავშვობაში თავადაც თამაშობდა, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია და სურდა, შვილი ფეხბურთელად გაეზარდა.

ბადრიმ პირველი ნაბიჯები სწორედ ბახმაჩში გადადგა. მე-8 კლასის მოსწავლე კიევში წავიდა და ვარჯიში ბროვარის საფეხბურთო სკოლაში გააგრძელა. მალე კიევის ფიზკულტურის რესპუბლიკური სასწავლებლის გუნდში გადავიდა, კიევის „დინამოს" სელექციონერებმაც სწორედ იქ შენიშნეს და უკრაინის ყველაზე პოპულარული კლუბის აკადემიაში მიიწვიეს:

*„აკადემიაში ერთი წელი ვივარჯიშე და ამის შემდეგ მწვრთნელმა გამომიცხადა, რომ კვიპროსულ შეკრებაზე დუბლშემადგენლობას უნდა გავყოლოდი. მას შემდეგ ამ გუნდში ვარ. სადებიუტო შეხვედრა 2010 წლის 16 ივლისს, სიმფეროპოლის „ტავრიასთან" ჩავატარე და მალე ძირითადშიც დავიმკვიდრე ადგილი".*

უპირველეს ყოვლისა, უკრაინელები აქუბარდიას სისწრაფესა და მოედნის ხედვას უწონებენ.

*„გარდა ამისა, მას შეუძლია საპირისპირო ფლანგზე დროული გადასვლა, ეხერხება საჯარიმოში ბურთის კარგად ჩაწოდება, ხოლო „სტანდარტულების" დროს, მცველებს თავადაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ქართული სისხლისა და ფეთქებადი ბუნების მიუხედავად, საკმაოდ კორექტული მოთამაშეა, მის „კოლექციაში" წითელ ბარათს ვერ ნახავთ. ძალიან მოსწონს ფაბიო კოენტრაო. აქუბარდია „დინამო 2-ის" ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშეა. იმედია, პროგრესს გააგრძელებს. შემთხვევითი არაა, ნიჭიერი მცველი კიევის „დინამოს" მთავარ გუნდში რამდენჯერმე რომ მიიწვიეს, ერთხელ კი პირველი ლიგის მატჩის განაცხადშიც მოხვდა. თავის დასამკვიდრებლად მას ყველაფერი აქვს",* - ასე ახასიათებს მას კიევის „დინამოს" ოფიციალური ვებგვერდის ბლოგერი.

საინტერესო ფაქტი - რუსეთმა უკრაინაში აგრესია რომ დაიწყო, 23 წლის ქართველმა უკრაინელთა მხარეს საომარ მოქმედებებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. იმედია, ადრე თუ გვიან, ეს ბიჭი ქართული პასპორტითაც ითამაშებს.

პირველი ლიგა

## ოთხი განელი ხონში

უახლოეს დღეებში საქართველოში ოთხი განელი ფეხბურთელი ჩამოვა, რომლებიც თავიანთი შესაძლებლობების წარმოჩენას პირველი ლიგის ბინადარ ხონის „იმერეთში" შეეცდებიან - **ადო-კუაიე დენისი** (დაიბადა 1998 წლის 16 მაისს), **ლარბი ნიი დოდო** (1999 წლის 14 აპრილი), **ტურპინ ჰანდრი ნიი გიანი** (1996 წლის 23 თებერვალი) და **სიავ ისააკ დჯანი** (1993 წლის 23 სექტემბერი).

ხონის „იმერეთში" ითამაშებს **მამადუ კადერ სეკოც**. 20 წლის ბენინელი თავდამსხმელი საქართველოში შარშან ჩამოვიდა და 2014/15 წლების სეზონის მეორე ნახევარი (13 მატჩი) ხარაგაულის „ჩხერიმელაში" ჩაატარა. მან საქართველოში ბინადრობის უფლება მიიღო და, შესაბამისად, შრომით ხელშეკრულებასაც გააფორმებს.

კოლხეთი

## ბარქაია მართალი ყოფილა...

### ნამატი ფოთში. პოლულიახიც აქ არის...

ფოთის „კოლხეთი" პირველი წრის შუაგულში **გელა სანაიამ** ჩაიბარა. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა სატურნირო მდგომარეობა გამოასწორა - 18 ქულით მე-11 ადგილზე აღზევდა და გასავარდნთა ზონას საკმაოდ დაშორდა.

მაგრამ კოლხებს ჯერ თავი ქუდში არ აქვთ, წინ 15 ტურია და ძნელი სათქმელია, ამ პერიოდში აუტსაიდერებიდან ვინ მოახერხებს მდგომარეობის გამოსწორებას. ცხადია, დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორ მოემზადება გუნდი მეორე წრისთვის და ვის დაიმატებს...

ამ დღეებში საინტერესო სიახლეები დაგროვდა. **ცოტნე მესხისა** და **თორნიკე თუხარელის** შემდეგ, „კოლხეთმა" კიდევ სამი ფეხბურთელი დაიმატა. გამართლდა კლუბის დირექტორ **თემურ ბარქაიას** სიტყვები: როცა **დათა სიჭინავა** ბოლნისის „სიონში" გადადიოდა, ბარქაიამ თქვა - ეს ბიჭი ფოთში თავს კარგად გრძნობს და მგონი, მაინც ჩვენ დაგვიბრუნდებაო...

ასეც მოხდა - „სტანდარტულების" უბადლო შესრულებით ცნობილი ცენტრალური ნახევარმცველი „კოლხეთში" ერთ-ერთი გამორჩეული იყო. მაგრამ „სიონში" ასე არ იყო. 26 წლის შემტევი მერე ქუთაისის „ტორპედოში" გადავიდა და პირველ წრეში 5 გოლი გაიტანა. ამის მიუხედავად, სიჭინავამ „კოლხეთში" დაბრუნება გადაწყვიტა.

ის გუნდს გუშინ შეუერთდა. საინტერესოა, რომ დათა დიდ ფეხბურთში 2010 წელს სწორედ „კოლხეთიდან" გამოჩნდა. ამის შემდეგ ის იყო „გაგრაში", ბელარუსში (ბრესტის „დინამო"), მერე ბათუმის „დინამოში", ფოთურ კლუბს კი უკვე მესამედ უბრუნდება.

ამას გარდა, „კოლხეთში" კიდევ ორი ფეხბურთელი ითამაშებს: კლუბის პრესსამსახურის ცნობით, სანაიას კრებულს ცენტრალური მცველი, 25 წლის **თორნიკე შალიკაშვილი** და მისივე კბილა, თავდამსხმელი **გიორგი ნიქაბაძე** დაემატნენ. ტანმაღალმა ნიქაბაძემ ბოლო ორი სეზონი მეორე ლიგის ბინადარ გურჯაანის „ალაზანში" ითამაშა და 25 შეხვედრაში 34 გოლი გაიტანა.

**ნიკიტა პოლულიახი** ფოთის „კოლხეთში" 2015 წელს ჩაირიცხა. მიმდინარე სეზონში მან ამ კლუბის მაისურით ჩემპიონატში 13 მატჩი ჩაატარა, სამიც - საქართველოს თასზე.

22 წლის უკრაინელ ნახევარმცველსა და კლუბს შორის კონტრაქტი, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, პირველი წრის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე შეწყდა. მიზეზი - „კოლხეთის" მძიმე ფინანსური მდგომარეობა იყო. ფოთელებს ფეხბურთელის მიმართ სახელფასო დავალიანება დაუგროვდათ...

ფოთელებმა მეორე ნახევრისთვის მზადება იანვრის დასაწყისში განაახლეს, „კოლხეთის" ხელმძღვანელებმა ადგილობრივი მუნიციპალიტეტისგან ფინანსური გარანტიები მიიღეს, უკრაინის ასაკობრივი ნაკრებების ყოფილი ფეხბურთელი ხელახლა მიიწვიეს და გაუმჯობესებული კონტრაქტიც შესთავაზეს. ასე რომ, გადაწყვეტილია - პოლულიახი კვლავ „კოლხეთში" ითამაშებს.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

# პისაროს კირსტენამდე სამი გოლი რჩება



* „ლევერკუზენის" **ჯონათან ტას** ამ სეზონში (ყველა ტურნირზე) 2 520 წუთი აქვს მინდორზე გატარებული, რაც ბუნდესლიგაში მოთამაშე ფეხბურთელებს შორის საუკეთესო მაჩვენებელია.

* **უგო ალმეიდამ** „ჰანოვერში" თავის სადებიუტო შეხვედრაში გაიტანა. „ვერდერის" მაისურით გერმანიის ჩემპიონატის წინა 8 შეხვედრაში მას ამდენივე ანუ 8 გოლი ჰქონდა გატანილი.

* „ჰანოვერს" უკვე 50 მატჩია, ბუნდესლიგაში 0:0 არ უთამაშია.

* „კიოლნის" ფრანგმა თავდამსხმელმა **ანტონი მოდესტმა** გერმანიის ჩემპიონატში თავისი 27-ე გოლი შეაგდო. იგი გახდა ბუნდესლიგის ისტორიაში მესამე ფრანგი ბომბარდირი **ჟოან მიკუს** (31 გოლი) და **ფრანკ რიბერის** (69) მერე.

* მოდესტმა „კიოლნის" 19 გოლიდან 10-ში მიიღო იმონაწილეობა ანუ 53%-ში. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. არც ერთ სხვა ფეხბურთელს ასეთი პროცენტი არ აქვს.

* „ჰოფენჰაიმის" **ჯილოან ჰამადმა** 477-დღიანი პაუზის მერე, პირველი მატჩი ჩაატარა ბუნდესლიგაში და გოლის გატანაც შეძლო.

* „კიოლნმა" მერვე ბურთი გაუშვა თავური დარტყმით, „თხებს" ბუნდესლიგაში „გლადბახთან" ერთად ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვთ ამ მხრივ.

* „ლევერკუზენმა" მიყოლებით მე-15 ოფიციალურ შეხვედრაში გაიტანა, ჯამში 35 გოლი, საშუალოდ შეხვედრაში 2,3.

* „შტუტგარტის" **ლუკას რუპმა** მიმდინარე სეზონში მესამე საგოლე გადაცემა გააკეთა. საინტერესოა, რომ წინა ოთხი სეზონის ჯამში მას სულ ორი საგოლე პასი ჰქონდა.

* ავსტრიელი **პეტერ შტიოგერი** „კიოლნს" 2013 წლის ივნისიდან მოყოლებული ხელმძღვანელობს. ამ პერიოდში „შტუტგარტთან" მატჩში (1:3) პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც გუნდმა საშინაო შეხვედრაში 2 გოლზე მეტი გაუშვა.

* აღსანიშნავია, რომ „კიოლნისა" და „შტუტგარტის" უკანასკნელ 19 ბუნდესლიგურ თამაშში წყვილში მასპინძელს არც ერთხელ არ უმარჯვია. ამჟამად ეს ყველაზე გრძელი მსგავსი სერიაა.

* „ჰერტას" 421 წუთია, გოლი არ გაუშვია. ბოლოს ბერლინელებს „ჩიჩარიტომ" გაუტანა.

* ბოლო 4 წლიდან 3-ჯერ **ალექსანდრ მაიერმა** „აინტრახტისთვის" ბუნდესლიგაში წლის პირველი გოლის გატანა მოახერხა. იგი „ვოლფსბურგთან" ჰეთ თრიკით გამოირჩა (კარიერაში მეორე ბუნდესლიგური ჰეთ თრიკი) და თავის გუნდს 3:2 მოაგებინა, წარმატებული მეკვლეც გამოდგა.

* **კლემენს ფრიცმა** ბუნდესლიგაში თავისი მე-300 მატჩი ჩაატარა.ეს იუბილე მან გოლით აღნიშნა, არადა, იქამდე 1 618 დღის განმავლობაში არ გაეტანა. ამავდროულად, ფრიცი გახდა **მარკო არნაუტოვიჩის** მერე პირველი მოთამაშე, რომელმაც „ვერდერის" მაისურით ბუნდესლიგის ერთ მატჩში 3 გოლში მიიღო მონაწილეობა.

* როდესაც **ჟოელ მატიპს** გოლი გაჰქონდა, „შალკე" გერმანიის ჩემპიონატის მატჩს არ აგებდა (10 მოგება, 5 ფრე), მაგრამ „ვერდერმა" ეს სერია შეწყვიტა.

* **რობერტ ლევანდოვსკიმდე** მხოლოდ **გერდ მიულერმა**, **კლაუს ფიშერმა** და **იუპ ჰაინკესმა** მოახერხეს ბუნდესლიგის მიჯრით 5 სეზონში 17 და მეტი ბურთის გატანა.

* **კლაუდიო პისაროს** ბუნდესლიგაში უკვე 179 გოლი უგროვდება და ყველა დროის ბომბარდირთა დავაში **შტეფან კუნცთან** ერთად მე-6 ადგილს იყოფს. პირველი გერდ მიულერია 365 გოლით. სამი გოლის გატანის მერე, პისარო **ულფ კირსტენს** დაეწევა, რომელიც მე-5 ადგილზეა.

**გიორგი კაკაბაძე**

## ესპანეთი

### ლა ლიგა. XXI ტური

**ლევანტე–ლას პალმასი 3:2**

**გოლები:** 1:0 მორალესი (25), 2:0 დეივერსონი (47), 2:1 ვილიან ჟოზე (49), 3:1 მორალესი (63), 3P:2 ვილიან ჟოზე (66)

**ლევანტე (4-3-3):** მარინიო - პ. ლოპესი (42. ი. ლოპესი), დ. ნავარო, ფედალი, ტონიო - კამარასა (65. სიმაო), ვერსა, ლერმა - ჩუმეტრა (75. ჯ. როსი), დეივერსონი, მორალესი

**ლას პალმასი (4-2-3-1):** ვარასი - დ. სიმონი (79. ელ ჟარი), აიტამი, დ. გარსია, დ. კასტელიანო - მესა, ტანა (76. არაუჟო) - ვიერა, ვალერონი, ვაკასო - ვილიან ჟოზე

**გაფრთხილება:** ტონიო, დეივერსონი, ჩუმეტრა - მესა, ვარასი, აიტამი, ვაკასო

**გაძევება:** დეივერსონი (93)

**კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 21-10; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 12-13 (8-4); **ბურთის ფლობა:** 30%-70%.

**მაყურებელი:** 13 155

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 20 | 15 | 3 | 2 | 52-16 | 48 |
| 2. ატლეტიკო | 21 | 15 | 3 | 3 | 30-8 | 48 |
| 3. რეალი | 21 | 13 | 5 | 3 | 58-20 | 44 |
| 4. ვილიარეალი | 21 | 12 | 5 | 4 | 28-18 | 41 |
| 5. სელტა | 21 | 10 | 4 | 7 | 32-33 | 34 |
| 6. ეიბარი | 21 | 9 | 6 | 6 | 34-26 | 33 |
| 7. სევილია | 21 | 9 | 6 | 6 | 28-22 | 33 |
| 8. ბილბაო | 21 | 9 | 4 | 8 | 32-30 | 31 |
| 9. დეპორტივო | 21 | 6 | 11 | 4 | 28-25 | 29 |
| 10. ხეტაფე | 21 | 7 | 5 | 9 | 26-31 | 26 |
| 11. ვალენსია | 21 | 5 | 10 | 6 | 26-22 | 25 |
| 12. მალაგა | 21 | 6 | 6 | 9 | 16-19 | 24 |
| 13. ესპანიოლი | 21 | 6 | 4 | 11 | 20-35 | 22 |
| 14. ბეტისი | 21 | 5 | 7 | 9 | 14-29 | 22 |
| 15. სოსიედადი | 21 | 5 | 6 | 10 | 24-33 | 21 |
| 16. გრანადა | 21 | 5 | 5 | 11 | 24-43 | 20 |
| 17. ვალეკანო | 21 | 5 | 4 | 12 | 26-45 | 19 |
| 18. ლას პალმასი | 21 | 4 | 6 | 11 | 21-33 | 18 |
| 19. სპორტინგი | 20 | 5 | 3 | 12 | 22-35 | 18 |
| 20. ლევანტე | 21 | 4 | 5 | 12 | 20-38 | 17 |

**ბომბარდირები:** 18 - ლუის სუარესი (ბარსელონა); 17 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 16 - ნეიმარი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 14 - ბორხა ბასტონი (ეიბარი); 13 - არიც ადურისი (ბილბაო), გარეთ ბეილი (რეალი), ლუკას პერესი (დეპორტივო); 12 - იმანოლ აგირეჩე (რეალ სოსიედადი), ანტუან გრიზმანი (ატლეტიკო)

# SBM LEAGUE 2015/16: მოულოდნელი შედეგების ტური კორპორატიულ ლიგაში



24 იანვარს, ახალმა სპორტის სასახლემ ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის მორიგ სათამაშო დღეს უმასპინძლა. VI ტურის შეხვედრები კორპორატიული ლიგის გუნდებმა გამართეს.

დღე ვერცხლის ლიგის დაპირისპირებებით დაიწყო. პირველები პარკეტზე **ბანკი რესპუბლიკისა** და **თეთრი ქუდის** გუნდები გავიდნენ. „სოკოებმა" წინა ტურის მსგავსად ახლაც მოახერხეს გულშემატკივართა გაკვირვება და ერთი შეხედვით ფავორიტად შერაცხილ მეტოქესთან დამაჯერებელი ანგარიშით **4-0** იმარჯვეს.

სამი ქულის მოპოვება შეძლო **თბილისის მერიის** გუნდმა, რომელმაც **ბი პი ჯორჯიას** სძლია **5-2**.

ტურის ყველაზე გამორჩეული დაპირისპირება უდავოდ **ბაქსვუდისა** და **ალიანს საქართველოს** გუნდებს შორის გაიმართა. ბაქსვუდელთა დამაჯერებელი დასაწყისის შემდეგ (2-0), მათმა მეტოქემ ჯერ ანგარიშის გათანაბრება შეძლო, ხოლო შემდეგ ორი ბურთით დაწინაურდა კიდეც. მიუხედავად უპირატესობისა და არაერთი საგოლე მომენტისა ბაქსვუდის ფეხბურთელებმა მხოლოდ ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება მოახერხეს. საბოლოოდ **4-3** ალიანს საქართველოს სასარგებლოდ.

დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა გათამაშების ერთ-ერთმა ფავორიტმა, **ვითიბი ბანკმა** რომელმაც **ავერსი** დაამარცხა **3-0**.

მიმდინარე ჩემპიონატში პირველი ქულები დაკარგა სატურნირო ცხრილის ლიდერმა, **ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის** გუნდმა, რაშიც მთავარი „დამნაშავე" **საქრუსენერგო** აღმოჩნდა. საინტერესო დაპირისპირება ფრედ, **3-3** დასრულდა. მიუხედავად ამისა, „მედიკოსები" კვლავაც ინარჩუნებენ სატურნირო ცხრილში ლიდერობას.

**24.01.2016. ვერცხლის ლიგა.**

**VI ტური**

| | |
|---|---|
| ბანკი რესპუბლიკა - თეთრი ქუდი | 0-4 |
| თბილისის მერია - BP GEORGIA | 5-2 |
| ბაქსვუდი - ალიანს საქართველო | 3-4 |
| ვითიბი ბანკი - ავერსი | 3-0 |
| ტატიშვილი - საქრუსენერგო | 3-3 |

ბომბარდირები: დიტო ანდღულაძე (საქრუსენერგო), ლუკა ხომასურიძე (ტატიშვილი) 12, ავთო ბუიღლიშვილი (ალიანს საქართველო), ნოდარ მაჭავარიანი (ვი თი ბი) - 6

საინტერესოდ წარიმართა VI ტურის შეხვედრები ოქროს ლიგაშიც.

**თბილისის სატრანსპორტო კომპანიისა** და **ვესტ ინვესტის** დაძაბული დაპირისპირება, „ტრანსპორტელების" დამაჯერებელი გამარჯვებით **4-1** დასრულდა.

მოულოდნელი, თუმცა დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა **კრედომ**, რომელმაც ლიგის ერთ-ერთი ფავორიტი და აქამდე უდანაკარგო **საქართველოს ფოსტა** დაამარცხა **5-1**.

ასევე მოულოდნელი შედეგით დასრულდა შარშანდელი ფინალისტების, **ნატახტარისა** და **ევროპაბეთის** დაპირისპირება. წლევანდელი გათამაშების ფავორიტისა და აუტსაიდერის შეხვედრა ფრედ, **1-1** დასრულდა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ჩემპიონატში ეს „ბუკმეიკერების" მიერ მოპოვებული პირველი ქულაა.

ტურის კიდევ ერთი დაპირისპირება მომდევნო კვირას, 31 იანვარს გაიმართება - ერთმანეთს GWP და პატრული ეთამაშებიან.

**24.01.2016. ოქროს ლიგა.**

**VI ტური**

| | |
|---|---|
| TTC — ვესტ ინვესტი | 4-1 |
| კრედო - საქართველოს ფოსტა | 5-1 |
| ნატახტარი - ევროპაბეთი | 1-1 |

ბომბარდირები: თემურ ვაჩანძე (ვესტ ინვესტი) 15, ზურა ცერცაძე (კრედო) 6, კახაბერ გოგოხია, გიორგი სეფერთელაძე (ნატახტარი), ლაშა ჯოხაძე (საქ. ბანკი), ლევან ჩიხრაძე (კრედო) - 5

კვირას გაიმართა ტურის გამორჩეული ფეხბურთელების ტრადიციული დაჯილდოების ცერემონიალიც.

ვერცხლის ლიგის V ტურის საუკეთესო ფეხბურთელად „თეთრი ქუდის" ლიდერი, **გელა გუკასიანი** დასახელდა, რომელსაც **Apple City**-ს სპეციალური პრიზი გადაეცა.

რაც შეეხება ოქროს ლიგის V ტურის გამორჩეულ ფეხბურთელს, ეს წოდება თბილისის სატრანსპორტო კომპანიის შემტევს, **კოტე ოდიკაძეს** ერგო. მას **დ. ტატიშვილის სპორტული რეაბილიტაციის ცენტრისგან სარეაბილიტაციო პროცედურების ერთთვიანი ვაუჩერი გადაეცა.**

*ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის გენერალური პარტნიორია* ***„ვითიბი ბანკი"***

■ ჩემპიონატის ტექნიკური პარტნიორია, ესპანური სპორტული ბრენდი **JOMA**

■ ღონისძიების პარტნიორები და მხარდამჭერები არიან: სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2", იურიდიული ჯგუფი „ერისთავი და პარტნიორები", „ტატიშვილის სპორტული რეაბილიტაციის ცენტრი", სასტუმრო „ჰოლიდეი ინი", „foodpanda, „წყალი მარგებელი", Apple City, ვერცხლის ნაკეთობები „შემოინახე მემკვიდრეობა", „ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი" და მუსიკალური მაღაზია „GURU music

მედია პარტნიორები: რადიოები, „იმედი", „კომერსანტი", „JAKO FM", ვებ პორტალები, geosports.ge, sportall.ge, worldsport.ge, goal.ge, 90wuti.ge და გაზეთი „ლელო.

სპორტული სააგენტო
SBM-ის პრესსამსახური

მანჩესტერ იუნაიტედი

# ის წავიდა და აღარ დაბრუნდება?

„საუთჰემპტონთან" 0:1 საშინაო მატჩის შემდეგ, **ლუი ვან გაალმა** ჩემოდნები ჩაბარგა და ჰოლანდიაში დაბრუნდა, ვიხილავთ მას ისევ „იუნაიტედის" სათადარიგოთა სკამზე? „დეილი მეილი" ეჭვობს, რომ აღარ.

ჰოლანდიელი თავკაცი კრიტიკის ქარცეცხლშია, მას ბევრი უწინასწარმეტყველებს მოხსნას. ახლა ვან გაალის ბედი „იუნაიტედის" 15 დირექტორის ხელშია. კვირას „იუნაიტედის" ვარჯიში გაუქმდა. ვან გაალმაც ამით ისარგებლა და სამშობლოში გაფრინდა. ვან გაალს საპატიო მიზეზი აქვს - ქალიშვილის დაბადების დღე, მაგრამ სხვა



ლუი ვან გაალმა „ჩემოდნები ჩაალაგა"

სიტუაციაში ძნელი წარმოსადგენია, რომ მწვრთნელი იმავე გადაწყვეტილებას მიიღებდა და ორშაბათ დღეს ფეხბურთელებს უქმედ გამოუცხადებდა. ამბობენ, რომ 64 წლის სპეციალისტს სეზონის ბოლომდე **რაიან გიგზი** ჩაანაცვლებს და შესაძლოა, მასთან ხანგრძლივი კონტრაქტიც გაფორმდეს. მანამდე კი შემოგთავაზებთ ვან გაალის სტატისტიკას „იუნაიტედში", რომელიც, შესაძლოა, საბოლოოც გამოდგეს - 78 თამაში „იუნაიტედის" თავკაცის პოსტზე 2014 წლიდან, როცა მან **დევიდ მოიესი** შეცვალა: 31 მოგება, 29 ფრე და 18 მარცხი.

## ტრანსფერები და ჭორები






**13:08** „ეკიპი" აცხადებს, რომ 17 წლის ნიჭიერი ფორვარდის, **კილიან მბაპეს** ხელში ჩასაგდებად ფავორიტი „არსენალია". მონაკოელის ხელში ჩაგდება „რეალს", „ბაიერნს", „ლივერპულს", პსჟ-ს და „მანჩესტერ იუნაიტედს" სურთ.

**13:24** Sports Illustrated წერს, რომ **დიდიე დროგბა** უახლოეს მომავალში „ჩელსიში" არ იმუშავებს. ფორვარდი „მონრეალ იმპექსში" რჩება.

**13:29** „რომას" გენერალურმა დირექტორმა **მაურო ბალდისონიმ** განაცხადა, რომ კლუბი მოლაპარაკებას აწარმოებს ჩინელებთან **ჟერვინიოს** ტრანსფერის თაობაზე. „ტრანსფერმარკტი" ივუარელის ფასად 15 მილიონ ევროს ასახელებს.

**13:42** „სქაი სპორტს იტალია" წერს, რომ „ლესტერი" და „ინტერი" აწარმოებენ მოლაპარაკებას „სამპდორიასთან" **ედერ მარტინესის** ტრანსფერის თაობაზე. ინგლისელები გენუელებს 10,5 მილიონ ევროს სთავაზობენ, ფეხბურთელს კი 2,2 მილიონ ევრო ხელფასს პლუს ბონუსებს.

**13:50** **მაურისიო პოჩეტინომ** განაცხადა, რომ 11 წლის წინათ, **ლიონელ მესი** ახლოს იყო... „ესპანიოლში" გადასვლასთან. მაშინ არგენტინელი ჯერ არ იყო „ბარსას" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი, პოჩეტინო კი ბარსელონელთა კაპიტანი იყო. *„სულ რაღაც სანტიმეტრში ვიყავით ამ ტრანსფერთან. დღეს ეს წარმოუდგენლად ჟღერს, მაგრამ ფაქტია"*, - აცხადებს „ტოტენჰემის" ამჟამინდელი თავკაცი.

**13:54** „სქაი სპორტსი" წერს, რომ „სელტიკს" სურს „მანჩესტერ სიტიდან" იჯარით წაიყვანოს 18 წლის ნახევარმცველი **პატრიკ რობერტსი**. ეს ბიჭი „სიტიში" „ფულემიდან" გასულ ზაფხულს გადავიდა და მთავარ გუნდში სამ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

**14:03** „დორტმუნდის" დირექტორმა **ჰანს-იოახიმ ვაცკემ** განაცხადა, რომ გუნდი **პიერ-ემერიკ ობამეიანგს 100** მილიონ ევროდაც კი არ შეელევა.

**14:15** „იუვენტუსი"-"რომას" თამაშს დაესწრო „ბარსელონას" სპორტული დირექტორი **რობერტო ფერნანდესი**. იტალიური მედიის ინფორმაციით, „ბარსელონა" ეძებს გზებს, **პაულო დიბალას** ხელში ჩასაგდებად. სხვათა შორის, თავად დიბალამ უკვე განაცხადა, რომ ლეო მესისთან ერთად თამაში სურს.

**14:34** ინგლისში კვლავ მიდის დისკუსია, გადავა თუ არა **ალეშანდრე პატო** „ჩელსიში". ამბობენ, რომ ეს ტრანსფერი **ჟოზე მოურინიომ** მოიწონა, მაგრამ **გუს ჰიდინკი** ორჭოფობს. „დეილი მეილი" კი მიიჩნევს, რომ პატო „ჩელსიში" უკვე დღეს იქნება.

**14:39** „სქაი სპორტსი" წერს, რომ „გალათასარაის" **ბურაქ ილმაზის** სანაცვლოდ „ვესტ ჰემი" 6,5 მილიონ ევროს გადაიხდის.

**14:47** „შალკეს" ბოსმა **კლემენს ტიონისმა** განაცხადა, რომ კლუბი ცდილობს ხელში ჩაიგდოს „ტოტენჰემის" **კევინ ვიმერი**, რომელსაც ამ გუნდში დებიუტი სულ რაღაც 2 დღის წინათ ჰქონდა.

**14:56** „ჩელსი" ახლოს არის განელი **კრისტიან ატსუს** მოცილებასთან. „ლურჯებმა" ის 2013 წელს იყიდეს, მაგრამ აფრიკელს არ ჩაუტარებია არც ერთი მატჩი ლონდონურ კლუბში. ის „მალაგაში" გადადის.

**15:01** „სქაი სპორტსი" წერს, რომ „ტოტენჰემის" მოლაპარაკება „ნიუკასლთან" **ანდროს თაუნსენდის** თაობაზე ჩიხში შევიდა და მას ახლა „უოტფორდს" სთავაზობენ.

**15:18** „დეილი სტარი" წერს, რომ **ანტუან გრიზმანს** „ატლეტიკოს" დატოვება საერთოდ არ სურს და არანაირ „ატლეტიკოში" ის არ მიდის.

**15:25** „სანი" საკმაოდ ხმამაღალი სათაურით გვამცნობს, რომ **რობერტ ლევანდოვსკი** „რეალში" გადადის, მასში 100 მილიონ ევროს იხდიან.

**15:38** ისევ „სანი" - „მანჩესტერ იუნაიტედი" მზად არის, „სევილიას" 27 წლის არგენტინელი **ევერ ბანეგა** 15 მილიონ ევროდ შეიძინოს.

**15:47** „ეკიპი" იუწყება, რომ 30 წლის ფრანგი **მატიო დებიუში** დათანხმდა „ასტონ ვილაში" იჯარას.

**15:52** „სანი" საოცარ რამეს წერს - როცა **ფერნანდო ტორესს** „ატლეტიკოში" იჯარა დაუსრულდება და „მილანში" დაბრუნდება, ის გახდება... „ბარსელონას" ფეხბურთელი. ცოტა ხნის წინათ, „ელ ნინიოს" აგენტი წერდა, რომ მისი ფეხბურთელი ისეთ წინადადებას მიიღებს, რომ მსოფლიოში ყველაზე მაღალანანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება.

**16:08** „სქაი სპორტს იტალია" წერს, რომ „ინტერი" მზადაა, პსჟ-სგან **ესეკიელ ლავეცი** გამოისყიდოს. ინგლისელები კი წერენ, რომ „ჩელსი" ზაფხულს დაელოდება და ლავეცის უსასყიდლოდ წაიყვანს.

**16:19** „სქაი სპორტსი" იუწყება, რომ „ჩელსი" **ლოიკ რემის** სეზონის ბოლომდე ერთ-ერთ პრემიერლიგურ კლუბში გაანათხოვრებს. ეს შეიძლება იყოს „კრისტალ პალასი" ან „ნიუკასლი" ანაც „ლესტერი".

**16:27** „ბირმინგემ მეილის" ცნობით, ზაფხულში **მარიო ბალოტელის** აყვანას „ვესტ ბრომვიჩი" შეეცდება.

**16:31** „მირორი" წერს, რომ **მარიო სუარესი** ახლოსაა „უოტფორდში" გადასვლასთან. „ფიორენტინას" 28 წლის ნახევარმცველი დაახლოებით 8 მილიონი ევრო ღირს.

**16:39 დღის პირველი დადასტურებული ტრანსფერი - ფილიპ ჯურიჩი „ბენფიკამ" სეზონის ბოლომდე ბელგიურ „ანდერლეხტში" გაანათხოვრა.**

**16:42 კიდევ ერთი ტრანსფერი - 32 წლის დავიდ ბარალი „გრანადას" ფეხბურთელია, სეზონის პირველ ნახევარში ფორვარდი გაერთიანებულ საამიროებში თამაშობდა.**

**16:49** იტალიელი ჟურნალისტი **ჯანლუკა დი მარციო** წერს, რომ უახლოეს დღეებში **რამირესი** „ჩელსიდან" ჩინურ „ძიანსუ საინტიში" გადავა. 28 წლის ბრაზილიელში ჩინელები 25 მილიონ ევროს გადაიხდიან.

**16:58** „დეილი მეილი" რამირესის სატრანსფერო თანხას აზუსტებს - 32,5 მილიონი ევრო.

**17:06** „ნიუკასლის" მწვრთნელმა **სტივ მაკლარენმა** განაცხადა, რომ მისი გუნდი იანვრის ბოლომდე ერთ ფორვარდს დაიმატებს.

**17:13** „დეილი მეილის" ინფორმაციით, „ბირმინგემი" „მიდლსბროდან" 1,3 მილიონ ევროდ იტალიელ **დიეგო ფაბრინის** გადაიყვანს.

**17:18** „ბლიჩერ რეპორტი" წერს, რომ **კრისტიან ბენტეკემ** კარგად იცის, ის **იურგენ კლოპის** ფავორიტი ფორვარდი არ არის და ზაფხულში სხვაგან წავა. არ უნდა გაეტეხა ბენტეკეს კლოპის სათვალე...

**17:26 „ატალანტამ" იჯარით აიყვანა ნახევარმცველი სერჟ გაკპე. 28 წლის ფრანგი „ჯენოაში" თამაშობდა.**

**17:36 „ატალანტა" ამაზე არ გაჩერდა, ბერგამოელებმა 20 წლის ფორვარდის, ანდრეა პეტანიოს გამოსყიდვა შეძლეს, რომელიც იჯარით „ასკოლიში" თამაშობდა.**

**17:54** პრესკონფერენციაზე იურგენ კლოპმა „შახტარიდან" **ალექს ტეიშეირას** შესაძლო ტრანსფერზე დასმულ კითხვას არ უპასუხა, მან განაცხადა, რომ ამის თაობაზე არაფერი იცის.

**18:04 ვიქტორ ვალდესმა „სტანდარდში" პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ „ამაყობს" ბელგიური კლუბის მაისურის მორგებით.**

**18:13** ქპრ-ს ვარსკვლავებს იტაცებენ. „მირორის" ინფორმაციით, **მეტ ფილიპსი** 10 მილიონ ევროდ „ბორნმუთში" გადავა.

**18:18** იგივე წყარო ამტკიცებს, რომ „ნორვიჩი" საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების და „უტრეხტის" ფორვარდ **სებასტიან ალერზე** ნადირობს. 21 წლის ალერი 8,5 მილიონი ევრო დაჯდება.

**18:29** **ფლორიან ტოვენი** ახლოსაა „მარსელში" დაბრუნებასთან. ლაპარაკია, ფეხბურთელის იჯარაზე.

**18:47** „სელესაო ბრაზილეირა" აცხადებს, რომ უახლოეს საათებში „ბეტისი" **ლეანდრო დამიაოს** გაიფორმებს.

**18:57** „გაძეტა დელო სპორტი" წერს, რომ **ფრედი გუარინი** „შანხაის" 13 მილიონი ევრო დაუჯდება. ჯანლუკა დი მარციო წერს, რომ გუარინი უკვე დაემშვიდობა „ინტერში" თანაგუნდელებს.

**19:17** ESPN აცხადებს, რომ „საუთჰემპტონი" იანვარში არ შეელევა იტალიელ **გრაციანო პელეს**.

**19:46** „შანხაი" მზადაა, „ნიუკასლს" 10,5 მილიონი ევრო გადაუხადოს **შეიხ ტიოტეს** სანაცვლოდ.

**19:50** 25 წლის იტალიელი ნახევარმცველი **ჯულიო დონატი** „ლევერკუზენიდან" „მაინცში" გადაბარგდა და ახალ კლუბთან 2019 წლამდე გააფორმა კონტრაქტი.

**19:57** „მერკატო 365-ის" ცნობით, „ინტერი" **მარტინ მონტოიას ფაბინიოთი** შეცვლის.

**20:06** „ბილდმა" დაწერა, რომ „ჩელსის" **ბერტრან ტრაორეს** არენდა „ჰამბურგს" სურს, ადრე მისით „დორტმუნდიც" დაინტერესდა.

**20:17** „სქაი სპორტს ალემანია" წერს, რომ „ბაიერნი" ეძებს **ჟერომ ბოატენგის** შემცვლელს, რომელსაც ტრავმის გამო ამ სეზონში თამაში აღარ მოუწევს. კანდიდატია „ვალენსიას" მცველი **შკოდრან მუსტაფი**, რომლის ფასი 25 მილიონი ევროა, თუმცა „ვალენსია" მეტს ითხოვს.

**20:27** „სქაი სპორტს იტალია" ამტკიცებს, რომ **მესუთ იოზილის** გამოსყიდვის ექსკლუზიური უფლება მადრიდის „რეალს" აქვს. თუ „სამეფო კლუბი" ამას არ გააკეთებს, მას რჩება იოზილის შემდგომი გაყიდვიდან 33%-ის მოთხოვნის უფლება.

**20:34** ხიხონის „სპორტინგმა" იჯარით აიყვანა „პორტუს" 21 წლის მცველი **იგორ ლიხნოვსკი**, რომელიც ჩილეს მოქალაქეა.

**20:40** „ტუტოსპორტი" წერს, რომ „ატლეტიკო" გამტან ფორვარდს ეძებს. მადრიდელებს თვალი **ანტე ბუდიმირისთვის** დაუდგამთ „კროტონედან". 24 წლის ხორვატის შესახებ აქამდე ბევრი არაფერი გაგვეგონა, ახლა კი აცხადებენ, რომ ანტე „ლაციოს", „იუვენტუსს", „ინტერსა" და „არსენალსაც" სურთ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ფერნანდო ტორესი შესაძლოა, ამ სამეულის თანაგუნდელი გახდეს

ლა ლიგა. XXI ტურის ფაქტები და ციფრები

# სოლდადოს საგოლე პასები, ადურისის გოლები

* „ვილიარეალი" ბოლო გუნდი იყო ესპანეთის ჩემპიონატში, რომელსაც თავით გოლი არ გაეტანა და **მატეო მუსაჩომ** ეს სერია შეწყვიტა.

* „მალაგას" **ხუან პაბლო ანიორმა**, იგივე ხუანპიმ ლა ლიგაში თავისი პირველი გოლი „ბარსელონას" გაუტანა. საინტერესო დამთხვევაა, რომ დებიუტი მას ასევე „ბარსასთან" ჰქონდა 2014 წელს.

* 23 იანვარს **ადრიანომ ლიონელ მესის** საგოლე პასი გაუკეთა. აღსანიშნავია, რომ მისი ბოლო საგოლე გადაცემა ასევე მესიზე იყო, თანაც აგრეთვე „ლა როსალედზე" თითქმის, 4 წლის წინათ - 2012 წლის 22 იანვარს.

* ჩემპიონატისა და თასის მატჩებს თუ ავიღებთ, ყველაზე მეტი (10), საგოლე პასი **რობერტო სოლდადოს** აქვს გაკეთებული.

* **იუსუფ ელ არაბის** „ხეტაფეს" კარში 7 ბურთი აქვს გატანილი, ეს კლუბი მისი საყვარელი მეტოქეა.

* წინა სეზონიდან აქამდე გრანადელ **რუბენ როჩინას** საჯარიმოს გარედან 3 გოლი აქვს გატანილი. ლა ლიგაში ამაზე უკეთესი შედეგი არავის აქვს.

* „რაიო ვალეკანოს" **ხოსაბედი** მიმდინარე სეზონში ყველაზე შედეგიანი ნახევარმცველია, მას უკვე 7 გოლი აქვს გატანილი.

* „რაიოს" **რობერტო ტრაშორასს** სტანდარტული მდგომარეობებიდან ყველაზე მეტი (5) საგოლე პასი აქვს გაკეთებული.

* 14 გოლით „ეიბარის" თავდამსხმელი **ბორხა ბასტონი** ამჟამად ლა ლიგას საუკეთესო ესპანელი ბომბარდირია.

* „ატლეტიკოს" წინააღმდეგ „ვისენტე კალდერონზე" გამართულ ბოლო 4 მატჩში „სევილიამ" 5 წითელი ბარათი „დაიმსახურა".

* **ალვარო ნეგრედომ** ბოლო წამზე გატანილი გოლით „ვალენსიას" „დეპორტივოსთან საგარეო ქულა გადაურჩინა. ლაკურუნიელებთან 6 სტუმრობისას ნეგრედოს 5 გოლი უგროვდება.

* „ვალენსიას" უკვე 10 ტურია არ მოუგია, ეს არის ყველაზე დიდი მოუგებელი სერია 1986 წლის მერე, როდესაც „ღამურებმა" 13 ტური ჩაატარეს გამარჯვების გარეშე.

* **ალვარო სეხუდო ნოლიტოს** მერე გახდა მეორე ფეხბურთელი, რომელმაც საჯარიმოს გარედან გაუტანა „რეალს".

* „ბეტისი" ერთადერთი კლუბი იყო, რომელიც პირველი გოლის გატანის შემთხვევაში აუცილებლად იგებდა. „რეალთან" სევილიელებმა მატჩი გამარჯვებამდე ველარ მიიყვანეს, მაგრამ არც წააგეს.


ბოლო სეზონში რობერტო სოლდადო გოლებზე მეტად საგოლე პასებზე ფიქრობს

* 2016 წელს ლა ლიგაში ყველაზე მეტი გოლი **ქარიმ ბენზემასა** და **ბორხა ბასტონს** აქვთ გატანილი - 6-6.

* წინა სეზონიდან მოყოლებული აქამდე **ხამეს როდრიგესს** ლა ლიგაში ყველაზე მეტი საგოლე პასი აქვს გაკეთებული, კერძოდ კი 18.

* ყოფილი გუნდის „რეალის" წინააღმდეგ **ანტონიო ადანმა** 7 „სეივი" შემოგვთავაზა, ეს მისი საუკეთესო მაჩვენებელია „ბეტისის" საშინაო შეხვედრებში.

* **არიც ადურისს** ამ სეზონში იმაზე მეტი (25) გოლი აქვს გატანილი, ვიდრე **პაკო ალკასერს** (11), **დიეგო კოშტასა** (10) და **ალვარო მორატას** (3) ერთად.

სერია A. XXI ტურის ფაქტები და ციფრები

# ბოლონიას დონადონი მოუხდა


რობერტო დონადონი

* რა გასაკვირია და, სერია A-ში ყველაზე მეტი გოლი იტალიელი ფეხბურთელების წყალობით „სასუოლოს" აქვს გატანილი - 22. სულ გუნდის ანგარიშზე 25 ბურთია...

* „მილანი" „ემპოლისთან" საგარეო შეხვედრაში 10 მატჩია, არ დამარცხებულა - 5 ფრე, 5 წაგება.

* 12-მატჩიანი პაუზის მერე, „ფროზინონეში" კარის მშრალად შენახვა შეძლო.

* **კარლოს ბაკას** სერია A-ში გატანილი 10 გოლიდან 8 მატჩებში თავისი პირველი ზუსტი დარტყმით აქვს გატანილი.

* ძველი ყაიდის იტალიელ ფანტაზისტას, **რიკარდო საპონარას** უკვე 7 საგოლე გადაცემა უგროვდება, რითაც ის **პაულო დიბალასთან** და **ჯაკომო ბონავენტურასთან** ერთად II-IV ადგილებს იყოფს, პირველზე კი 8 საგოლე პასით **ლორენცო ინსინიეა**.

* ბონავენტურას იტალიის ჩემპიონატში სულ 26 გოლი აქვს გატანილი და აქედან 17 საგარეო შეხვედრებში.

* „ტორინოს" „ფიორენტინასთვის" ფლორენციაში 1976 წლის მერე არ მოუგია. მას მერე - 12 ფრე და 13 წაგება.

* მატჩების პირველ 30 წუთში „ფიორენტინას" 15 გოლი აქვს გატანილი. ამ მხრივ „იებზე" უკეთესი შედეგი არავის აქვს.

* საინტერესოა, რომ „ტორინოს" კვირის ადრეული (ჩვენი დროით 14:30 ან 15:30) ჩატარებული უკანასკნელი 12 შეხვედრიდან არც ერთი არ მოუგია - 7 ფრე, 5 წაგება.

* **მარეკ ჰამშიკმა** ბოლო 5 მატჩში 4 ბურთი შეაგდო.

* „სასუოლომ" სეზონში პირველად წააგო საშინაო მატჩი. გუნდს „მაპეიზე" 12 შეხვედრა არ ჰქონდა წაგებული.

* „უდინეზემ" მიყოლებით ორ მატჩში გაუშვა 4 გოლი. მსგავსი რამ 1980 წლის მერე არ მომხდარიყო.

* „ლუიჯი ფერარისზე", იგივე „სტადიო მარასიზე" გამართული უკანასკნელი 8 მატჩიდან („ჯენოასთან" და „სამპდორიასთან") „ნაპოლის" არც ერთი არ წაუგია - 6 მოგება, 2 ფრე.

* „ლაციო" „კიევოსთან" შეხვედრაში მეტოქის საჯარიმოში ბურთს 53-ჯერ შეეხო.

* პაულო დიბალა „იუვენტუსის" ჩემპიონატში გატანილი 38 გოლიდან 19-ში უშუალო მონაწილე გახლდათ - 12 გაიტანა, 7 თანაგუნდელებს გაატანინა.

* „იუვენტუსმა" ზედიზედ მე-11 ტურში იმარჯვა. ამ პერიოდში „ბებერ ქალბატონს" ყველაზე მეტი (27) გოლი აქვს გატანილი და ყველაზე ცოტა (6) გაშვებული.

* „ბოლონიამ" ბოლო 6 საგარეო თამაშიდან 5 მოიგო და აქედან 4-ში გოლი არ გაუშვა. ყოჩაღ, **რობერტო დონადონი**.

* პაულო დიბალამ სერია A-ში 12-ივე გოლი მარცხენა ფეხით გაიტანა. ევროპის 5 წამყვან ჩემპიონატში ამაზე უკეთესი შედეგი არავის აქვს.

* **ვალტერ ბირსას** სტანდარტული მდგომარეობებიდან ყველაზე მეტი (4) საგოლე პასი აქვს გაკეთებული.

* „მილანმა" 25 გაშვებული გოლიდან 12 ანუ 48% სტანდარტული მდგომარეობების შემდეგ მიიღო.

პრემიერლიგა. XXIII ტურის ფაქტები და ციფრები

# ვარდის შიმშილობის დასასრული

* **სტივენ ნეისმიტს** პრემიერლიგაში თავისი პირველი გოლი როგორც „ევერტონის", ასევე „ნორვიჩის" მაისურით, „ლივერპულის" კარში აქვს გატანილი.

* 2016 წელს ჩატარებულ ოთხივე პრემიერლიგურ მატჩში „ლივერპულმა" გოლი მეტოქის პირველივე ზუსტი დარტყმისას გაუშვა.

* მხოლოდ მესამედ მოხდა, როდესაც „ლივერპულმა" პრემიერლიგაში საგარეო მატჩი ორბურთიანი ჩამორჩენის მერე მოიგო - 2004 წლის ოქტომბერში „ფულემთან" და 2008 წლის ოქტომბერში „სიტისთან" გამარჯვებების შემდეგ.

* **ოდიონ იგალოს** უკანასკნელ 7 საშინაო შეხვედრაში ამდენივე გოლი უგროვდება.

* **ტროი დინიმ** იგალოს 6-ჯერ უპასა საგოლედ. ამ სეზონში არც ერთ ფეხბურთელს არ გაუკეთებია ამაზე მეტი საგოლე გადაცემა კონკრეტულად ერთი თანაგუნდელისთვის.

* ამ სეზონში პირველად მოხდა ისე, რომ „უოტფორდმა" საშინაო მატჩში გოლი გაუშვა და არ წააგო.

* **პატრიკ ვან ანჰოლტი** „სანდერლენდის" პირველი მცველია, რომელმაც პრემიერლიგაში ზედიზედ ორ ტურში გაიტანა.

* წინა სეზონის დაწყებიდან აქამდე ინგლისის პირველ ოთხ დივიზიონში მხოლოდ **სერხიო აგუეროს** (36) და **დერილ მერფის** (35) აქვთ გატანილი უფრო მეტი გოლი, ვიდრე **ბენიკ აფობეს** (34).

* „საუთჰემპტონმა" 1969 წლის მერე პირველად მოახერხა მიყოლებით ორ სეზონში „მანჩესტერთან" გასვლაზე გამარჯვების მოპოვება.

* **ჯეიმი ვარდის** 10 საათისა და 17 წუთის განმავლობაში აღარ გაეტანა გოლი.

* **დენი დრინკვოტერს** ოთხივე საგოლე პასი ვარდიზე აქვს გაკეთებული.

* „ლესტერს" ბოლო 14 საშინაო მატჩიდან 9 მოგებული აქვს, 4 ფრედ დასრულებული და ოდენ 1 წაგებული.

* „ტოტენჰემი" 11 საგარეო მატჩია, არ დამარცხებულა.

* „დეზებს" 14 ქულა აქვთ მოპოვებული ისეთ მატჩებში, რომლებსაც აგებდნენ. ეს საუკეთესო მაჩვენებელია.

* სერხიო აგუეროს „ვესტ ჰემის" წინააღმდეგ 8 მატჩი აქვს ჩატარებული და ამ შეხვედრებში ამდენივე გოლში მიიღო მონაწილეობა - 6 გაიტანა, 2 გაატანინა.

* მიმდინარე ჩემპიონატში „სიტის" სასარგებლოდ დანიშნული 4-ივე პენალტი სხვადასხვა ფეხბურთელმა შეასრულა - **იაია ტურემ, ბონიმ, კოლაროვმა** და აგუერომ.

* აუტების დახმარებით „ვესტ ჰემს" ამ სეზონში ყველაზე მეტი 3 გოლი აქვს შეგდებული.

* აგუერომ თავისი 89-ე და 90-ე გოლები პრემიერლიგაში ჩატარებულ 136-ე მატჩში გაიტანა. ზუსტად იგივე შედეგი ჰქონდა **რუუდ ვან ნისტელროის**. უფრო სწრაფად, უფრო ცოტა მატჩში 90-გოლიან ნიშნულს მარტოდენ **ალან შირერმა** უწია, მას ამისთვის 113 შეხვედრა ეყო.

* ჩემპიონატის ეგიდით გამართული მატჩი „სუონსიმ" „ევერტონს" ისტორიაში პირველად მოუგო 8 ფრედ დასრულებული და 13 წაგებული თამაშის მერე.

* „გუდისონ პარკზე" ამ სეზონში 46 გოლია გასული, რაც ყველაზე მეტია.

* 2013 წლის აგვისტოდან დღემდე პრემიერლიგაში ყველაზე მეტი პენალტი „ევერტონის" მეკარეს **ტიმ ჰოვარდსა** და „საუთჰემპტონის" მცველს **ჟოზე ფონტეს** აქვთ აკიდებული - 5-5.

* **მიქაელ ლაუდროპისა** და **გარი მონკის** დარად, **ფრანჩესკო გვიდოლინმა** „სონსის" თავკაცის რანგში პირველი მატჩის მოგება შეძლო.


ჯეიმი ვარდი

* „არსენალს" 7 მატჩია „ჩელსისთვის" პრემიერლიგაში გოლი არ გაუტანია - 9 საათი და 32 წუთი. „მეთოფეებს" 9 მატჩია არ დაუმარცხებია „ლურჯები" (3 ფრე, 6 წაგება).

* „არსენალს" ყველაზე მეტი (7) წითელი ბარათი „ჩელსისთან" შეხვედრებისას აქვს მიღებული.

* **დიეგო კოშტას გუს ჰიდინკის** მისვლის მერე, 6 მატჩში 6 გოლი გამოუვიდა.

* ამ სეზონში „ჩელსიმ" პირველად მოახერხა საგარეო გამარჯვებების მიყოლება.

* ამჟამად პრემიერლიგაში ყველაზე გრძელი წაუგებელი სერია სწორედ „ლურჯებს" აქვთ - 3 მოგება, 4 ფრე.

* 2012 წლის აგვისტოს მერე პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც „არსენალმა" პრემიერლიგაში მიჯრით ორ ტურში გოლი ვერ გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**გიორგი კაკაბაძემ**

# რატომ აგინა დე როსიმ მანჯუკიჩს?

**სერია A-ს მიმდინარე გათამაშების 21-ე ტურის მთავარი მატჩი ტურინში შედგა, სადაც „იუვენტუსმა" „რომას" უმასპინძლა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა - 1:0. „ვეკია სენიორამ" მიჯრით მეთერთმეტედ მოიგო და კიდევ უფრო განიმტკიცა სატურნირო მდგომარეობა.**

თამაში მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და შედეგი ლოგიკურია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ტურინულ გრანდს გაუჭირდა სამი ქულის მოპოვება. „რომა" კარგად დაუდგა მრისხანე მეტოქეს, ბევრი თავსატეხი გაუჩინა და ქულის აღება ნამდვილად შეეძლო. **ლუჩანო სპალეტიმ** უკვე დაატყო ხელი გუნდს და ეჭვი გვაქვს, რომ „ჯალოროსი" გაცილებით უკეთ ათამაშდება.


დანიელე დე როსის და მარიო მანჯუკიჩის ორთაბრძოლა

## დე როსის ახალი ამპლუა

**რუდი გარსიას** თავკაცობით, „რომას" არასდროს უთამაშია 3-4-1-2 სქემით, სპალეტიმ კი სწორედ ამ ტაქტიკაზე შეაჩერა არჩევანი. **დანიელე დე როსი** დაცვის ცენტრში გაამწესა და ამ უკანასკნელმა შესანიშნავად ითამაშა და პრაქტიკულად ყველა ორთაბრძოლა მოიგო. ამასთან, დირიჟორობდა დაცვის თამაშს და შეტევებსაც ხშირად იწყებდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პერსონა **მირალემ პიანიჩი** გახლდათ, რომელიც საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ირჯებოდა და თამაში მიჰყავდა - როგორც თვითონ იტალიელები ამბობენ, პიანიჩმა რეჯისტას (რეჟისორი) როლი მოირგო და საქმეს თავი კარგად გაართვა. მოკლედ, სპალეტის რამდენიმე ნაბიჯი იტალიურ სპორტულ მედიაში დადებითად შეფასდა. აი, **რაჯა ნაინგოლანის** გამთამაშებლად გამწესებამ კი დიდად ვერ გაამართლა - ბელგიელი უფრო მებრძოლი ფეხბურთელია და თუ სპალეტის პლეიმეიქერი სჭირდება, არჩევანი აშკარად სხვაზე უნდა შეაჩეროს.

ერთი ცხადია, ვიხილეთ საინტერესო „რომა", ძლიერი „იუვენტუსი" და ლოგიკური შედეგი, რამაც კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მიმდინარე სეზონში, „იუვენტუსი" სკუდეტოს მოპოვების ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტია, „რომას" პროგრამა მაქსიმუმი კი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება იქნება.

## ისევ სკანდალი

„იუვენტუსი"-"რომას" თამაში ახალი დაწყებული იყო, როდესაც დანიელე დე როსი და **მარიო მანჯუკიჩი** ერთმანეთს წაეკიდნენ და რომ არა გამშველებლები, საქმე ხელჩართულ ჩხუბამდე მივიდოდა. როგორც მატჩის შემდეგ გაცხადდა, დე როსიმ მანჯუკიჩს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, აგინა მას და ბოლოს, „ბოშის განავალი" უწოდა. ეს ეპიზოდი კამერებმაც დააფიქსირეს, მისი სიტყვები კი პირის მოძრაობით გაიშიფრა. როგორც ასეთ დროს ხდება, დე როსის დისკრიმინაციაში დასდეს ბრალი და მისი დასჯა მოითხოვეს, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ „ლეგა კალჩოს" სადისციპლინო კომიტეტმა ეს საკითხი განიხილოს.

მატჩის შემდეგ, ამ თემაზე კომენტარი თვით „რომას" თავკაცმა გააკეთა: *„მანჯუკიჩი მთელი თამაშის განმავლობაში ცდილობდა მეტოქის პროვოცირებას და ეს გამოუვიდა კიდეც. დე როსი ემოციებს აჰყვა და შეცდომა დაუშვა. არ დავმალავ, შეგირდებს მე თვითონ ვურჩიე, რომ ისეთივე მეთოდით ემოქმედათ, როგორც თვითონ მანჯუკიჩი, მაგრამ ასეთ დროს, ყოველთვის პირზე ხელი უნდა აიფარო. მანჯუკიჩი ყველას აგინებდა, მაგრამ პირზე ხელს იფარებდა და ეს შეუმჩნეველი დარჩა, დე როსი კი სკანდალში გაეხვია"*.

## მატჩის შემდეგ

მოკლედ, იტალიაში დიდი ამბებია - ჰომოსექსუალის და მყრალი მოხუცის შემდეგ, ბოშის განავალიც გამოჩნდა, თუმცა შევეშვათ ამას და მატჩის შემდგომ კომენტარებს გავეცნოთ, რომლებიც იტალიურ სპორტულ პრესაში მრავლად გავრცელდა:

**მასიმილიანო ალეგრი** (იუვენტუსი): *„ურთულესი მატჩი იყო, რადგან მეტოქე თამაშის საშუალებას არ გვაძლევდა. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა თუ ლუჩანო სპალეტი ასე მალე შეცვლიდა გუნდის სათამაშო სტილს. პირველ 20 წუთი კარგად ვითამაშეთ და რეალურ უპირატესობას ვფლობდით, შემდეგ კი შეცდომებს ვუმატეთ და პრობლემები შეგვექმნა. პაულო დიბალამ ბრწყინვალე გოლი გაიტანა და უმნიშვნელოვანესი ქულები ჩავიწერეთ აქტივში, თუმცა შეიძლებოდა, რომ თამაში ფრედ დასრულებულიყო. „ნაპოლი" პირველ ადგილზეა და ბრწყინვალედ თამაშობს, მაგრამ არც ჩვენ ვართ ცუდ ფორმაში და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე ავინაცვლოთ"*.

**ლუჩანო სპალეტი** (რომა): *„უძლიერს მეტოქეს ორგანიზებული ფეხბურთი დავუპირისპირეთ. „იუვენტუსმა" თითქმის ვერაფერი შექმნა და ეს ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. თუმცა, პარალელურად, ბურთი უნდა დაგვეჭირა და უფრო აქტიურად შეგვეტია, რაც ვერ მოვახერხეთ. ყველა კომპონენტში უნდა მოვუმატოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან გაგვიჭირდება ევროპული ფეხბურთის გრანდებთან ტოლ-სწორად თამაში"*.

**ჯორჯო კიელინი** (იუვენტუსი): *„ზედიზედ თერთმეტი მატჩის მოგება სერია A-ში ურთულესი საქმეა და ბედნიერი ვარ, რომ ეს სერია გრძელდება. „რომამ" დიდი ბრძოლა გაგვიმართა და შეიძლებოდა, რომ მატჩი ფრედ დასრულებულიყო. საბედნიეროდ, პაულო დიბალამ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და უმნიშვნელოვანესი ქულები ჩავიწერეთ აქტივში. დიბალა მართლაც ფენომენალური ნიჭის პატრონია და დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მეტად გაიხსნება"*.

**რაჯა ნაინგოლანი** (რომა): *„შეტევაში თითქმის ვერაფერი შევქმენით, თუმცა არც „იუვენტუსს" ჰქონდა ბევრი მომენტი. აქედან ნათლად ჩანს, რომ თავს კარგად ვიცავდით, მაგრამ შეტევაში მოსამატებელი გვაქვს. ცუდმა შედეგებმა ფეხბურთელებს საკუთარი თავის რწმენა დაუკარგა, მაგრამ ვითარება უკეთესობისკენ იცვლება და „იუვენტუსთან" მატჩი ამის დადასტურება იყო. „რომა" დღეს უფრო ორგანიზებული გუნდია, ვიდრე თუნდაც ორი კვირის წინ, პროგრესი კი აუცილებლად გაგრძელდება"*.

**ლაშა წიკლაური**

ნაპოლი

# როცა ლევანდოვსკის იგუაინი გირჩევნია

**„ნაპოლიმ" გენუაში „სამპდორიას" მოუგო და სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი შეინარჩუნა. მართალია, „იუვენტუსს" კვლავაც ორი ქულით უსწრებს, მაგრამ სამაგიეროდ, კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა სხვა მდევრებთან.**

ან, ჰყავს კი „ნაპოლის" სხვა მდევარი გარდა „იუვენტუსისა"? - ეს კიდევ ცალკე საკითხია და დღეს, პასუხის გაცემა გაგვიჭირდება. ფაქტია, რომ „ინტერი" და „ფიორენტინა" არასტაბილურად ასპარეზობენ და ქულებსაც უხვად კარგავენ.

გენუაში გამარჯვების ერთ-ერთი შემოქმედი **გონსალო იგუაინი** გახლდათ, რომელმაც მორიგი გოლი მიითვალა აქტივში და მთლიანობაში, შესანიშნავად გაისარჯა. მატჩის შემდეგ, ნეაპოლელთა თავკაცმა **მაურიციო სარიმ** სწორედ არგენტინელი ფორვარდი გამოარჩია და შემდეგი განაცხადა:

*„ძალიან საჭირო ქულები მოვიპოვეთ და, ბუნებრივია, რომ შედეგით კმაყოფილი ვარ. თუმცა, მეტოქეს ბევრის უფლება მივეცით და ამის დასტური ჩვენს კარში გატანილი ორი გოლია. აქამდე, არც ერთი ფეხბურთელი არ გამომირჩევია, მაგრამ მინდა, რომ გონსალო იგუაინი შევაქო, რომელიც ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნული ლიდერია. იგუაინი სწორედ ისე თამაშობს, როგორც წარმომედგინა და ველოდი. ზაფხულში ვუთხარი, რომ ჩვენთან ის ევროპის საუკეთესო ფორვარდი გახდება და ვფიქრობ, რომ სწორედ ამ გზას ადგას. გავცვლიდი თუ არა გონსალოს რობერტ ლევანდოვსკიში? - არც ერთ შემთხვევაში"*.

**ლაშა წიკლაური**


გონსალო იგუაინი „სამპდორიას" კარში გატანილ გოლს აღნიშნავს

სავარაუდო ტრანსფერი



როდრიგო ბენტანკური

# რეალის სამიზნეს მანჩესტერი მოსწონს

ესპანური მედიის ცნობით, მადრიდის „რეალი" ძალიან ახლოსაა ურუგვაელი სენსაციის, 18 წლის **როდრიგო ბენტანკურის** შეძენასთან. საქმე ისაა, რომ „რეალი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" მოლაპარაკებას იწყებენ **ხამეს როდრიგესის** ტრანსფერზე. ასეთ შემთხვევაში „ბოკა ხუნიორსის" ნახევარმცველი მის შემცვლელად განიხილება და „რეალი" მზადაა, მასში 10 მილიონი ევრო გადაიხადოს. ბენტანკური ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უკვე „ბოკას" ძირითადის ფეხბურთელია, მან 19 მატჩი გამართა ბოლო სეზონში.

„მარკა" თავად ფეხბურთელს დაუკავშირდა, რომელიც საკმაოდ თავმდაბალი ბიჭი აღმოჩნდა, ბენტანკურმა კარგად იცის, რომ ჯერ არაფერს წარმოადგენს მსოფლიო ფეხბურთში.

**- „რეალი" თქვენით სერიოზულად დაინტერესდა, რას იტყვით ამაზე?**

- ჩემი აგენტისა და პრესის მეშვეობით გავიგე ამის შესახებ. ძალიან დიდი პატივია ჩემთვის, რომ „რეალი" ჩემით დაინტერესდა. მაგრამ მინდა განვაცხადო, რომ ოფიციალური შეთავაზება ესპანეთიდან არ ყოფილა. არაფერია კონკრეტული.

**- მაგრამ ამას წინ ბევრიც არაფერი უდგას...**

- არ ვიცი, რაც ნამდვილად ვიცი, მე „ბოკას" ვალში ვარ. ორი წლით კიდევ ამ კლუბს ვეკუთვნი და ჩემი მიზანია, „ბოკასთვის" ვიბრძოლო.

**- რომ მოხდეს ეს ტრანსფერი, შეეგუებით თავიდან რეზერვებში თამაშს?**

- ჩემი გუნდი „ბოკაა", მაგრამ ასეთი რამ რომ მომხდარიყო, თავიდან დუბლებში თამაში პრობლემა არ იქნებოდა.

**- ევროპაში, რომელი ლიგა და კლუბი მოგწონთ?**

- პრემიერლიგა და „მანჩესტერ იუნაიტედი".

**- და ესპანეთში?**

- „რეალი" და „ბარსელონა".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჯერმეინ პენანტი და მისი თანამემამულეები ეგზოტიკურ საფეხბურთო ქვეყნებს იპყრობენ



# ეგზოტიკა ბრიტანულად

## პენანტი სინგაპურში, ბოტროიდი იაპონიაში, ჰიუზი ავსტრალიაში...

სულ ცოტა ხნის წინათ, ყველა გააკვირვა **ჯერმეინ პენანტმა**, როცა მან განაცხადა, რომ სინგაპურულ კლუბთან, „ტამპინეს იუნაიტედთან" გააფორმა ხელშეკრულება. „არსენალისა" და „ლივერპულის" ყოფილმა ვარსკვლავმა გადაწყვიტა, რომ გაემგზავროს შორეულ აღმოსავლეთში. პენანტი არ არის ერთადერთი ბრიტანელი, რომელიც ნაკლებად ცნობილი საფეხბურთო ქვეყნის კლუბში ითამაშებს. ჩვენი წერილიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ ბრიტანელ მოთამაშეებზეა.

**ჯეი ბოტროიდი** (ჯუბილო ივატა, იაპონია)

ამ თავდამსხმელს არასოდეს ეშინოდა ბრიტანეთის გარეთ ძალების მოსინჯვისა. ის უკვე თამაშობდა იტალიურ „პერუჯაში" და ტაილანდის „მონტონგ იუნაიტედში". 33 წლის ბოტროიდს ახლა „ჯუბილო ივატასათვის" გააქვს. ის იაპონიის მეორე ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა გასულ სეზონში, კლუბი კი უმაღლესში აღზევდა.

**სტივ სიმონსენი** (პუნ სიტი, ინდოეთი)

„ევერტონი", „სტოკ სიტი", „შეფილდი", „რეინჯერსი" - ეს იმ გუნდების ჩამონათვალია, სადაც სიმონსენი თამაშობდა. მან უცნაური ნახტომი გააკეთა ინდოეთის სუპერლიგის კლუბში. თავად „პუნ სიტი"იქაურ უმაღლეს ლიგაში წარმატებით ვერ გამოირჩევა. სხვათა შორის, ამ გუნდში თამაშობენ **თუნჯაი სანლი**, **დიდიე ზოკორა** და სხვა ექსვარსკვლავები.

**აარონ ჰიუზი** (მელბურნ სიტი, ავსტრალია)

ინგლისურ პრემიერლიგაში არაერთი მატჩი ჩაატარა „ნიუკასლის", „ასტონ ვილას" და „ფულემის" შემადგენლობაში. იყო ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ლიდერი. გასულ წელს სათამაშოდ ავსტრალიაში გადავიდა. მან განაცხადა, რომ ავსტრალიაში გადასვლაზე დაიყოლია **დემიენ დაფი**, მაგრამ ირლანდიელი ვარსკვლავი ავსტრალიაში ჯერ არ გამოჩენილა.

**დარენ უაითი** (ოკლენდ სიტი, ახალი ზელანდია)

„ბლექბერნის" აკადემიის აღზრდილს არასოდეს უთამაშია ინგლისის სამოყვარულო ლიგებზე მაღლა. გერმანიაში გატარებული მცირე პერიოდის შემდეგ ის გადავიდა ახალ ზელანდიაში. უაითმა მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**ტომას ბიტი** (ვარიორზი, სინგაპური)

„ჰალ სიტის"ყოფილმა მოთამაშემ 19 წლის ასაკში დატოვა დიდი ბრიტანეთი და ამერიკაში გაემგზავრა - თან სასწავლებლად, თან სათამაშოდ. ის კანადურ „ოტავა ფარიში" თამაშობდა მანამ, სანამ 2013 წელს სინგაპურში არ გადავიდა. მან „უორიორზის" გარდა „ჰუნგანგის" ღირსებაც დაიცვა.

**ჯორჯ სანდერსი** (ენვიგადო, კოლუმბია)

ლონდონში დაბადებული ფეხბურთელი ნამდვილი მსოფლიო მოგზაურია. ესპანეთში ის „ესპანიოლსა" და „ლევანტეს" მაისურს ირგებდა. ამის შემდეგ ის გადავიდა კოლუმბიაში. ითამაშა „ამერიკა დე კალიში", „ფორტალეზაში", „უნიონ მაგდალენასა" და „პატრიოტასში".

**კორედე აიეგბუსი** (სია იამეგანი, ირანი)

ის წარმოშობით ჰაკნიდანაა. ამის მიუხედავად, პროფესიონალურ დონეზე ინგლისში ფეხბურთი არასოდეს უთამაშია. 2006 წელს გადავიდა ამერიკაში. მაშინ ის 18 წლისა იყო. ჯერ კოლეჯების ლიგა ითამაშა, მერე კი იქაური უმაღლესი ლიგის „კანზასისათვის" გაისარჯა. მან ევროპაშიც ბევრი იმოგზაურა - იყო შვედეთში, ფინეთში, შვეიცარიაში. ის შეუერთდა ირანულ კლუბს, რომელმაც ისტორიაში პირველად მოიპოვა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება.

**ადილ ნაბი** (დელი დინამო, ინდოეთი)

21 წლის ნიჭიერი ფორვარდი გახდა პირველი ფეხბურთელი, ვინც პრემიერლიგიდან ინდურ ლიგაში გაანათხოვრეს. ნაბი „ვესტ ბრომვიჩის" საკუთრებაა. მან 11 მატჩში 4 გოლი შეაგდო. „დინამომ" კი პლეი ოფის ნახევარფინალი წააგო „გოასთან".

**ადამ მიტერი** (ლოიოლა მალარკო სპარკსი, ფილიპინები)

აღიზარდა „ბლეკპულის" აკადემიაში, 2011 წელს კი სქოთურ „ჰიბერნიანში" მივიდა. ითამაშა უამრავ ინგლისურ კლუბსა და შვედეთში. გასული წლის იანვარში ფილიპინების ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს შეუერთდა.

**დევიდ მოლი** (ნიუ რადიანტი, მალდივის კუნძულები)

2009-12 წლებში „ლივერპულის" საფეხბურთო აკადემიის წევრი იყო. შემდეგ ითამაშა „ვულვზში", ბორჰემში", „ჰეისში". გასული წლის თებერვალში ეგზოტიკური მოგზაურობა ჩაიფიქრა და მალდივების ჩემპიონ კლუბს მიაშურა.

**ბრაიან მაკლინი** (ბრუნეი)

ბრუნეის ყველაზე პოპულარულ კლუბს „ბლექბერნის" ყოფილი დამრიგებელი, **სტივ კინი** წვრთნის. ამ გუნდში თამაშობს „რეინჯერსის", „მოზერუელისა"და სხვა შოტლანდიური კლუბების მცველი, ბრაიან მაკლინი.

**რაიან ტინსლი** (WaiBOP United, ახალი ზელანდია)

ნოტინგემში დაბადებულმა ფეხბურთელმა ინგლისის დაბალ ლიგებში კარიერა ვერ აიწყო. ის გადავიდა ახალ ზელანდიაში, სადაც ცუდად სულაც არ გამოიყურება და გასულ კვირას, ერთ-ერთ მატჩში, მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა.

**მიჩ ოსტინი, დანიელ ჰეფარნანი** (სენტრალ ქოუსთ მარინერსი, ავსტრალია)

ავსტრალიური გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე ინგლისური გვარია. ოსტინი ინგლისში „სტალიბრიჯსა" და „კემბრიჯში" თამაშობდა. იყო შოტლანდიურ „სელტიკში." ჰეფარნანი კი ინგლისის დაბალ ლიგებში დახეტიალობდა და 2012 წელს მიაშურა ავსტრალიას.

**ბას სევიჯი** (ტოტი, ტაილანდი)

ინგლისში ვერაფერს გამორჩა და გადავიდა ტაილანდში. ბანგკოკის გუნდისათვის წინა სეზონი კარგი არ იყო. ის ტაილანდის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგიდან გავარდა.

**პიტერ რემიჯი, სანჩეს ვოტი, ანტონიო ხერმანი, მარკუს უილიამსი** (კერალა ბლასტერსი, ინდოეთი)

ინდური პრემიერლიგის გუნდი თამაშს ინგლისელ ფეხბურთელებზე აწყობს. მათ შორის ყველაზე სახელიანია მცველი რემიჯი, რომელიც „ნიუკასლის", ქპრ-ს, „კრისტალ პალასისა" და სხვა ინგლისური კლუბების ღირსებას იცავდა. ხერმანს უთამაშია ქპრ- ში, უილიამსს კი - „ჯილინგემში".

**დან შვარცი** (კენტერბერი იუნაიტედი,ახალი ზელანდია)

ნახევარდაცვაში მთავარი კაცია. ინგლისში „ლივერპულის" საფეხბურთო აკადემიაში თამაშობდა.

**ჯეიმს ბაილი, ონუა ტომას ობასი, ჯონ სტილი** (ოტავა ფარი, კანადა)

ინგლისური დესანტი ამ კლუბში ძალიან მძლავრია. ბაილი თამაშობდა „ქრიუში", „დერბიში" და „ქოვენტრიში". იყო ინდოეთში. ბირმინგემში დაბადებულ ობასის კარიერის მეტი წილი ჩრდილოეთ ამერიკაში აქვს გატარებული. ჩრდილოირლანდიელი სტილი კი „სოლტ ლეიკისა" და „რედ ბულის" წევრი იყო.

**ალბერტ უოტსონი, ტონი ამეობი, დერილ ფორდაისი** (ედმონტონი, კანადა)

ეს კანადური გუნდიც ინგლისელებს ეყრდნობა. ამეობი ნიუკასლშია დაბადებული და ამ გუნდის სკოლა გაიარა. მან ასევე ითამაშა „ლიდსში", ისლანდიასა და ფინეთში. უოტსონმა 300-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა ჩრდილოირლანდიურ „ბალიმენაში". ფორდაისი კი „პორტსმუთისა" და „გლენტორანის" რიგებში თამაშობდა.

**ალეკო კაკაურიძე**

## ამბები


დიეგო კოშტამ „ჩელსის" რიცხობრივი უპირატესობა მოუპოვა

### იყო თუ არა გასაგდები მერტეზაკერი

პრემიერლიგის ტურის ცენტრალური შეხვედრა უთუოდ, „არსენალისა" და „ჩელსის" დაპირისპირება იყო, რომელიც „ლურჯებმა" 1:0 მოიგეს. ამ შეხვედრაში დიდი როლი ითამაშა **პერ მერტეზაკერის** გაგდებამ. თამაშის მერე **არსენ ვენგერმა** აღნიშნა, რომ ამ სეზონში **დიეგო კოშტას** პროვოკაციების გამო უკვე „არსენალის" ორი ფეხბურთელი გააძევეს. „ჩელსის" თავკაც **გუს ჰიდინკს** კი მიაჩნია, რომ გერმანელი მცველი სამართლიანად გააძევეს: *„ამ ეპიზოდს შეუძლებელია მოჰყვეს დისკუსია. ვილიანის პასით, დიეგო კოშტა ერთი ერთზე რჩებოდა ჩეხთან, მაგრამ მას ფეხებში მოხვდა. ყველაფერი სამართლიანი იყო"*.

### მაჰრეზის აღიარება

„ლესტერ სიტის" შემტევი ნახევარმცველი **რიად მაჰრეზი** ალჟირის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 23 ტურის შემდეგ „ლესტერი" პრემიერლიგის მოულოდნელი ლიდერია, ხოლო მაჰრეზი 13 გოლითა და 8 საგოლე პასით ამ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა.

ალჟირში გამოკითხვა 2001 წლიდან მოყოლებული ტარდება. მაჰრეზმა ხმების 29% მიიღო, მეორე ადგილზე გავიდა **იასინ ბრაჰიმი** (პორტუ) 28%-ით, მესამეზე - **ისლამ სლიმანი** (სპორტინგი) - 17%. სხვათა შორის, 2013 წელს გამარჯვებული სლიმანი გახდა, მომდევნო წელს კი - ბრაჰიმი.

### რონალდო მეტოქემ გააკრიტიკა

„ბეტისის" ფეხბურთელმა **ფრანსისკო მოლინერომ** მწვავედ გააკრიტიკა „რეალის" თავდამსხმელი **კრიშტიანო რონალდო**. შეგახსენებთ, რომ „ბეტისი" „რეალს" 1:1 დაუზავდა, ხოლო მატჩის ერთ-ერთ ეპიზოდში რონალდომ ფეხში ჩაარტყა მოლინეროს და მერე ხელი ჰკრა. აღსანიშნავია, რომ ამ ეპიზოდში ბეტისელი უბურთოდ იყო. *„მე წმინდანი არა ვარ და ასევე ვაშავებ, ვიღებ ფოლებს, მაგრამ უბურთო მეტოქეს ამას ვერ ვაკადრებ. კრიშტიანოს საქციელი ულამაზოა. მას გაუმართლა, რომ მსაჯმა ეპიზოდი ვერ შენიშნა"*, - უთხრა „მარკას" მოლინერომ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# ჩინური კედელი ვერ გადალახეს

მელბურნში გრძელდება ავსტრალიის ღია პირველობა. წყვილთა ძირითად ბადეში თბილისელმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** (რეიტინგით 75-ე) ტაივანელ სუ-ვეი ჰსიესთან (32-ე) ერთად ორი წრე გადალახა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეოთხე ნომრად განთესილ ტიმეა ბაბოშსა (უნგრეთი, მე-11) და კატერინა სრებოტნიკთან (სლოვაკეთი, მე-16) გამარჯვება. ამ წარმატებით, როგორც ვწერდით, ოქსანამ და სუ-ვეიმ 240-240 სარეიტინგო ქულა და 40.000 ავსტრალიური დოლარი დაიმსახურეს.

გუშინ მერვედფინალში ქართულ-ტაივანურმა დუეტმა მე-15 ნომრად განთესილ ჩინელებთან - იი-ფან ქსუსა (42-ე) და საისაი ჟენთან (37-ე) ორივე სეტი დათმეს - 2:6, 4:6 და შეჯიბრებას გამოეთიშნენ.


სოფია შაფათავა

■ ■ ■

საფრანგეთში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) საკვალიფიკაციო რაუნდში ჩაება **სოფიო შაფათავა.** ჩვენებურმა დაძაბულ ორთაბრძოლებში სძლია იტალიელებს - ნასტასია ბურნეტსა (7:6, 7:6) და ჯორჯია ბრეშას (4:6, 6:4, 7:6), გადამწყვეტ პაექრობაში რუს ეკატერინა ალექსანდროვას დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა გუშინ გრიით მინენი (ბელგია) დაამარცხა - 6:2, 6:3.

წყვილებში შაფათავა ვალენტინა ივახნენკოსთან (რუსეთი) ერთად იასპარეზებს. პირველ წრეში ისინი მირთი ჟორჟესა (საფრანგეთი) და იზაბელა შინიკოვას (ბულგარეთი) დუეტთან გაარკვევენ ურთიერთობას.

■ ■ ■

აქტობეში (ყაზახეთი) ჩოგბურთელ ვაჟთა 25.000-იან საერთაშორისო ტურნირის სტარტზე **გიორგი ჯავახიშვილმა** დუჟე კეკეზისთან (ხორვატია) წააგო - 1:6, 2:6, **გიორგი ცივაძე** კი დღეს კორეელ იონგ-კიუ ლიმს გაუწევს მეტოქეობას.

ვაჟა **დანელია**

წყალბურთი

# ოლიმპიურ თამაშებზე ორიენტირით

ბელგრადში წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა ერთი მოგებით 16 გუნდს შორის მე-14 ადგილი დაიკავა და, რომ არა ბოლო მატჩში სლოვაკეთთან დასანანი მარცხი, რიოს ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვდებოდა.

ჩვენი გუნდის სერბულ ბატალიებზე შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ ვეტერან წყალბურთელებს - საქართველოს ნაკრების ყოფილ წევრებს:

**ალექსანდრე ბითაძე,** საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში მეორედ მოხვედრა ჩვენი გუნდისთვის უკვე წარმატებაა. თან ორი წლის წინანდელი მსგავსი პირველობისგან განსხვავებით, ამჯერად ერთი შეხვედრა მოვიგეთ და სამ პაექრობაში ახლოს ვიყავით გამარჯვებასთან. მიზნის მისაღწევად ბიჭებს გამოცდილება არ ეყოთ. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ გერმნანიას, ჰოლანდიასა და სლოვაკეთს ტოლ-სწორად ვეთამაშეთ. სასიამოვნო იყო, რომ ამ ჩემპიონატზე ქართველმა წყალბურთელებმა ტოლი არ დაუდეს ჩვენი ნაკრების გამოცდილ ლეგიონერებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ, სხვებისგან განსხვავებით, გუნდში 4 ახალგაზრდა წყალბურთელი გვყავდა. დარწმუნებული ვარ, რომ 2018 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში აუცილებლად გავალთ და სიურპრიზებსაც შევთავაზებთ გულშემატკივრებს: გაუთვალისწინებელი თუ არაფერი მოხდა, 2019 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც უნდა მოვიპოვოთ და სათამაშო სახეობებში საქართველოდან, ალბათ, წყალბურთი იქნება პირველი, რომელიც ოლიმპიურ თამაშებზე მოსინჯავს ძალებს.

**ლერი გოგოლაძე,** 1960 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი: კარგია, რომ მსოფლიოს ვაჩვენეთ ქართული წყალბურთი. მერე რა, რომ ევროპაზე მხოლოდ ერთი მატჩი მოვიგეთ. ყველაფერს დრო სჭირდება. ბიჭები ნელ-ნელა გამოცდილებას შეიძენენ, ოსტატობას აიმაღლებენ, ელიტაშიც უკეთ გაგვიცნობენ და გამარჯვებებიც მოვა. ძალიან მომეწონა ჩვენი გუნდის ახალგაზრდები. მათ სათანადო ხელშეწყობა თუ ექნებათ, დიდ წყალბურთს ითამაშებენ.

**შოთა ბაღათურია:** ევროპის წინა ჩემპიონატთან შედარებით, ჩვენს ნაკრებს აშკარად ემჩნევა წინსვლა. მართალია, პირველ-მეშვიდე ადგილებზე გასულ გუნდებს ოსტატობით საკმაოდ ჩამოვრჩებით, მაგრამ მერვე-მეთექვსმეტეადგილოსნებთან თანაბრად ბრძოლა და წარმატების მიღწევა შეიძლება, ოღონდ მეტი შრომაა საჭირო. ახლა მოლაპარაკება მიმდინარეობს სერბეთის სპორტის სამინისტროსა და წყალბურთის ფედერაციასთან, რომ ჩვენმა გუნდმა იქაურ ეროვნულ ჩემპიონატში იასპარეზოს. თუ ამას მივაღწიეთ, ეს ქართული წყალბურთის წინსვლის საწინდარი იქნება.

ვაჟა **დანელია**



ინფრასტრუქტურა

# ახალი თბი


შალვა გოგოლაძე

**ოლიმპიური ფესტივალისთვის „ახალი თბილისის" ტერიტორიაზე აშენებული სპორტული ბაზების ირგვლივ მითქმა-მოთქმა ყოველთვის არსებობდა - ყველას აინტერესებდა, ვის ბალანსზე გადავიდოდა ისინი, ანუ ვის დარჩებოდა ქართული სპორტისთვის მართლაც უპრეცედენტოდ კარგი არენები. ჭორებს თითქოს წერტილი დეკემბრის ბოლოს გამართულმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესიამ დაუსვა, რომელზეც დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ საზეიმოდ განაცხადა, რომ ამ ბაზებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გადასცემდა.**

მართალია, ეს ინიციატივა იმავე სესიაზე სპორტის მინისტრის ყოფილმა მოადგილე თამაზ თევზაძემ მწვავედ გააკრიტიკა და მას „საბჭოთა კავშირში დაბრუნება" უწოდა (მისი აზრით, ეს ბაზები ადგილობრივ თვითმმართველობით ორგანოს ანუ თბილისის მერიას უნდა გადასცემოდა), თუმცა ეს სხვა თემაა, ამ ბაზებს კი საშველი არც ამის შემდეგ დაადგა. ყოველ შემთხვევაში, იქამდე განვლილi დროის ამ მოკლე მონაკვეთში მათ მუშაობასთან დაკავშირებით მრავალი პრეტენზია გაისმა, რამდენიმე ცნობილმა სპორტსმენმა საჯაროდ გამოხატა უკმაყოფილება, ყველაფერი კი ამ დღეებში ბატუტზე მხტომელმა აწ უკვე სამგზის ოლიმპიელმა **ლუბა გოლოვინამ** დააგვირგვინა. *„დილა მაგრად დაიწყო. ჯერ ხომ მოსკოვის პროსპექტიდან ამხელა გზაზე დილომში დავდივარ გაყინულ დარბაზში იმიტომ, რომ გათბობა არ გვაქვს და დღეს დარბაზიც დაკეტილი დამხვდა. ევროპის ჩემპიონატამდე ორი თვე დარჩა, რიოს ოლიმპიურ თამაშებამდე - ექვსი. მაგარი მომზადება მიმდინარეობს"* - დაწერა „ფეისბუქზე" გოლოვინამ...

ვინძლო, ეს შემთხვევა ბოლო წვეთი აღმოჩნდეს და ახლა მართლაც მოგვარდეს ზემოაღნიშნული პრობლემა, თორემ ოლიმპიადამდე მართლაც რაღა დარჩა, ახლა ყოველი წუთის დაკარგვა ბრაზილიაში მარცხის ტოლფასია. ამ ბოლო საპროტესტო ტალღაზე რეაგირება იყო თუ რა, გუშინ „ახალი თბილისის" ბაზებთან დაკავშირებით სპორტის სამინისტროში მინისტრის მოადგილე **შალვა გოგოლაძესთან** სამუშაო შეხვედრაც გაიმართა. მის დასრულების შემდეგ გოგოლაძეს გავესაუბრეთ, რომელმაც მომხდარი ფაქტი ბაზების უწყებებს შორის გადაცემის პროცესით ახსნა და დაგვპირდა, რომ 2-3 დღეში „ახალი თბილისიც" გათბება და მუშაობა ჩვეულ რიტმში ჩადგება. მასთან საუბარი სწორედ მართვის პრობლემით დავიწყეთ, თუ ვის ხელშია დღეს ეს ბაზები. თუმცა მინისტრის მოადგილემ ბევრ სხვა საინტერესო ინიციატივაზეც ისაუბრა.

- წინა კვირას ოფიციალურად, უკვე მთავრობის განკარგულებით გადმოგვეცა თითქმის ყველა ის სპორტული ობიექტი, რომელიც „ახალ თბილისში" ოლიმპიური ფესტივალისთვის აშენდა - გვითხრა გოგოლაძემ. ესაა ოთხიდან სამი ბაზა: ტანვარჯიშის, ფრენბურთის და მძლეოსნობის არენები. საცურაო აუზი ჯერ „სპორტმშენსერვისის" ბალანსზეა, თუმცა მისი გადმოცემის პროცედურაც


ტანვარჯიშის არენა

დაწყებულია და მალე ისიც ერთ აიპ-ში გადავა. აქვე გეტყვით, რომ ოლიმპიური მზადების ეროვნული ცენტრის მიერ ახლახან დაფუძნდა აიპ-ი, რომელშიც ეს ქონება უკვე შევიდა, როგორც კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზი და ჩოგბურთის კორტები „მზიურში". იმ ფედერაციებთან, რომელთა გუნდებიც ამ დარბაზებში ივარჯიშებენ, გაფორმდება მემორანდუმი და ნაკრების წევრები უფასოდ მოემზადებიან. ამ კვირაში ახალი აიპ-ის დირექტორსაც დავნიშნავთ და ვვარაუდობთ, რომ ერთ კვირაში, 10 დღეში მთელი ძალით ამუშავდება, თუმცა სპორტსმენთა პრობლემები - გათბობა იქნება თუ სხვა რამ, მანამდე ბევრად ადრე, ხვალ-ზეგ უკვე მოგვარდება. ვიდრე ეს ბაზები სხვის ბალანსზე იყო, მანამ უფლება არ გვქონდა გადარიცხვების თუ სხვა სახის ოპერაციების წარმოებისა, ახლა კი ამის სრული უფლება გვაქვს.

ამ ახალშექმნილ აიპ-ს ერთი ფუნქციაც ექნება - ტექნიკურად მოემსახუროს საქართველოში ჩატარებულ ყველა დიდ ტურნირს, რომელშიც სპორტის სამინისტროც იქნება ჩართული. ნებისმიერ შეჯიბრებას ჰყავდა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ორგანიზებას აკეთებდა: ყიდულობდა კომპიუტერებს, ინვენტარს, ტექნიკურ მოწყობილობებს, რაც მერე ფედერაციას რჩებოდა, მომდევნო ტურნირზე კი თავიდან გვიწევდა მისი ყიდვა. ამ შემთხვევაში

# ლისის გათბება

ეს ინვენტარი საწყობში დაიდება და ვისაც დასჭირდება, ის გამოიყენებს. თუ არ იქნება საკმარისი, მაშინ იმას ვიყიდით და შევავსებთ, რაც გვაკლია. ეს შეზღუდავს სახელმწიფო ხარჯების არამიზნობრივად ხარჯვას. იქნება მუდმივმოქმედი სამკაციანი ჯგუფი, რომელიც მუდმივად იმუშავებს ამაზე. მათვე მიეცემათ ფედერაციებთან მუშაობის უფლება, რათა ერთობლივად მოიზიდონ საქართველოსთვის მომგებიანი ტურნირები - ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატები, სხვა რანგის შეჯიბრებები, მათი ჩატარებისას კი მოიწვიონ იმ ფედერაციიდან ორი ექსპერტი, რომელიც მისცემს კონსულტაციებს საორგანიზაციო დეტალებზე, არენის მომზადებაზე და სხვა. ცხადია, ისინი შესაბამისი ანაზღაურებით იმუშავებენ.

**- თქვენი პასუხი გასაგებია, მაგრამ კონკრეტულად გოლოვინას შემთხვევაზე თუ ვისაუბრებთ, ვისი ბრალი იყო მომხდარი?**

- კონკრეტულად არავის ბრალი არ ყოფილა. უბრალოდ, რაკი ქონება საკმაოდ დიდი და მოცულობითი იყო, ხოლო ოლიმპიური ფესტივალი - ახალი დამთავრებული, შესაბამისად, მერიას დრო დასჭირდა ამის თავმოსაყრელად და ეკონომიკის სამინისტროსთვის გადასაცემად. თავის მხრივ, რუქტურული სამუშაოები ჩატარდება როგორც რეგიონებში, ასევე - დედაქალაქში, მანდ კი განზრახულია „ჭიდაობის სახლის" აშენება, რადგან ჩვენს მოჭიდავეებს ძალიან დიდი დამსახურება აქვთ ქვეყნის სპორტულ მიღწევებში, „ფალავანთა კლუბი" კი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. ამიტომ გვინდა, მათ თანამედროვე ბაზა ავუშენოთ. ამასთან, ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმაშია იმავე ტერიტორიაზე ყინულის თანამედროვე სასახლის აშენება. ვვარაუდობთ ასევე სარაგბო სტადიონების მშენებლობასაც 2017 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის.

ერთი სიტყვით, იმ ადგილს დიდი პერსპექტივა აქვს. საბოლოო ჯამში, დიღმის ჭალა უნდა ვაქციოთ დიდ სპორტულ ქალაქად, თუმცა, არა მხოლოდ სპორტულად, არამედ საზოგადოების თავშეყრის უსაყვარლეს ადგილად, სადაც ერთი შესვლით მსურველი ყველა მომსახურეობას მიიღებს - სპორტულსაც და კულტურულსაც.

**- „ახალი თბილისის" ტერიტორიაზე ღია ბაზების მშენებლობის იმედი მშვილდოსნებსა და ტყვიის მსროლელებსაც ჰქონდათ. ანუ მათთვის იქ არაფერი იგეგმება?**

- მშვილდოსნებისთვისაც მანდვე იარაღის შესანახი საწყობების საგანგებო ზომები სჭირდება, ტერიტორიაც მეტია საჭირო და ვფიქრობ, სხვა ადგილასაც შეიძლება ფართის გამონახვა.

**- ვარკეთილში მშენებარე სასროლეთს თუ გულისხმობთ, ჩემი ინფორმაციით, იქ ინვესტორი ველარ ასრულებს დანაპირებს. კერძო ინვესტორის საქმეებში ჩარევა იოლი არაა, მაგრამ სამინისტრო ხომ არ აპირებს ამ გაჭიანურებულ მშენებლობაში ჩარევას, სადაც საკმაოდ დიდი სამუშაო მართლაც შესრულებულია.**

- ამაზე ინფორმაცია არ მაქვს და ვერც ზუსტ პასუხს გაგცემთ. სამაგიეროდ, კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ჩვენი მიზანია, მულტიფუნქციური ბაზის გაკეთება სროლის ყველა სახეობისთვის. კონკრეტულად, სად იქნება ტერიტორიულად, ამაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით.

**- რამდენადაც ვიცით, „ახალ თბილისში" საცურაო აუზზე გარკვეული რეორგანიზაცია იგეგმება. კერძოდ, ლაპარაკია გადახურვაზე.**

- სამომავლოდ მართლაც იგეგმება გადახურვა, მაგრამ ჩვენ კარგად გვახსოვს, თბილისელთათვის რამდენად საყვარელი ადგილი იყო „ლაგუნა-ვერე" - ასევე ღია აუზი, რომელიც ზამთარ-ზაფხულ მუშაობდა. ამიტომ არც გადაუხურაობაა დიდი პრობლემა, რადგან ბევრს გარკვეული პრობლემები აქვს ქლორზე და მათ სუფთა ჰაერზე ურჩევნიათ ცურვა. თუმცა ვფიქრობთ, მულტიფუნქციური, მოძრავი სახურავი გავუკეთოთ, რომელიც წლის გარკვეულ პერიოდში ღია იქნება, დანარჩენ დროს კი დაიხურება.

**- ზოგიერთი ფედერაციისთვის გაჭიანურდა გადაჭრით გარანტიების მიცემა, რათა მათ დაეწყოთ მზადება ახალი სეზონისთვის, თუმცა საბოლოოდ ყველა შეუდგა იანვარში დაგეგმილი ღონისძიებების რეალიზებას - შეკრება იქნება ეს თუ ტურნირი. ამის მიუხედავად, ოლიმპიურ წელს საკითხის ასე გაჭიანურებამ მაინც გააჩინა შიში, ხომ არ ემუქრება ფინანსური საფრთხე ამ უმნიშვნელოვანეს სეზონს?**

- ვერც ერთი ფედერაცია ვერ იტყვის, რომ რომელიმე შეჯიბრებაზე მათ ერთი წამით შეფერხება ჰქონდათ. უბრალოდ, ჩვენ მივიღეთ დაფინანსების ახალი წესი, რომელიც ითვალისწინებს კრიტერიუმებით, შეფასებებით დაფინანსებას. ამ კომისიაში არიან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, პარალიმპური კომიტეტის, სპორტის საპარლამენტო კომიტეტის წარმომადგენლები და ამ კვირაში ყველა ფედერაციის დაფინანსება დამტკიცდება. ჩვენ უკვე 8 იანვრიდან ვაფინანსებთ ფედერაციებს. არადა, მოგეხსენებათ, ადრე ხაზინა 15-16 იანვრამდე არ იხსნებოდა.




იმათაც ძალიან მოკლე ვადებში, რისთვისაც მადლობას ვუხდი ამ სამინისტროს, გაიტანეს საკითხი მთავრობაზე განსახილველად, მთავრობამ კი ჩვენს სამინისტროს გადმოსცა. ამ გადაცემ-გადმოცემას დიდი დრო სჭირდება და სწორედ ამ შუალედში გაითიშა გაზი, რადგან ვერ ხერხდებოდა საკმაოდ დიდი დავალიანების გადახდა. თუმცა, როგორც გითხარით, ხვალ-ზეგ ეს პრობლემა მოგვარდება და მუშაობა ჩვეულ კალაპოტში ჩადგება.

**- „ახალი თბილისი" ტერიტორიულად ცოტა მიუდგომელია, თან ჯერ არც ინფრასტრუქტურაა კეთილმოწყობილი. ხომ არ მიმდინარეობს განხილვა, როგორ დაიტვირთოს ეს ბაზები?**

- ჩვენი სურვილია, იქაურობა თბილისელებისთვის უსაყვარლეს ადგილად ვაქციოთ. დღეს რაცაა იქ გაკეთებული, თავისუფლად შეიძლება ველობილიკების მოწყობა და ველოსიპედების გასაქირავებელი პუნქტების მოწყობა; შეიძლება კაფე-ბარების გაკეთებაც, სავარჯიშოდ მისული ბავშვების მშობლებმა დრო რომ გაატარონ და სხვა. გვინდა, იქაურობა კულტურული თავშეყრის ადგილად ვაქციოთ და მხოლოდ სპორტული კუთხე არ იყოს. „ახალი თბილისი" არ დარჩება დღევანდელი იერსახით და სპორტის მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა უკვე დააანონსა, რომ 2016-2020 წლებში საქართველოში დამატებით 200-მილიონიანი ინფრასტვარაუდობთ სასროლეთის მოწყობას. რაც შეეხება ღია ტირს ტყვიის მსროლელებისთვის, ისიც მანდვე ივარაუდება, მაგრამ ფედერაციას სხვა გეგმაც აქვს, სადაც ერთიან კომპლექსში გაკეთდება სროლის ყველა სახეობის ბაზა. მათ მულტიფუნქციური სასროლეთი სურთ, სადაც ერთად იქნება პისტოლეტის, თოფის, შაშხანის, ტყვიის სროლის თუ სტენდის ბაზები. თუმცა ტირს დაცვის,



ლუბა გოლოვინა

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი



სოფიო ნიკოლაძის ფოტო

მერაბ გაგუნაშვილი

## ჩემპიონს ტაიბრეიკი გამოავლენს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დღეს დამთავრდება მოჭადრაკე ვაჟთა 75-ე ეროვნული ჩემპიონატი. გუშინ ბრინჯაოს მედლის მფლობელის ვინაობა გაირკვა: **მერაბ გაგუნაშვილმა** განმეორებით შეხვედრაში 54-ე სვლაზე დაამარცხა **ლელა ჯავახიშვილი,** მინიმატჩში გაიმარჯვა 2:0 და მესამე ადგილი დაიკავა. რაც შეეხება ჩემპიონობისთვის ბრძოლას, **თორნიკე სანიკიძისა** და **დავით ჯოჯუას** ფინალური პაექრობის მეორე კლასიკური პარტიაც 31-ე სვლაზე ზავით დასრულდა - 1:1. ჩემპიონს დღეს ტაიბრეიკი დაასახელებს. მეტოქეები ჯერ ორ 15-წუთიან პარტიას ითამაშებენ თითოეულ სვლაზე 10-10 წამის დამატებით. თუ ესეც არ იქნა საკმარისი, მაშინ მატჩის ბედს 5-წუთიანი ბლიცები გადაწყვეტს.

**ვაჟა დანელია**

მძლეოსნობა

## სამი ლიცენზია არის, ხუთი ეიმედებათ

საქართველოს სხვადასხვა კუთხის 1999-2001 წლებში დაბადებული მძლეოსნები მონაწილეობდნენ თბილისის ღია პირველობაში, რომელიც დედაქალაქის მერიის დაფინანსებით ჩატარდა. ამ ასაკის სპორტსმენებმა შარშან ჩვენთან გამართულ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში იასპარეზეს. წლეულს ივლისში თბილისი 16-წლამდელ მძლეოსანთა ევროპის პირველ ჩემპიონატს უმასპინძლებს. მასში მონაწილეობის უფლება შარშანდელ ფესტივალზე 400 მეტრზე თარჯრბენში **დავით ლუკავამ** (54,46) მოიპოვა; 2015 წელს გაინაღდა ლიცენზია სიგრძეზე ხტომაში (7.28) **რომან ბადრიძემ,** ხოლო ბირთვის კვრაში **ბადრი ქიმაძემ** (18,56) ნორმატივი თბილისი ღია პირველობაზე შეასრულა. საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ვასილ ბერიშვილმა** გვითხრა, რომ ევროპის პირველობისთვის ლიცენზიას კიდევ 4-5 ქართველი სპორტსმენი მოიპოვებს.

### კვარცხლბეკი

#### გოგონები

**60 მ.** 1. ანა კონსტანტინიდი (8,28), 2. ნინო გომარელი (ორივე-თბილისი, 8,49), 3. მარიამ ჩაკაბერია (ზუგდიდი, 8,56). **60 მ/თარჯრბენი.** 1. თამუნა ცერცვაძე (11,51), 2. ეკა რეხვიაშვილი (ორივე-თბილისი, 11,64). **200 მ.** ანა კონსტანტინიდი (27,55), სალომე მენთეშაშვილი (27,86), 3. ნინო გომარელი (სამივე-თბილისი, 26,63). **400 მ.** 1. ნინა ცერცვაძე (1.02,54), სალომე მენთეშაშვილი (ორივე-თბილისი, 1.03,25), 3. ნინო მელიქიძე (რუსთავი, 1.07,75). **800 მ.** 1. ნინა ცერცვაძე (2.25,66), ანა რამაზაშვილი (თბილისი, 2.33,80), 3. ნინო მელიქიძე (2.35,13). **1500 მ.** 1. ანა რამაზაშვილი (5.26,76). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. მარი მეჯიდოვი (აჭარა, 160), 2. მარი მწითური (160), 3. ვიკტორია შიშლოვა (ორივე-თბილისი, 155). **ჭოკით ხტომა.** 1. სალომე ინჯგია (თბილისი, 290). **სიგრძეზე ხტომა.** 1. მარი თათარაშვილი (4,63), 2. თამუნა ცერცვაძე (4.50), 3. ანა თათარაშვილი (სამივე-თბილისი, 4,44). **სამხტომი.** 1. მარი მეჯიდოვი (9,80), 2. ანა თათარაშვილი (9,25), 3. ალინა იაზბარიანი (გორი, 8,12). **ბირთვი.** 1. სალომე თურმანიძე (12,14), 2. ნინო ზვიადაური (8,75), 3. მარიამ წურწუმია (სამივე-თბილისი, 6,58). **ბადრო.** 1. სალომე თურმანიძე (33,31), 2. ნინო მაისურაძე (თბილისი, 24,54). **შუბი.** 1. მარი სარიევი (32,44), 2. ნია კაპანაძე (19,31), 3. ლერა კიკნაველიძე (სამივე-თბილისი, 19,19).

#### ბიჭები

**60 მ.** 1. რომან ბადრიძე (7,23), 2. არჩილ ჩუხრუკიძე (7,47), 3. ივიკო ძოძუაშვილი (7,65). **60 მ/თარჯრბენი.** 1. ლუკა ყუფუნია (8,72), 2. ცოტნე რამიშვილი (9,04), 3. ნიკოლოზ ბოჭორიშვილი (9,47). **200 მ.** 1. ლუკა ყუფუნია (24,09), 2. არჩილ ჩუხრუკიძე (24,44), 3. ივიკო ძოძუაშვილი (ყველა-თბილისი, 24,97). **400 მ.** 1. რუბენ აბესაძე (ქუთაისი, 54,70), 2. ივიკო ძოძუაშვილი (56,25), 3. ცოტნე რამიშვილი (57,93). **800 მ.** 1. გიორგი ჩიტიშვილი (2.10,43), 2. ემურ მამედოვი (ორივე-თბილისი, 2.11,30), 3. ლაშა კირჯიტაძე (ქუთაისი, 2.21, 02). **1500 მ.** 1. საბა ხვიჩავა (თბილისი-ფოთი, 4.07,78), 2. გოჩა ცირდავა (თბილისი, 4.27,40), 3. გიორგი ჩიტიშვილი (4.28,63). **3000 მ.** 1. საბა ხვიჩავა (9.02,33), 2. გოჩა ქარდავა (10.07,11), 3. ნიკოლოზ გიხნიაშვილი (სამივე-თბილისი, 10.37,00). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ზურაბ მიქაია (180), 2. საბა სოსელია (ორივე-თბილისი, 165), 3. ლუკა ივანეიშვილი (ქუთაისის, 165). **ჭოკით ხტომა.** 1. საბა სოსელია (3,90), 2. ლაშა ქარქუსაშვილი (3,80), 3. მიხეილ ცანავა (სამივე-თბილისი, 3,50). **სიგრძეზე ხტომა.** 1. რომან ბადრიძე (6,80), 2. ვოვა ამირგულიანი (ორივე-თბილისი, 6,08), 3. გიორგი ფოფხაძე (ქუთაისი, 6.01). **სამხტომი.** 1. გიორგი ფოფხაძე (12,76), 2. სოლომონ კენჭიაშვილი (თბილისი, 11,90). **ბირთვი.** 1. ბადრი ქიმაძე (18,56), 2. გიორგი კეთილაძე (16,14), 3. თენგიზ მამულაიძე (13,06). **ბადრო.** 1. ბადრი ქიმაძე (48,80), 2. გია დავითაშვილი (48,50), 3. საბა ზებედაშვილი (ყველა-თბილისი, 38,35). **შუბი.** ლუკა გელაშვილი (ბორჯომი, 42,82), 2. გიორგი კიკნაძე (თბილისი, 35,48). **ურო.** 1. დავით ოჩიგავა (აბაშა, 62,89), 2. გიორგი კეკიშვილი (თბილისი, 51,49).

**ვაჟა დანელია**

EUROPEAN RUGBY CHAMPIONS CUP

EUROPEAN RUGBY CHALLENGE CUP

რაგბი. ლეგიონერები

## გერმანია ემზადება

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის გათამაშების პირველ მატჩს 6 თებერვალს, თბილისში, ავჭალის სარაგბო სტადიონზე გერმანიის ეროვნულ გუნდთან გამართავს.

ჩვენმა მეტოქემ, რომელიც გათამაშების აუტსაიდერია, საწვრთნელი შეკრება „ბორჯღალოსნებთან" მატჩისთვის მოსამზადებლად 22 იანვრიდან ქვემო საქსონიაში დაიწყეს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა იაკუს პოთხითერმა გუნდში 30 მორაგბეს უხმო, რომელთაგან ლეგიონერი მხოლოდ ერთია - **მატიას შოსერი** (აბერდინი).

### გერმანიის ნაკრები

ტომ ბერენდტი, ტორე შმიდტი (სანკ პაული), პასკალ ფიშერი (ჰანოვერი), შონ არმსტრონგი, კეჰომა ბრენერი, ბენიამინ დანსო, იარიდ ელსი, სემი ფუშსელი, იაკო ოტო, რაინორ პარკინსონი, მიკაელ პოპმეიერი, ჰენდრიკ ფან დერ მერვე, ტიმო ვოლენკემპერი, ალექსანდერ ვიდიკერი, არტურ ზეილერი (ჰეიდელბერგი), ერიკ მარქსი (ააშენი), გაბრიელ იაგერი, რობერტ ლემანი (როტვეილი), მარკ სტინდერა (ფრანკფურტი), მორის რიეგე, ნიკო ვინდემუთი (გერმანია ლისტი), მარკუს ბენდერი, მაქსი რეინარდი (ჰანდსუშეიმი), რობ მეი, ოილვერ პაინი, იორნ შროდერი, ჯერემი ტე ჰუია (ფორზეიმი), მატიას შოსერი (აბერდინი), დალ გარნერი (ლაკტონიანსი), უმბერტი პილა (სან დონა).

# ოთხი პლეი ოფშია

**ევროთასების გათამაშებაში ჯგუფური ტურნირი დასრულდა. ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის , ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი გავიდა. ესენია: „მეტრო რასინგი", „ტულონი" და „სტად ფრანსე".**

**დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგმა" C ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. პარიზელებმა ერთადერთი მარცხი ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურში განიცადეს, როცა პირველობა უკვე განაღდებული ჰქონდათ. „მეტრო რასინგი" სუტუმრად დამარცხდა **შალვა მამუკაშვილის** „გლაზგოსთან" - 5:22. ხინჩეგაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს, მამუკაშვილი მოედანზე 7 წუთის შემდეგ გამოჩნდა.

„მეტრო რასინგის" მეტოქე მეოთხედფინალში ჩემპიონთა თასის ამჟამინდელი მფლობელი**, მამუკა გორგოძის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი" იქნება. ტულონელებმა სტუმრად მოიპოვეს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება ინგლისურ „ბასთან" - 19:14, რამაც საშუალება მისცათ ტიტულის შენარჩუნებისთვის ბრძოლა განეგრძოთ. ჩილაჩავა ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს, ამავდროულად თამაშში გორგოძე ჩაერთო, მიქაუტაძე განაცხადში არ იყო.

მესამე „ქართული გუნდი", რომელიც ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლას განაგრძობს **ზურაბ ჟვანიასა** და **გიორგი მელიქიძის** „სტად ფრანსეა". ამ პარიზულმა გუნდმა შინ დაამარცხა D ჯგუფის ლიდერი, ინგლისური „ლესტერ ტაიგერზი" 36:21 და მეორე ადგილზე გავიდა. „სტად ფრანსე" პლეი ოფში ისე როგორც საუკეთესო მეორეადგილოსანი მოხვდა. მისი მეტოქე ისევ „ლესტერ ტაიგერზი" იქნება, რომელსაც სტუმრად დაუპირისპირდება.

ჩელენჯ კაპის გათამაშებაში მომდევნო ეტაპზე მხოლოდ ერთმა „ქართულმა კლუბმა", **მიხეილ ნარიაშვილისა** და **დავით ქუბრიაშვილის** „მონპელიემ" გააღწია. ჩვენებურთა ამ გუნდმა ბოლო ტურში შინ დაამარცხა C ჯგუფის ლიდერი, ინგლისური „ჰარლიქვინზის" 42:9 და მეორე ადგილზე გავიდა.

ნარიშვილმა სრულად ითამაშა, ქუბრიაშვილი თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო. „მონპელიეს" მეტოქე მეოთხედფინალში ინგლისური „სეილ შარქსი" იქნება, რომელსაც სტუმრად დაუპირისპირდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

### A ჯგუფი

| | |
|---|---|
| ტულუზი-სარასენზი | 17:28 |
| ალსტერი-ოიონაქსი | 56:3 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ(ბ) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სარასენზი | 6 | 6 | 0 | 0 | +147 | 28(4) |
| 2. ალსტერი | 6 | 4 | 0 | 2 | +60 | 18(2) |
| 3. ოიონაქსი | 6 | 1 | 0 | 5 | -119 | 7(3) |
| 4. ტულუზი | 6 | 1 | 0 | 5 | -88 | 5(1) |

### B ჯგუფი

| | |
|---|---|
| კლერმონი-ბორდო | 28:37 |
| ექსეტერი-ოსპრიზი | 33:17 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ(ბ) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოსპრიზი | 6 | 3 | 0 | 3 | -4 | 16(4) |
| 2. ექსეტერი | 6 | 3 | 0 | 3 | -3 | 16(4) |
| 3. ბორდო | 6 | 3 | 0 | 3 | -14 | 16(4) |
| 4. კლერმონი | 6 | 3 | 0 | 3 | +21 | 15(3) |

### C ჯგუფი

| | |
|---|---|
| ჰლანეჰლი-ნორსჰემპთონი | 10:22 |
| გლაზგო-რასინგი | 22:5 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ(ბ) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რასინგი | 6 | 4 | 1 | 1 | +104 | 22(4) |
| 2. ნორსჰემპთონი | 6 | 4 | 1 | 1 | +1 | 19(1) |
| 3. გლაზგო | 6 | 3 | 0 | 3 | +18 | 14(2) |
| 4. ჰლანეჰლი | 6 | 0 | 0 | 6 | -123 | 2(2) |

### D ჯგუფი

| | |
|---|---|
| სტად ფრანსე-ლესტერი | 36:21 |
| ბენეტონი-მანსტერი | 5:28 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ(ბ) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლესტერი | 6 | 5 | 0 | 1 | +94 | 23(3) |
| 2. სტად ფრანსე | 6 | 4 | 0 | 2 | +68 | 19(3) |
| 3. მანსტერი | 6 | 3 | 0 | 3 | +18 | 15(3) |
| 4. ბენეტონი | 6 | 0 | 0 | 6 | -180 | 0(0) |

### E ჯგუფი

| | |
|---|---|
| ბასი-ტულონი | 14:19 |
| ვოსფსი-ლენსტერი | 51:10 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ(ბ) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტულონი | 6 | 5 | 0 | 1 | +5 | 20(0) |
| 2. ვოსფსი | 6 | 4 | 0 | 2 | +144 | 20(4) |
| 3. ბასი | 6 | 2 | 0 | 4 | -43 | 10(2) |
| 4. ლენსტერი | 6 | 1 | 0 | 5 | 76 | 6(2) |

### მეოთხედფინალი

**9 აპრილი**

**სარასენზი-ნორსჰემპთონი, ვოსფსი-ექსეტერი, მეტრო რასინგი-ტულონი, ლესტერ ტაიგერზი-სტად ფრანსე**

### A ჯგუფი

| | |
|---|---|
| ნიუკასლი-ბრივი | 27:23 |
| ძონოთი-ენისეი | 47:5 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ(ბ) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ძონოთი | 6 | 4 | 0 | 2 | +51 | 19(3) |
| 2. ნიუკასლი | 6 | 3 | 0 | 3 | +40 | 16(4) |
| 3. ბრივი | 6 | 3 | 0 | 3 | +26 | 16(4) |
| 4. ენისეი | 6 | 2 | 0 | 4 | -117 | 8(0) |

### B ჯგუფი

| | |
|---|---|
| სეილ შარქსი-ნიუპორტი | 38:5 |
| კასტრი-პო | 24:7 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ(ბ) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სეილ შარქსი | 6 | 5 | 0 | 1 | +76 | 23(3) |
| 2. ნიუპორტი | 6 | 4 | 0 | 2 | +34 | 20(4) |
| 3. კასტრი | 6 | 3 | 0 | 3 | -12 | 15(3) |
| 4. პო | 6 | 0 | 0 | 6 | -98 | 0(0) |

### C ჯგუფი

| | |
|---|---|
| მონპელიე-ჰარლიქვინზი | 42:9 |
| კარდიფი-კალვიზანო | 74:6 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ(ბ) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰარლიქვინზი | 6 | 5 | 0 | 1 | +102 | 25(5) |
| 2. მონპელიე | 6 | 4 | 0 | 2 | +105 | 15(4) |
| 3. კარდიფი | 6 | 3 | 0 | 3 | +98 | 17(4) |
| 4. კალვიზანო | 6 | 0 | 0 | 6 | -305 | 0(0) |

### D ჯგუფი

| | |
|---|---|
| ლა როშელი-ვორსტერი | 35:11 |
| ზებრე-გლოსტერი | 11:14 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ(ბ) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გლოსტერი | 6 | 6 | 0 | 0 | +65 | 25(1) |
| 2. ზებრე | 6 | 3 | 0 | 3 | +22 | 13(1) |
| 3. ლა როშელი | 6 | 2 | 0 | 4 | -27 | 10(2) |
| 4. ვორსტერი | 6 | 1 | 0 | 5 | -60 | 5(1) |

### E ჯგუფი

| | |
|---|---|
| აჟენი-ლონდონ აირიში | 17:31 |
| გრენობლი-ედინბურგი | 34:23 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ(ბ) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გრენობლი | 6 | 5 | 0 | 1 | +33 | 22(2) |
| 2. ედინბურგი | 6 | 4 | 0 | 2 | +22 | 17(1) |
| 3. ლონდონ აირიში | 6 | 3 | 0 | 3 | +64 | 17(1) |
| 4. აჟენი | 6 | 0 | 0 | 6 | -119 | 2(0) |

### მეოთხედფინალი

**9 აპრილი**

**ჰარლიქვინზი-ლონდონ აირიში, გრენობლი-ძონოთი, სეილ შარქსი-მონპელიე, გლოსტერი-ნიუპორტი**

### ჩემპიონთა თასი

**VI ტური**

| | |
|---|---|
| დავით ხინჩაგიშვილი (რასინგი) | შეცვლაზე (50 წთ) |
| მამუკა გორგოძე (ტულონი) | შეცვლაზე (50 წთ) |
| ლევან ჩილაჩავა (ტულონი) | ძირითადში (50 წთ) |
| კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი) | განაცხადში არ იყო |
| ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე) | განაცხადში არ იყო |
| გიორგი მელიქიძე (სტად ფრანსე) | განაცხადში არ იყო |
| დავით ზირაქაშვილი (კლერმონი) | ტრავმირებულია |
| ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი) | დისკვალიფიცირებულია |
| შალვა მამუკაშვილი (გლაზგო) | ძირითადში (57 წთ) |
| ვასილ კაკოვინი (ტულუზი) | არ უთამაშია |

### ჩელენჯ კაპი

**VI ტური**

| | |
|---|---|
| დავით კაჭარავა (ენისეი) | ძირითადში |
| გიორგი ნაცარაშვილი (პო) | განაცხადში არ იყო |
| თამაზ მჭედლიძე (აჟენი) | შეცვლაზე (60 წთ) |
| გიორგი თეთრაშვილი (აჟენი) | შეცვლაზე (56 წთ) |
| მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე) | ძირითადში |
| დავით ქუბრიაშვილი (მონპელიე) | შეცვლაზე (40 წთ) |
| გაგი ბაზაძე (ლა როშელი) | შეცვლაზე (55 წთ) |
| ლექსო ყაულაშვილი (ლა როშელი) | განაცხადში არ იყო |
| კარლენ ასეიშვილი (ბრივი) | განაცხადში არ იყო |
| გიორგი ჟღენტი (ბრივი) | განაცხადაში არ იყო |
| ბოდერძი შველიძე (ბრივი) | განაცხადში არ იყო |



ლევან ჩილაჩავა (უკანა ხედზე)

კალათბურთი

# რუსთავმა ქუთაისი თასიდან გამოთიშა

| ქუთაისი–რუსთავი | 66:71 |
|---|---|

23:17, 14:19, 10:20, 19:15

**ქუთაისი:** ფაშევი (7ქ,6პ), ბოისა (10ქ,6მ), ცეკვავა (12ქ,5მ), ბექაური (11ქ,9მ), მათიაშვილი (9ქ,8მ), ბაბუნაშვილი, ქადარია (2ქ), ბრიტონი (2ქ), დ.ბარბაქაძე, გ.ბარბაქაძე (8ქ)

**მწვრთნელი:** კ.ტულუში

**რუსთავი:** გამრეკლიძე (12ქ,5პ), კაილსი, ჩაჩანიძე (8ქ), ტურპინი (26ქ,13მ), ჭოჭუა (7ქ), გაჩეშა (16ქ,8მ), ადედირანი (2ქ), აბაიშვილი

**მწვრთნელი:** რ.გოგობერიშვილი

წლეულს თასის გათამაშება ახალი ფორმატით ტარდება. პლეი ოფი ერთ მოგებამდეა, გამარჯვებული ნახევარფინალში გადის, დამარცხებული კი თასს ეთიშება. ამდენად, წყვილებს შორის თავიდანვე უშელავათო ბრძოლა იყო მოსალოდნელი. პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში ,,ქუთაისმა" ,,რუსთავს" უმასპინძლა. **კოტე ტულუშის** გუნდი სუპერლიგის საწყის ორ წრეში ნაჩვენები შედეგის მიხედვით პირველ კალათაში იყო განთავსებული და ამის გამო საკუთარ დარბაზში თამაშის უპირატესობა ჰქონდა. გულშემატკივრების მხარდაჭერით გულმოცემულმა ქუთათურებმა შეხვედრა ისეთი ტემპით დაიწყეს, რომ მოვლენების რუსთაველთა სასარგებლოდ განვითარებას ვერავინ წარმოიდგენდა. მასპინძლებმა საწყის წუთებზევე 10:0 გაქცევა მოაწყვეს და 12:2 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ სტუმრებიც გაერკვნენ ვითარებაში, **კაელ ტურპინის, მიხეილ ჭოჭუას** ორქულიანებისა და **რევაზ ჩაჩანიძის** ზუსტი სამქულიანის შემდეგ რუსთაველებმა სხვაობა შეამცირეს. მასპინძლებმა ბოისას ორი ზუსტი სამიანითა და **ბექაურის** ორქულიანით სტატუს ქვო კი აღადგინეს, მაგრამ რუსთაველებმა 8:0 გაქცევა მოაწყვეს და ,,ქუთაისს" ისევ მიუახლოვდნენ, ცოტა მოგვიანებით კი **ტურპინისა** და **ნიკოლა გაჩეშას** კარგი თამაშის წყალობით ანგარიში გაათანაბრეს 33:33; პირველ ტაიმში სტუმრებს წინ გასვლის საშუალება არ მიეცათ, **ბრიტონმა** და ბექაურმა მასპინძლებს დროული ქულები მოუპოვეს, ჩაჩანიძის ზუსტი სამქულიანის შედეგად კი პირველი ნახევრის ანგარიში დაფიქსირდა -37:36



დიდი შესვენების შემდეგ ,,რუსთავი" გაცილებით უკეთ ათამაშდა, სტუმრებს ყველა კომპონენტში წაუვიდა თამაში, შეუდარებელი იყო ტურპინი, რომელსაც მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს. ამას ქუთაისელთა გამოუყენებელი საჯარიმო სროლებიც დაემატა და რუსთაველთა უპირატესობა ქულებშიც აისახა, გაჩეშამ და ჭოჭუამ სტუმრები პირველად გაიყვანეს წინ- 41:43, შემდეგ ისევ ტურპინი ამოქმედდა და სტუმრებმა ,,ქუთაისი" 11 ქულით ჩამოიტოვეს - 47:58. კოტე ტულუშის გუნდი ,,რუსთავს" მხოლოდ მატჩის მიწურულს წამოეწია, ბექაურის, **ცეკვავას** ზუსტი შეტევებისა და **მათიაშვილის** ერთი ზუსტი საჯარიმო სროლის შემდეგ სხვაობა 2 ქულამდე შემცირდა - 64:66; ქუთათურებს მატჩის შემობრუნების შანსი მიეცათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. ბოლო წამები ძალიან დაძაბული გამოდგა, 00:25 წამზე ფაშაევი განზრახ დაჯარიმდა და გაჩეშამ ორივე საჯარიმო ზუსტად ისროლა, საპასუხო შეტევისას სროლა ფაშაევს გაუცუდდა, ამას ისევ განზრახ ჯარიმა და გამყრელიძის ცივსისხლიანი თამაში მოჰყვა, რომელმაც ბურთი ორივე ცდაზე კალათში მოათავსა -64-70. მატჩის დასრულებამდე 10 წამი იყო დარჩენილი 6 ქულის აღმოფხვრა ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა. ,,ქუთაისმა" მაინც ბოლომდე გაიბრძოლა, ბოლოს ფაშაევმა ორქულიანიც ჩააგდო, მარგამ მატჩიც იქვე დასრულდა - 66:71. ,,რუსთავმა" უკეთესად ითამაშა და ნახევარფინალის საგზური დამსახურებულად მოიპოვა. ქორქია-საკანდელიძის მემორიალის მომგები ,,ქუთაისი" კი საქართველოს თასზე ხელმოცარული დარჩა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე უდავოდ კაელ ტურპინი გახლდათ, 26 ქულითა და 13 მოხსნით რუსთაველთა ლეგიონერმა ორმაგი დუბლი შეასრულა. მან 13 დან 10 ორქულიანი და 8 დან 6 საჯარიმო ჩააგდო. 16 ქულა დააგროვა ნიკოლა გაჩეშამ, მათთან ერთად ეფექტურად ითამაშა გამყრელიძემ, რომლის ანგარიშზეც 12 ქულაა. ქუთაისელთა რიგებში ყველაზე მეტი -12ქულა ცეკვავამ მოაგროვა.

**დავით კოხრეიძე**

(გაგრძელება. დასაწყისი 2015 - N160-163, 165-168, 170-72, 175-78, 180-82, 185-88, 190, 192, 193, 195-198, 201-203, 205-08, 212-13, 215-18, 220-23, 225-26, 228, 230-33, 235-38, 240-41, 243, 245-48, 250-51, 253, 255-56; 2016 - N2-3, 6, 8-9, 11, 13)




ფსიქოლოგმაც კი, რომელიც გამოსაცდელი ვადის დროს ჩემზე დაკვირვებას ახდენდა, ამ საქმეში მონაწილეობა სცადა. ინდიანას სასამართლომ დამინიშნა ფსიქოლოგი, დოქტორი **კეიტ სმედი** კლივლენდიდან. ის აკვირდებოდა ჩემს გამოსაცდელ ვადას. ამ ბიჭს უნდა სცოდნოდა ყველაფერი, რასაც ვაკეთებდი. **მონიკასთან** სექსიც კი არ მექნებოდა მისგან შესაბამისი ნებართვის გარეშე. სმედი ერთდროულად სულელიც იყო და ფულს დახარბებული. მას ისეთივე ინტელექტუალური შესაძლებლობები ჰქონდა, როგორიც... კრივის სავარჯიშო მსხალს. როგორც ჩანს, სადოქტორო ხარისხი საკუთარი ბიძისგან მიიღო.

ჩემზე ზედამხედველობითი სამუშაოს შესრულებისას, ცდილობდა დაერწმუნებინა ყველა ჩემი მეგობარი, რომ მასთან თანამშრომლობაზე შეთანხმებისთვის მიმეღწია. ვიცოდი, რომ შემეძლო ამ ბიჭთან ურთიერთობა. თუ უსიამოვნებები მექნებოდა, ის არ განაცხადებდა ჩემს დარღვევებზე, არამედ, ამ ინფორმაციას შესაძლო შანტაჟისთვის შეინახავდა. და დროთა განმავლობაში გამოავლენდა თავის ბინძურ ხასიათს, ამიტომაც, უბრალოდ, მასთან თამაში გადავწყვიტე.

თავიდან, ძალიან მკაცრი იყო და აცხადებდა, ჩემს მეგობრებთან გართობის უფლება არ მქონდა. შემდეგ კი გამოძალვაზე გადავიდა. მან შეიტყო ჩიკაგოს საქმის შესახებ და გადაწყვიტა, რომ კარგი შანსი გაუჩნდა. რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა სიტუაცია დამშვიდდა და პოლიციამ უარი თქვა ჩემ წინააღმდეგ საქმის აღძრაზე, სმედიმ ოფისში გამომიგზავნა ანგარიში თავისი სამსახურის სანაცვლოდ:

„7 აპრილს, ჩიკაგოში მუსულმანების რიტუალური მსახურების დროს, მისტერ ტაისონი ესტუმრა ღამის კლუბს. მის მიერ პირობითი განთავისუფლების წესების სავარაუდო დარღვევა გაანალიზებული და დამუშავებულია დოქტორ სმედის მიერ. აღნიშნულ იქნა განთავისუფლების შემდეგ, მისტერ ტაისონის გამოჯანმრთელების პროცესში სერიოზული პრობლემები! მისტერ ტაისონთან მიმართებაში არსებობს მოქმედების ხუთი შესაძლო ვარიანტი. დოქტორ სმედიმ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა - გამოსულიყო შემდეგი რეკომენდაციებით:

1. დოქტორ სმედი არ ირჩევს მისტერ ტაისონის ინდიანას შტატში დაბრუნების ვარიანტს, როგორც ამას თავდაპირველად ითხოვდნენ ამ ახალგაზრდა ქალის პრეტენზიების განხილვისას. ქალმა ტაისონი დაადანაშაულა იმაში, რომ მას ღამის კლუბში სახეზე უკბინა.

2. დოქტორ სმედი არ ირჩევს მისტერ ტაისონის ჩიკაგოში დაბრუნების ვარიანტს, სადაც მას ელოდება სერიოზული დაკითხვა ქალაქის ხელისუფლებისგან.

3. დოქტორ სმედი არ ირჩევს ვარიანტს - დაუყოვნებლივ დააპატიმრონ მისტერ ტაისონი იმ ეპიზოდის გამოძიების პერიოდში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩიკაგოში ამა წლის 7 აპრილს.

4. დოქტორ სმედი არ ირჩევს ვარიანტს დაუმატოს სასჯელის ვადა მისტერ ტაისონს უკვე არსებულ პირობით ვადაზე ადრე ვადას.

5. დოქტორ სმედი ირჩევს მსხვილი „ფულადი ანაზღაურების" ვარიანტს, მაიკ ტაისონის აზროვნებისა და თვითშეგნების სათანადო დონის უზრუნველსაყოფად.

ნათქვამიდან გამომდინარე, დოქტორ სმედი აწესებს ჯარიმას შვიდი მილიონი დოლარის ოდენობით (ტაისონის პოტენციური ანაზღაურების გათვალისწინებით) - აღნიშნული მეტად სერიოზული საქციელისთვის. ის განიხილება მოქმედების რეციდივის პოტენციურ რისკად და ვადაზე ადრე განთავისუფლების პირობების დარღვევად. ეს ფულადი ანაზღაურება მიმართულია მისტერ ტაისონზე ზემოქმედების მოსახდენად. ის დიდხანს უნდა დარჩეს მის გონებაში. და ამით უნდა გაიაზროს საკუთარი მოქმედებები და რეალურ ცხოვრებაში გამოიყენოს ამგვარი „გონებრივი გამონათება", განსაკუთრებით ღამის კლუბებსა და სხვა ადგილებში, სადაც მრავლად არიან ახალგაზრდა ქალები. ეს უნდა ხდებოდეს მრავალწლიან პერსპექტივაში და განსაკუთრებით, პირობითი განთავისუფლების ვადის ამოწურვის შემდეგ.

რა თქმა უნდა, ასეთი ჯარიმა უნდა დაეკისროს პირობითი სასჯელის ვადის მსვლელობისას. შემდგომი საქციელი, რომლითაც დაირღვევა პირობითი სასჯელის პირობები, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთის ახალ ვადას. მითითებული თანხა - შვიდი მილიონი დოლარი მცირდება ორ მილიონამდე მისტერ ტაისონის პოზიტიური მონდომების გამო. გამონაკლისია 7 აპრილის ინციდენტი. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ეს ანაზღაურება მიმართულია პირობითი განთავისუფლების ვადის შენარჩუნებისკენ, გამორიცხავს შესაძლო მკვეთრ და ნეგატიურ შეტყობინებებს ინფორმაციის მასობრივ საშუალებებში. ეს იმ შემთხვევისთვის, თუ ტაისონი იძულებული იქნება ინდიანას შტატის ან ჩიკაგოს ხელისუფლების წინაშე წარსდგეს. იმ შეზღუდვების უმრავლესობა, რომელიც შემოიღეს ჩიკაგოს ინციდენტის შემდეგ, ამ მომენტისთვის მოხსნილია.

ხარჯების სრული ნუსხა:

ხარჯი 1996 წლის აპრილიდან აგვისტომდე: 182 862 დოლარი

7 აპრილის მდგომარეობით: თავდებით განთავისუფლებულის მიერ საქციელის გაუარესების გამო ანაზღაურება: 2 000 000 დოლარი.

შედეგად: დოქტორ სმედის ეკუთვნის 2 182 862 დოლარი.

თანხა გადახდილ უნდა იქნას 1996 წლის 15 სექტემბრამდე.

პატივისცემით: დოქტორი კ. სმედი".

ჯანდაბა! კარგი საქციელისთვის 5 მილიონი დოლარის ოდენობის ფასდაკლება მივიღე! ამ იდიოტისთვის არაფერი გადაგვიხდია და როგორც კი გამოსაცდელი ვადა ამოიწურა, გავანთავისუფლეთ.

ახლა, როცა საჩემპიონო ქამარი დავიბრუნე, ჩემმა განდიდების მანიამ ჩემი მოკრძალებულობა შეავიწროვა. კონექტიკუტში საკუთარ სახლში, ჩემი 30 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ზეიმის ორგანიზებისას, მთელი ქონება დავხარჯე ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩემი მეგობრების ავიაბილეთების შეძენასა და მათი მეზობელ სასტუმროში განთავსებაზე. 13 სხვადასხვა მზარეული მოვიწვიეთ და თითოეულს საკუთარი სამზარეულო ჰქონდა. ყველანი აქ იყვნენ: **ოპრადან** (ოპრა უინფრი - ამერიკელი ტელეწამყვანი, მსახიობი, პროდუსერი, საზოგადო მოღვაწე, თოქ-შოუ „ოპრა უინფრის შოუს" წამყვანი) **დონალდ ტრამპამდე** (ამერიკელი ბიზნესმენი, ცნობილი პიროვნება ტელევიზიასა და რადიოში, მწერალი), **ჯეი ზით** (პოპულარული ამერიკელი რეპერი) დაწყებული და ქუჩის სუტენიორებითა და მათი მეძავებით დამთავრებული. იყო ხელით შეხვეული სიგარები. იყო **ფრენს ბევერლის** (ამერიკელი მომღერალი, მუსიკოსი, სიმღერების ავტორი, პროდუსერი) და ჯგუფ „ლაბირინთის" გამოსვლა. სახლამდე გზა წითელი ხალიჩით იყო მორთული. როგორც კი ამ გზას გაივლიდით, კართან გხვდებოდათ 40 პირადი მცველი „ისლამის ნაყოფის" (შავკანიანთა რელიგიურ-ნაციონალისტური ორგანიზაციის - „ისლამის ნაციის" სამხედრო ფრთა, რომლის წევრები ატარებენ სახასიათო ცისფერ ან თეთრ კოსტიუმებს) კოსტიუმში გამოწყობილი.

იმდენად მანიაკალურ-ეგოისტური ვიყავი, რომ საკუთარ სახლში 19 ოთახი დავჯავშნე გოგონებისთვის, რომლებთანაც სექსს ვაპირებდი. „ნიანგს" ვუთხარი: *„ხედავ ამ გოგონებს? ისინი ჩემები არიან".* **ჰოუპი** ჩემზე გაბრაზებული იყო. ადრე ის ყოველთვის ჩემს სახლში რჩებოდა, მაგრამ ამჯერად, სასტუმროში გავუშვი, რომ მისი ოთახი გამეთავისუფლებინა ერთ-ერთი ჩემი თაყვანისმცემლისთვის. ნაწყენი დარჩა. ჰოუპი ძალიან მომხიბვლელი გოგონა იყო, თავისი ფიგურით აჯობებდა ყველას, ვისთანაც მე ვიწექი. მან მითხრა:

- მაიკ, ის გოგონა, რომელიც აქ მოიწვიე, უსიმპათიურო და ჭუჭყიანია. ის ჩემს საწოლს დასვრის. თუ მართლაც აქ დაიძინებს, მაშინ მატრასის დაწვა მოგიწევს.

მონიკას მოწვევით თავი არც კი შემიწუხებია. იმ დროს მას ძალიან იშვიათად ვხვდებოდი. ის ცდილობდა ჩვენი ურთიერთობის დალაგებას, მაგრამ მე ნაძირალა და ცხოველი ვიყავი. ეჭვგარეშეა, არ ვიყავი შექმნილი ოჯახისთვის.

(გაგრძელება იქნება)




მძლეოსნობა

# ადიდასმა მძლეოსნობას უარი უთხრა

სპორტული ინდუსტრიის გერმანულმა გიგანტმა „ადიდასმა" კონტრაქტი გაწყვიტა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციასთან, რისი მიზეზიც ბოლოდროინდელი დოპინგსკანდლები გახდა. ხელშეკრულების გაუქმება მის ამოწურვამდე ოთხი წლით ადრე მოხდა.

არც „ადიდასსა" და არც საერთაშორისო ფედერაციას მომხდართან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ. კომპანიის გადაწყვეტილებით, მძლეოსნობის ფედერაცია რამდენიმე ათეულ მილიონ ამერიკელ დოლარს დაკარგავს.

ეს კონტრაქტი 2008 წელს, 11 წლის ვადით გაფორმდა. ხელმოწერის მომენტში გამოცხადდა, რომ მისი ღირებულება 33 მილიონს შეადგენს, თუმცა წყარო ამტკიცებს, რომ რეალური თანხა გაცილებით მაღალი იყო.

ჯერჯერობით უცნობია, გაასაჩივრებს თუ არა საერთაშორისო ფედერაცია კონტრაქტის გაწყვეტას სასამართლოში. „ადიდასში" მიაჩნიათ, რომ თუ თანამშრომლობა გაგრძელდება, არსებობს ძალიან დიდი რისკი - ბრენდის რეპუტაციას სერიოზული ზიანი მიადგეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ამბები

ფორმულა 1

### სანვავის შევსება არ იქნება

ფორმულა 1-ის კომისიის სხდომაზე გადაწყვიტეს - არ დაუბრუნდნენ რბოლების მსვლელობისას საწვავის შევსების პრაქტიკას, - იტყობინება Autosport.

უარის მიზეზად ის დაასახელეს, რომ ეს ნაბიჯი გამოიწვევდა გუნდების მხრიდან დამატებით ხარჯებს, ეს კი ეწინააღმდეგება ხარჯების შემცირების გეგმებს. გარდა ამისა, გუნდების ზოგიერთ წარმომადგენელს მიაჩნია, რომ საწვავის ჩამატება ნეგატიურ გავლენას ახდენს რბოლების ინტრიგაზე.

სამთო თხილამურები

### ამერიკამ ოლიმპიური ჩემპიონი დაკარგა

სამთო თხილამურებში 1984 წლის ოლიმპიური ჩემპიონი **ბილ ჯონსონი** 55 წლის ასაკში გარდაიცვალა, - ამ ცნობას სააგენტო AFP ავრცელებს. ის არის პირველი ამერიკელი ისტორიაში, ვინც ოლიმპიადის ოქროს მედალი მოიპოვა სამთო თხილამურებში. 2010 წელს, მან ინსულტი გადაიტანა, სამი წლის შემდეგ ინფექციური დაავადება შეეყარა, რის შემდეგაც მეტყველების უნარი დაკარგა და სპეციალიზირებულ კლინიკაში ცხოვრობდა.

სპორტული კარიერა მან 1990 წელს დაასრულა, შემდეგ ამაოდ ცდილობდა სპორტში დაბრუნებას 2002 წელს, სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიადამდე.

ჰოკეი

### იაგრი ოლ სტარზე იქნება

ლეგენდარული ჩეხი **იარომირ იაგრი** არ გამოტოვებს „ყველა ვარსკვლავის მატჩს". ფორვარდმა „ოლ სტარზე" მონაწილეობა NHL-ის ოფიციალურ ვებგვერდზე დაადასტურა.

ადრე, 43 წლის ჩეხმა სთხოვა გულშემატკივრებს - არ მიეცათ მისთვის ხმა „ოლ სტარის" გამოკითხვაზე, რადგან „ყველა ვარსკვლავის მატჩი" ახალი ფორმატით გაიმართება - სამი სამზე შემადგენლობებით. მიუხედავად ამისა, იაგრი მაინც აირჩიეს ატლანტის დივიზიონის კაპიტნად.

### ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ოტავა-რეინჯერსი 3:0**

0:0, 1:0, 2:0

**გოლები**: 1:0 რაიანი-17 (კოუენი-4, ჰოფმანი-17), 2:0 ჰოფმანი-22 (ზიბანეჯადი-20), 3:0 პაგო-11.

**კაროლინა-კალგარი 5:2**

2:0, 1:1, 2:1

**გოლები**: 1:0 რასკი-12, 2:0 ლინდჰოლმი-7 (ბულიტი), 3:0 ვერსტიგი-9 (ე. სტაალი-20, ჰეინსი-10), 3:1 ჰუდლერი-6 (ჯორდანო-20, კოლბორნი-11), 3:2 კოლბორნი-6 (მარკუს გრანლუნდი-2, ბროდი-20), 4:2 ვერსტიგი-10 (სკინერი-9, ჯ. სტაალი-13), 5:2 ნორდსტრიომი-4 (ჯ. სტაალი-14, ნეშტრატილი-11).

**ჩიკაგო-სტ. ლუისი 2:0**

0:0, 1:0, 1:0

**გოლები**: 1:0 პანარინი-17 (პ. კეინი-43, როჟსივალი-4), 2:0 შოუ-9 (მარიან ჰოსა-17, ტ. ვან რიმსდიკი-4).

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი 2:3 (ო)**

0:0, 1:0, 1:2, 0:1

**გოლები**: 1:0 პაველსკი-24 (ჰერტლი-15, ჯ. ტორნტონი-30), 1:1 დაუტი-9 (მუზინი-21, კოპიტარი-28), 2:1 კუტური-3 (დონსკოი-14, მ. კარლსონი-4), 2:2 ლეკავალიე-4 (პირსონი-15, დ. ბრაუნი-11), 2:3 გაბორიკი-9 (ტოფოლი-15).

ქართველი NBA-ში

# აქილევსმა ზაზა ჰიუსტონამდე არ მიუშვა

## ქართველი ცენტრი რამდენიმე მატჩს გამოტოვებს




**ზაზა ფაჩულიას** „დალას მავერიქსმა" ჰიუსტონში ქართველი ცენტრის გარეშე იასპარეზა. ზაზას ფეხის ტრავმა აქვს და მწვრთნელმა, რიკ კარლაილმა ამიტომაც დაასვენა. ქართველი წინახაზელი ბოლო მატჩებია ტრავმიანი თამაშობს, აქილევსის მყესი აწუხებს. ამიტომაცაა, ორმაგ დუბლებს ერთმანეთზე რომ ველარ აწყობს. ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ ზაზამ დასვენება და მკურნალობა გადაწყვიტა. რამდენი მატჩის გამოტოვება მოუწევს, ჯერ უცნობია.

მის არყოფნაში სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა ტუნისელი ცენტრი **სალაჰ მეჯრი**, რომელმაც 10 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა. **ჩენდლერ პარსონსმა** 31 ქულა ჩააგდო, თუმცა ეს ყველაფერი „დალასს" გასამარჯვებლად არ ეყო. „ჰიუსტონმა" 115:104 აჯობა. გამარჯვებულთა სნაიპერი **ტრევორ არიზა** გახდა, რომელმაც 29 ქულას მოუყარა თავი, ხოლო **ჯეიმს ჰარდენმა** სამმაგი დუბლი შესრულა: 23 ქულა, 15 მოხსნა 10 პასი.

ამ მოგებით „ჰიუსტონმა" „დალასთან" ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა - ზაზას თანაგუნდელებს 25 მოგება, 21 წაგება აქვთ და ცხრილში მეექვსე ადგილზე არიან. „ჰიუსტონ როკეტსი" 24 მოგებითა და 22 მარცხით დასავლეთის კონფერენციაში მეშვიდეა.

„მავერიქსის" უახლოესი მატჩი 27 იანვარს „ლეიკერსთან" ელის.

ახალგაზრდული ნაკრებები. წილისყრა

# პირველად მასპინძლის რანგში


საქართველოს 18-წლამდე გოგონათა ნაკრები

**საქართველოს ეროვნული ნაკრების პარალელურად, მიუნხენში გამართულმა წილისყრამ ასაკობრივი ნაკრებების მეტოქეებიც გამოავლინა. ჩვენს ფედერაციას სურდა, ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის ემასპინძლა, თუმცა ფიბა-მ მხოლოდ ქალთა შეჯიბრების მასპინძლობის უფლებით დაგვაკმაყოფილა. თუმცა დასაწყისისთვის მაინც კარგია. მივყვეთ ასაკის მიხედვით...**

### 20-წლამდელები (ვაჟები)

20-წლამდელთა ნაკრების წილისყრის შედეგად, საქართველოს ნაკრები, რომელსაც **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი** წვრთნის, A ჯგუფში მოხვდა, სადაც ჩვენი მეტოქეები იქნებიან: პორტუგალია, ჩერნოგორია, მაკედონია და სომხეთი.

საქართველო 20-წლამდელთა B დივიზიონში საბერძნეთის ქალაქ ჰალკიდაში 15-დან 24 ივლისს იასპარეზებს. 21 გუნდი 4 კალათაში გადანაწილდა. საქართველო 5 გუნდიან ჯგუფში მოხვდა.

ჯგუფურ ეტაპს მეოთხედფინალი მოჰყვება, რომელშიც თითო ქვეჯგუფიდან პირველი და მეორეადგილოსნები ითამაშებენ.

A ჯგუფი: **საქართველო, ჩერნოგორია, პორტუგალია, მაკედონია, სომხეთი.**

B ჯგუფი: **პოლონეთი, რუსეთი, ისლანდია, ბელარუსი, ესტონეთი.**

C ჯგუფი: **დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, ჰოლანდია, კოსოვო, ირლანდია, ალბანეთი.**

D ჯგუფი: **ბოსნია, ხორვატია, ბულგარეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი.**

#### ჩვენი ჯგუფის კალენდარი

**15 ივლისი**
სომხეთი-მაკედონია
საქართველო-ჩერნოგორია

**16 ივლისი**
პორტუგალია-სომხეთი
მაკედონია-ჩერნოგორია

**17 ივლისი**
საქართველო-მაკედონია
ჩერნოგორია-პორტუგალია

**19 ივლისი**
სომხეთი-ჩერნოგორია
პორტუგალია-საქართველო

**20 ივლისი**
მაკედონია-პორტუგალია
საქართველო-სომხეთი

### 18-წლამდელები (ვაჟები)

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებიც B დივიზიონში ასპარეზობს. **გია კაზანჯიანის** გაწვრთნილი გუნდი 29 ივლისიდან 7 აგვისტომდე მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში ითამაშებს.

24 გუნდი 4 ჯგუფში გადანაწილდა. საქართველო მოხვდა D ჯგუფში ალბანეთთან, სლოვაკეთთან, ინგლისთან, შოტლანდიასთან და უკრაინასთან.

18-წლამდელთა შეჯიბრებაც 20-წლამდელების ანალოგიურია - ჯგუფური ეტაპის შემდეგ გუნდები ერთმანეთს მეოთხედფინალში დაუპირისპირდებიან.

A ჯგუფი: **ბულგარეთი, უნგრეთი, კვიპროსი, ირლანდია, პოლონეთი, მაკედონია.**

B ჯგუფი: **რუმინეთი, ბელგია, ბელარუსი, პორტუგალია, ჩერნოგორია, ავსტრია.**

C ჯგუფი: **ესტონეთი, ჩეხეთი, ისლანდია, ლუქსემბურგი, დანია, ჰოლანდია.**

D ჯგუფი: **საქართველო, ინგლისი, სლოვაკეთი, შოტლანდია, უკრაინა, საქართველო.**

#### ჩვენი ჯგუფის კალენდარი

**29 ივლისი**
საქართველო-ალბანეთი
უკრაინა-ინგლისი
სლოვაკეთი-შოტლანდია

**30 ივლისი**
საქართველო-შოტლანდია
ინგლისი-სლოვაკეთი

**31 ივლისი**
საქართველო-ინგლისი
სლოვაკეთი-უკრაინა
შოტლანდია-ალბანეთი

**2 აგვისტო**
ალბანეთი-სლოვაკეთი
ინგლისი-შოტლანდია
საქართველო-უკრაინა

**3 აგვისტო**
საქართველო-სლოვაკეთი
ინგლისი-ალბანეთი
შოტლანდია-უკრაინა

### 16-წლამდელები (ვაჟები)

11-20 აგვისტოს ბულგარეთის ქალაქ სოფიაში 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები გაიმართება. ისევე როგორც ჭაბუკებში აქაც 24 გუნდი შეიკრიბა და 4 ჯგუფში გადანაწილდა. საქართველო (მწვრთნელი, **კოტე ტულუში**) მოხვდა D ჯგუფში ჩეხეთთან, სლოვაკეთთან, ბელგიასთან, ისლანდიასთან და მასპინძელ ბულგარეთთან. სერიოზული ჯგუფია, ვერაფერს იტყვი...

მომდევნო ეტაპზე ჯგუფებში პირველ და მეორე ადგილზე გასულები ითამაშებენ.

A ჯგუფი: **ლუქსემბურგი, დანია, ბელარუსი, რუსეთი, ჰოლანდია, პორტუგალია.**

B ჯგუფი: **ირლანდია, ისრაელი, მაკედონია, უნგრეთი, შოტლანდია, ინგლისი.**

C ჯგუფი: **ნორვეგია, სლოვენია, რუმინეთი, ავსტრია, კოსოვო, უკრაინა.**

D ჯგუფი: **საქართველო, სლოვაკეთი, ბულგარეთი, ჩეხეთი, ისლანდია, ბელგია.**

#### ჩვენი ჯგუფის კალენდარი

**11 აგვისტო**
საქართველო-ისლანდია
ბულგარეთი-ჩეხეთი
ბელგია-სლოვაკეთი

**12 აგვისტო**
საქართველო-ბულგარეთი
ჩეხეთი-ბელგია
სლოვაკეთი-ისლანდია

**13 აგვისტო**
საქართველო-ბელგია
ბულგარეთი-ისლანდია
ჩეხეთი-სლოვაკეთი

**15 აგვისტო**
საქართველო-ჩეხეთი
ისლანდია-ბელგია
სლოვაკეთი-ბულგარეთი

**16 აგვისტო**
საქართველო-სლოვაკეთი
ბელგია-ბულგარეთი
ჩეხეთი-ისლანდია

### 18-წლამდელები (გოგონები)

2016 წელს თბილისი 18 წლამდე გოგონათა C დივიზიონის მატჩებს უმასპინძლებს. შეჯიბრება 8-13 ივლისს თბილისში გაიმართება და მასში 7 ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. ჯგუფები ასე განაწილდა:

A ჯგუფი: **სომხეთი, ანდორა, უელსი.**

B ჯგუფი: **საქართველო, მალტა, გიბრალტარი, კოსოვო.**

მოვისმინოთ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, **მიხეილ გაბრიჩიძის** კომენტარი:

*- როგორც იცით, პირველად ქართული კალათბურთის ისტორიაში, თბილისი ფიბა-ევროპის ტურნირს მასპინძლობს. 8-13 ივლისს საქართველოში ჩამოვა 7 უცხოური ნაკრები და საკმაოდ დიდი გამოწვევა გველის. ფიბა-ევროპამ ეს პასუხისმგებლობა რომ დაგვაკისრა, იმის ნიშანია, რომ თუ ამ ტურნირს მაღალ დონეზე ჩავატარებთ, მომავალში უფრო სოლიდური შეჯიბრებების მასპინძლობის საშუალება მოგვეცემა.*

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

## ლეგიონი

### იტალია
## მეტრეველისა და ჯანელიძის გამარჯვებები



მეტრეველი (28)
იუვეკასერტას ფორმით

**ნიკა მეტრეველმა** „იუვეკაზერტას" მაისურით პირველი გამარჯვება იზეიმა. ქართველმა ფორვარდმა იტალიის სერია „ა"-ში გუნდი გამოიცვალა და ახალ გუნდში მეორედ ითამაშა. კასერტელები სტუმრად მთელი თამაშის განმავლობაში აგებდნენ „ტორინოსთან", ერთხანს 15 ქულითაც, თუმცა ბოლო პერიოდში დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და 10-წუთეულის 26:13 მოგების შემდეგ 87:83 იმარჯვეს.

ქართველი ფორვარდი მოედანზე მხოლოდ 6 წუთით გამოჩნდა. ამ მოკლე დროში 3-ჯერ შეუტია საშუალო მანძილიდან, თუმცა ვერც ერთი ვერ ჩააგდო და შეხვედრა ერთადერთი მოხსნით დაასრულა. 21-21 ქულით გამარჯვებულთაგან **მიკა დაუნსი** და **ვიქტორ გადეიდფორსი** გამოირჩნენ.

7 მოგებითა და 10 მარცხით მეტრეველის გუნდი მე-11 ადგილზეა და შემდეგი მატჩი შინ, 31 იანვარს, „ვანოლისთან" ელის.

■ ■ ■

იტალიის რიგით მეორე ლიგაში „ავრორას" „რეკანატის" დამარცხებაში დაეხმარა **გიგა ჯანელიძე**. ავრორელებმა საშინაო შეხვედრაში 86:83 იმარჯვეს.

გიგამ 22 წუთი ითამაშა, 7 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა. მან 3-დან 2 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

„ავრორა ბასკეტი" 6 მოგებითა და 12 მარცხით ლიგაში მე-14 ადგილზეა. მომდევნო მატჩი 31 იანვარს „მატერასთან" ელის.

### აშშ
## სანაძის ცხრიანი




**დუდა სანაძის** „სან დიეგოს" წარუმატებელი სვლა გრძელდება. „ტორეროსი" მორიგ მატჩში ცხრილში მეზობელ „ლოიოლას" უნივერსიტეტის გუნდს ხვდებოდა და პირველი ტაიმის შემდეგ 6 ქულითაც იგებდა, მაგრამ კარგად დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოახერხა და საბოლოოდ 63:67 დამარცხდა.

საქართველოს ნაკრების წევრმა სანდიეგოელთა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 27 წუთში 9 ქულა, 5 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა. სანაძემ 6-დან 3 ორქულიანი და 3-დან 1 სამიანი ჩააგდო. „სან დიეგოში" საუკეთესო შედეგი სერბმა ლეგიონერმა **ვასა პუსიკამ** დააფიქსირა, რომელმაც 17 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა. ლოიოლას კი **ადომ იაცკომ** ულიდერა, რომელმაც შეხვედრა 23 ქულით დაასრულა.

7 წაგებითა და ერთადერთი გამარჯვებით „სან დიეგო" 10-გუნდიან „ვესტ ქოუსტის" კონფერენციაში ბოლო ადგილზეა. მომდევნო მატჩს 29 იანვარს „პეპერდაინის" უნივერსიტეტთან გამართავს.

### ლიბანი
## მეხუთე ტურის MVP: ცქიტიშვილი


ცქიტიშვილის შეტევა

ერთ-ერთი პირველი, ვის საქართველოს ნაკრებში დაბრუნებაზეც ახალი მწვრთნელი უნდა დაფიქრდეს, **ნიკოლოზ ცქიტიშვილია**, რომელიც ლიბანის ჩემპიონატში კვლავ საუკეთესოა. „ჰუპსთან" 94:97 წაგების მიუხედავად ნიკა მე-5 ტურის MVP-ად აღიარეს.

მან „ჰუპსთან" დაძაბულ მატჩში 33 ქულა, 11 მოხსნა და 6 ჩაჭრა მოაგროვა, მარგი ქმედების კოეფიციენტი კი 53 ჰქონდა.

„აზიაბასკეტზე" ვკითხულობთ: *„ქართველ ფორვარდ ნიკოლოზ ცქიტიშვილს საოცარი საღამო გამოუვიდა. მისი დამსახურება იყო, „შამპვილი" „ჰუპსს" ბოლომდე რომ ებრძოდა, მაგრამ მაინც დამარცხდა. თუმცა ეს ქართველის გარჯას სულაც არ აფერმკრთალებს. მას საშუალო მაჩვენებლებიც მშვენიერი აქვს: 25.3 ქულა, 13.3 მოხსნა."*

# NBA

კალათბურთი. რეგულარული ჩემპიონატი

## ნოვიცკიმ ნაკრები დაამთავრა



„დალას მავერიქსის" ფორვარდმა **დირკ ნოვიცკიმ** სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. 37 წლის კალათბურთელს დებიუტი ეროვნულ გუნდში 1997 წელს ჰქონდა. სულ ნოვიცკიმ გერმანიის ნაკრებში 153 მატჩი ჩაატარა და ჯამში 3045 ქულა დააგროვა. ბოლო მატჩი მან 2015 წლის ევრობასკეტზე ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარა და 76:77 წააგო. ნოვიცკიმ მეორე ადგილი დაიკავა 2005 წლის ევრობასკეტზე და მესამე ადგილი - მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე. დირკი 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გერმანიის ოლიმპიური ნაკრების მედროშე იყო.

### შედეგები

**ბრუკლინი-ოკლაჰომა 116:106**

30:28, 30:24, 25:25, 31:29

**ბ:** ლოპესი (31+10 მოხსნა), ბოგდანოვიჩი (18), იანგი (14+14 მოხსნა), ჯონსონი (13+6 პასი), სლოუნი (11).

**ო:** დურანტი (32+10 მოხსნა+7 პასი), უესტბრუკი (27+11 მოხსნა+7 პასი), იბაკა (10+8 მოხსნა), პეინი (10), კანტერი (8+10 მოხსნა).

**ჰიუსტონი-დალასი 115:104**

36:29, 14:29, 34:27, 31:19

**ჰ:** არიზა (29), ჰარდენი (23+15 მოხსნა+10 პასი), სმიტი (16), ბრიუერი (13), ლოუსონი (10).

**დ:** პარსონსი (31), ნოვიცკი (19), ფელტონი (16+8 მოხსნა), მეტიუზი (15), მეჯრი (10+11 მოხსნა).

**ტორონტო-კლიპერსი 112:94**

27:34, 35:15, 21:22, 29:23

**ტ:** ლოური (21+6 პასი), ვალანჩუნასი (20+8 მოხსნა), დეროზანი (18), როსი (18), ჯოზეფი (12), პატერსონი (10), ბიიომბო (10+9 მოხსნა).

**კ:** პოლი (23+11 პასი), რედიკი (17), ჯორდანი (15+13 მოხსნა).

**ფილადელფია-ბოსტონი 92:112**

25:30, 18:28, 26:36, 23:18

**ფ:** კოვინგტონი (25+8 მოხსნა), ნოელი (12+9 მოხსნა), ოკაფორი (10).

**ბ:** ტომასი (20), კრაუდერი (20), ბრედლი (19), სმარტი (16), ტერნერი (11), სალინჯერი (8+11 მოხსნა+7 პასი), ჯონსონი (3+12 მოხსნა).

## ტორონტო კლივლენდს დაეწია


ბრუკლინი-ოკლაჰომა

რეგულარულ ჩემპიონატში გუშინ სამი მატჩი იყო დაგეგმილი, თუმცა მათ დაემატა შეხვედრა „ფილადელფიასა" და „ბოსტონს" შორის, რომელიც წინა დღეს გადაიდო უამინდობის გამო. „სელტიქსმა" შეძლო პირველი ტაიმის 15 ქულით მოგება, შესვენების შემდეგ კი განავრცო უპირატესობა და სეზონში 25-ე გამარჯვება მოიპოვა. „კელტები" აღმოსავლეთში მეხუთე ადგილზე არიან.

დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა აღმოსავლეთის ბოლოსწინა გუნდის „ბრუკლინის" შინ მოგება „ოკლაჰომასთან", რომელიც ზედიზედ შვიდი მოგებით იწონებდა თავს. თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. „ბრუკლინმა" მეორე მეოთხედში მცირე უპირატესობა მოიპოვა და მას საფინალო სირენამდე ინარჩუნებდა. „თანდერს" ვერ უშველა **დურანტისა** და **უესტბრუკის** 59-მა ქულამ და მათ მიერ შესრულებულმა ორმაგმა დუბლებმა.

სამაგიეროდ, გააგრძელა მოგებათა სერია „ტორონტომ". კანადურმა კლუბმა 18 ქულით გაანადგურა შინ „კლიპერსი" და ზედიზედ მერვე გამარჯვება გაიფორმა. შეხვედრა უკეთ სტუმრებმა დაიწყეს, მაგრამ მთლიანად ჩააგდეს მეორე მეოთხედი - ეს 12-წუთეული 20 ქულით დათმეს. შესვენების შემდეგ, კალიფორნიელებმა დროებით შეძლეს ბრძოლაში დაბრუნება, მაგრამ მეოთხე მეოთხედში ყველაფერი თავის ადგილას დადგა. „ტორონტომ" თავისი არსებობის ისტორიაში მეორედ მოიგო ზედიზედ რვა მატჩი და ახლა, აღმოსავლეთის ლიდერს „კლივლენდს" მხოლოდ ერთი მოგებით ჩამორჩება.

**ზაზა ფაჩულიას** გარეშე მოთამაშე „დალასმა" სტუმრად წააგო „ჰიუსტონთან". სეზონში მეორე სამმაგი დუბლი შეასრულა **ჯეიმს ჰარდენმა** - 23 ქულა, 15 მოხსნა და 10 შედეგიანი პასი.

### ყველა დროის საუკეთესოები

## ESPN-ის საუკეთესო ასეული: 91-100







ტელეკომპანია ESPN-მა გრანდიოზული გამოკითხვა ჩაატარა - გამოავლინა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველა დროის 100 საუკეთესო მოთამაშე და მათი ათეულებად გამოქვეყნება დაიწყო. ჯერ გავიცნოთ 91-დან მე-100 ადგილებზე გასული მოთამაშეები...

**91. მორის ჩიქსი**

პოზიცია: გამთამაშებელი

**გუნდები:** Philadelphia 76ers (1978-89), San Antonio Spurs (1989-1990), New York Knicks (1990-91), Atlanta Hawks (1991-92), New Jersey Nets (1992-93)

**მიღწევები:** 4-გზის ოლსტარი, 5-ჯერ დაცვის სიმბოლურ ნაკრებში

**ჩემპიონობა:** 1 (1983)

**სტატისტიკა:** 11.1 ქულა, 6.7 მოხსნა, 2.1 ჩაჭრა, 52.3%

**92. ნეიტ ტერმონდი**

პოზიცია: მძიმე ფორვარდი

**გუნდები:** San Francisco/Golden State Warriors (1963-74) Chicago Bulls (1974-76), Cleveland Cavaliers (1976-77)

**მიღწევები:** 7-გზის ოლსტარი, 5-ჯერ დაცვის სიმბოლურ ნაკრებში, დიდების დარბაზი

**ჩემპიონობა:** არა

**სტატისტიკა:** 15.0 ქულა, 15.0 მოხსნა, 2.1 დაფარება, 42.1%

**მეტსახელი:** Nate The Great

**93. ლენი უილკინსი**

პოზიცია: გამთამაშებელი

**გუნდები:** St. Louis Hawks (1960-68), Seattle SuperSonics (1968-72), Cleveland Cavaliers (1972-74), Portland Trail Blazers (1974-75)

**მიღწევები:** 9-გზის ოლსტარი, დიდების დარბაზი

**ჩემპიონობა:** არა

**სტატისტიკა:** 16.5 ქულა, 4.7 მოხსნა, 6.7 პასი, 43.2%

**94. მარკ პრაისი**

პოზიცია: გამთამაშებელი

**გუნდები:** Cleveland Cavaliers (1986-95), Washington Bullets (1995-96), Golden State Warriors (1996-97), Orlando Magic (1997-98)

**მიღწევები:** 4-გზის ოლსტარი, 4-ჯერ სიმბოლურ ნაკრებში

**ჩემპიონობა:** არა

**სტატისტიკა:** 15.2 ქულა, 6.7 პასი, 1.2 ჩაჭრა, სამქულიანები - 40,2%

**95. მარკ გასოლი**

პოზიცია: ცენტრი

**გუნდები:** Memphis Grizzlies (2008-)

**მიღწევები:** 2-გზის ოლსტარი, 2-ჯერ სიმბოლურ ნაკრებში, წლის საუკეთესო დამცველი (2012-13), ერთხელ დაცვის სიმბოლურ ნაკრებში

**ჩემპიონობა:** არა

**სტატისტიკა:** 14.3 ქულა, 7.8 მოხსნა, 1.5 დაფარება, 50.3%

**96. ბობი ჯონსი**

პოზიცია: მძიმე ფორვარდი

**გუნდები:** Denver Nuggets (1974-78), Philadelphia 76ers (1978-86)

**მიღწევები:** 5-გზის ოლსტარი, ერთხელ სიმბოლურ ნაკრებში, 11-ჯერ დაცვის სიმბოლურ ნაკრებში, საუკეთესო მეექვსე მოთამაშე (1982-83)

**ჩემპიონობა:** 1 (1983)

**სტატისტიკა:** 12.1 ქულა, 6.1 მოხსნა, 1.5 ჩაჭრა, 56.0%

**97. ჯეიმს ჰარდენი**

პოზიცია: მსროლელი მცველი

**გუნდები:** Oklahoma City Thunder (2009-12), Houston Rockets (2012-)

**მიღწევები:** 3-გზის ოლსტარი, 3-ჯერ სიმბოლურ ნაკრებში, საუკეთესო მეექვსე მოთამაშე (2011-12)

**ჩემპიონობა:** არა

**სტატისტიკა:** 20.3 ქულა, 4.4 მოხსნა, 4.6 პასი, 44.1%

**მეტსახელი:** The Beard

**98. გეილ გუდრიჩი**

პოზიცია: მსროლელი მცველი

**გუნდები:** Los Angeles Lakers (1965-68, 1970-76), Phoenix Suns (1968-70), New Orleans Jazz (1976-79)

**მიღწევები:** 5-გზის ოლსტარი, ერთხელ სიმბოლურ ნაკრებში, დიდების დარბაზი

**ჩემპიონობა:** 1 (1972)

**სტატისტიკა:** 18.6 ქულა, 4.7 პასი, 1.3 ჩაჭრა, 45.6%

**მეტსახელი:** Stumpy

**99. კევინ ლავი**

პოზიცია: მძიმე ფორვარდი

**გუნდები:** Minnesota Timberwolves (2008-14), Cleveland Cavaliers (2014-)

**მიღწევები:** 3-გზის ოლსტარი, 2-ჯერ სიმბოლურ ნაკრებში, ყველაზე პროგრესირებადი მოთამაშე (2010-11)

**ჩემპიონობა:** არა

**სტატისტიკა:** 18.5 ქულა, 11.7 მოხსნა, 44.6%, სამქულიანები - 36.3%

**100. შონ კემპი**

პოზიცია: მძიმე ფორვარდი

**გუნდები:** Seattle SuperSonics (1989-1997), Cleveland Cavaliers (1997-2000), Portland Trail Blazers (2000-2002), Orlando Magic (2002-03)

**მიღწევები:** 6-გზის ოლსტარი, 3-ჯერ სიმბოლურ ნაკრებში

**ჩემპიონობა:** არა

**სტატისტიკა:** 14.6 ქულა, 8.4 მოხსნა, 1.2 დაფარება, 48.8%

**მეტსახელი:** Reign Man

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

### ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიფი** | |
| ბარნლი-დერბი | 4:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ლივორნო-კომო | 1:1 |
| **ლეგაპრო. A ჯგუფი** | |
| რეჯანა-ლუმეცანე | 2:0 |
| **ლეგაპრო. C ჯგუფი** | |
| მატერა-ფიდელის ანდრია | 0:0 |
| **ესპანეთი** | |
| ლევანტე-ლას პალმასი | 3:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-ბრესტი | 2:1 |
| კლერმონი-ჰავრი | 2:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ახილესი-ფორტუნა | 3:0 |
| აიაქსი II-ბრედა | 2:1 |
| **პორტუგალია** | |
| ტონდელა-ბოავიშტა | 1:2 |
| **შოტლანდია** | |
| **ჩემპიონშიფი** | |
| მორტონი-რეინჯერსი | 0:2 |
| **საბერძნეთი** | |
| ირაკლისი-პლატანიასი | 0:0 |
| **თურქეთი** | |
| ისთანბული-ქასიმფაშა | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ალთინორდუ-ბოლუ | 0:2 |
| **კვიპროსი** | |
| დოქსა-აიია | 2:0 |
| **ავსტრალია** | |
| მელბურნი-ველინგტონი | 3:1 |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 80:66 |
| **იტალია** | |
| პისტოია-პეზარო | 77:75 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (ნ)-ვიტიაზი | 2:3 |
| ავანგარდი-ტრაქტორი | 1:2 |
| ბარისი-ნეფტეხიმიკი | 1:2 |
| სიბირი-დინამო (მ) | 2:3 (ბ) |
| იუგრა-ს. იულიაევი | 5:3 |
| მეტალურგი (მ)-ავტომობილისტი | 6:2 |
| ლადა-აკ ბარსი | 1:0 (ბ) |
| ტორპედო-იოკერიტი | 5:6 (ბ) |
| სევერსტალი-სპარტაკი | 3:0 |
| სკა-ცსკა | 2:3 |
| დინამო (რ)-დინამო (მნ) | 0:3 |
| **ხელბურთი** | |
| **ევრ. ჩემპიონატი** | |
| მაკედონია-ნორვეგია | 31:31 |
| პოლონეთი-ბელარუსი | 32:27 |

### TV-პროგრამა (LIVE)

**SILK SPORT HD1**

**26 იანვარი. სამშაბათი**

**23:45** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ჰერაკლესი (LIVE).

**SETANTA SPORT**

**26 იანვარი. სამშაბათი**

**04:00** ჰოკეი. NHL. ბოსტონი-ანაჰაიმი (LIVE).

**07:00** ჰოკეი. NHL. ვანკუვერი-ნეშვილი (LIVE).

**SETANTA SPORT+**

**26 იანვარი. სამშაბათი**

**23:40** ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩი. ლივერპული-სტოკი (LIVE).

**EUROSPORT 1**

**26 იანვარი. სამშაბათი**

**04:00, 06:00, 12:30** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. 1/4 ფინალი (LIVE).

**20:30** სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი. კაცები (LIVE).

**EUROSPORT 2**

**26 იანვარი. სამშაბათი**

**21:45** კალათბურთი. ევროთასი. ნეპტუნასი-მილანი (LIVE).

**23:30** კალათბურთი. ევროთასი. ლიმოჟი-ვალენსია (LIVE).

### ამინდი

| 26 იანვარი დეკემბერი | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -5 | -2 | მცირე თოვლი |
| ქუთაისი | -5 | -1 | მზე |
| ბათუმი | 0 | 1 | მცირე თოვლი |
| ბორჯომი | -8 | -4 | მზე |
| ზუგდიდი | -5 | 0 | მზე |
| ბაკურიანი | -14 | -6 | თოვლი |
| გორი | -6 | -3 | მზე |
| გუდაური | -19 | -9 | მზე |
| თელავი | -5 | -3 | თოვლი |
| მესტია | -15 | -7 | თოვლი |
| სიღნაღი | -6 | -4 | თოვლი |
| ფოთი | -2 | 2 | მცირე თოვლი |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4694 ლარი |
| ევრო | 2.6766 ლარი |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5228 ლარი |
| 100 რუსული რუბლი | 3.0883 ლარი |

# Australian Open

ავსტრალიის ღია პირველობა
მელბურნი. 18-31 ნოემბერი

## აქაც ჩაწყობა?

ავსტრალიის ღია პირველობაზე წყვილთა თანრიგის ერთ-ერთმა მატჩმა ბუკმეიკერთა ეჭვი გამოიწვია. ლაპარაკია **ჰლავაჩკოვა/კუბოტისა** და **არუაბარენა/მარეროს** შეხვედრაზე. ამ თამაშზე საეჭვოდ დიდი რაოდენობის ფსონები შევიდა.

ეს იყო პირველი წრის მატჩი და ის ჰლავაჩკოვასა და კუბოტის გამარჯვებით დასრულდა - 6:0, 6:3. New York Times-ის ინფორმაციით, ბუკმეიკერები შეშფოთდნენ ამ წყვილის მოგებაზე შესული თანხის დიდი რაოდენობით. მატჩის დაწყებამდე 13 საათით ადრე, ფსონების მიღება შეწყვიტეს. Tennis Integrity Unit-ის წარმომადგენლები უკვე ესაუბრნენ მატჩის მონაწილეებს. არუაბარენამ და მარერომ უარყვეს ბრალდება და წაგება მარეროს მუხლის ტრავმას დააბრალეს.





მონფილსი თავს სწირავდა

# რაონიჩი უკვე დიდი ბიჭია

## კანადელმა წელს ორივე შვეიცარიელი ვარსკვლავი დაამარცხა

ავსტრალიის ღია პირველობის განთესილთა ტოპ-ოთხეულს პირველი წევრი გამოაკლდა. მელბურნის კორტების 2014 წლის ტრიუმფატორმა **სტენ ვავრინკამ** ვერ გაიარა მერვედფინალის ბარიერი. მან ხუთსეტიანი თრილერი დათმო კანადელ **მილოშ რაონიჩთან**, რომელსაც 2016 წლის სეზონში რვიდან რვა მოგება აქვს.

ჩრდილოამერიკელისგან დიდი ხანია ელოდებიან უკვე კარგა ხნის წინ გაცემული ავანსების გამართლებას და, შესაძლოა, ეს სეზონი გარდამტეხი აღმოჩნდეს. რაონიჩმა წლის დასაწყისში ბრისბენის ტურნირი მოიგო, თან ფინალში **როჯერ ფედერერი** დაამარცხა, გუშინ კი მეორე შვეიცარიელი ვარსკვლავიც ჩამოიცილა გზიდან.

შეხვედრა სამი საათი და 44 წუთი გაგრძელდა, რომლის დროსაც მილოშმა 82 „ვინერსი" და 24 ეისი შეასრულა და 6:4, 6:3, 5:7, 4:6, 6:3 მოიგო. ეს ამ ჩოგბურთელთა მეხუთე შეხვედრა იყო და კანადელმა პირველად დაამარცხა შვეიცარიელი.

პირველი სეტი თითქმის თანაბარი იყო. პირველმა რვა გეიმმა ისე ჩაიარა, რომ არც ერთი ბრეიკ-პოინტი არ დაფიქსირებულა. რაონიჩმა პირველი ასეთი შანსი მეცხრე გეიმში მიიღო და გამოიყენა კიდეც, რის შემდეგაც, სეტზე ჩააწოდა. სამაგიეროდ, მეორე პარტიაში უხვად იყო ბრეიკები. ჯერ ვავრინკამ მოახერხა 2:0 დაწინაურება, მაგრამ ამის შემდეგ, ერთბაშად სამჯერ დათმო საკუთარი მოწოდება და რაონიჩმა სეტებში 2:0 წაიყვანა ანგარიში.

რაონიჩის ასეთი თამაშის შემხედვარე, თითქოს მისი შეჩერება შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ ვავრინკამ დაალაგა თამაში საკუთარ მოწოდებაზე, კანადელს მესამე სეტში მხოლოდ ერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, რომელიც ვერ გამოიყენა, სტენმა კი 5:5-ზე მესამე ცდიდან შეძლო მეტოქის მოწოდების აღება, რის შემდეგაც სეტზე ჩაწოდება პრობლემა აღარ ყოფილა.

მეოთხე სეტი მარათონული გეიმით დაიწყო, რომელშიც შვიდჯერ დაფიქსირდა „თანაბარი" და 20 ქულა გათამაშდა. ვავრინკამ ვერ შეძლო ორი ბრეიკ-პოინტის გამოყენება, შემდეგ კი ორი ასეთი საფრთხის მოგერიებამ თავად მოუწია მეოთხე გეიმში. ყველაფერი მომდევნო გეიმში გადაწყდა, რომელშიც შვეიცარიელმა ბრეიკი შეასრულა. სტენს დიდი ჯაფა დაადგა ამ უპირატესობის შესანარჩუნებლად მერვე გეიმში, როცა მილოშმა სამი შანსი ვერ გამოიყენა ანგარიშის გასათანაბრებლად. ვავრინკა გადარჩა და შემდეგ „მშრალი" ანგარიშით მოიგო ბოლო გეიმი.

ფსიქოლოგიური უპირატესობა, რა თქმა უნდა, უფრო გამოცდილი ვავრინკას მხარეს იყო. მაგრამ რაონიჩი გაუმკლავდა ნერვებს. კანადელმა მაქსიმალური კონცენტრაცია მოახერხა და მეხუთე სეტი ისე ჩაატარა, რომ ერთი ბრეიკ-პოინტიც კი არ მისცა მეტოქეს. მატჩის კულმინაცია მეექვსე გეიმი იყო. ჩოგბურთელებმა 11 ქულა გაითამაშეს, რომლის დროსაც მილოშმა ორი ბრეიკ-პოინტი მიიღო და მეორე შანსი გამოიყენა. ვავრინკა მატჩის კიდევ ერთხელ შემომბრუნებელი არ ჩანდა. რაონიჩის გეიმებში ბრძოლა თითქმის აღარ იყო და მატჩზე ჩაწოდებისას, კანადელმა „მშრალი" ანგარიშით აიღო გეიმი.

25 წლის რაონიჩი ამ მოგებით ერთგვარად ისტორიაში შევიდა. ის გახდა პირველი კანადელი ისტორიაში, ვინც „დიდი სლემის" ოთხივე ტურნირის მეოთხედფინალში გასულა.

გაცილებით იოლად მოიგო რაონიჩის მომავალმა მეტოქემ **გაელ მონფილსმა**. მან ორ საათსა და 37 წუთში 44 „ვინერსი" და 14 ეისი შეასრულა რუსი **ანდრეი კუზნეცოვის** წინააღმდეგ - 7:5, 3:6, 6:3, 7:6(4). ფრანგის ანგარიშზე შვიდიდან სამი გამოყენებული ბრეიკ-პოინტი მოდის. აღსანიშნავია, რომ მონფილსი კარიერაში პირველად გავიდა ავსტრალიის ღიას მეოთხედფინალში.

■ ■ ■

ბოლო მეოთხედფინალური წყვილი შეადგინეს **ენდი მარეიმ** და **დავიდ ფერერმა**. მათ სამ სეტში მოიგეს თავიანთი შეხვედრები.

ბრიტანელმა ჩოგბურთელმა დაამტკიცა, რომ ავსტრალიელი ჩოგბურთელების რისხვაა - ენდიმ ზედიზედ მეჩვიდმეტედ დაამარცხა ამ ქვეყნის წარმომადგენელი. ამჯერად, მარეის მსხვერპლი **ბერნარდ ტომიჩი** აღმოჩნდა. შეხვედრა ორი საათი და 30 წუთი გაგრძელდა - 6:4, 6:4, 7:6(4).

სხვათა შორის, ორივე ჩოგბურთელი ძალიან ცუდად თამაშობდა საკუთარ მოწოდებაზე. პირველ სეტში ხუთი ბრეიკი დაფიქსირდა, მეორეში კი პირველ ექვს გეიმში ვერც ერთმა ვერ შეძლო საკუთარი მოწოდების აღება.

რაც შეეხება ფერერს, მას ტაიბრეიკამდეც არ მიუყვანია საქმე **ჯონ ისნერის** წინააღმდეგ. ესპანელი თითქმის იდეალური იყო მოწოდებაზე: პირველი მოწოდებით ქულების 82 პროცენტი აიღო, მეორეთი - 74 პროცენტი. დავიდი ბრწყინვალედ იყენებდა ბრეიკ-პოინტებს - სამიდან სამი აიღო, ისნერმა - სამიდან ნული. შეხვედრა ორი საათი და ოთხი წუთი გრძელდებოდა - 6:4, 6:4, 7:5.

მარეისა და ფერერს შორის ურთიერთშეხვედრათა ანგარიშია - 15:6 ბრიტანელის სასარგებლოდ. ენდის 2011 წელს, ავსტრალიის ღიას ნახევარფინალში ჰყავს დამარცხებული ესპანელი.

### კაცები

#### 1/8 ფინალი

**მონფილსი (საფ, 23)**-კუზნეცოვი (რუს) 7:5, 3:6, 6:3, 7:6(4)
**რაონიჩი (კან, 13)**-ვავრინკა (შვეიც, 4) 6:4, 6:3, 5:7, 4:6, 6:3
**ფერერი (ესპ, 8)**-ისნერი (აშშ, 10) 6:4, 6:4, 7:5
**მარეი (ბრიტ, 2)**-ტომიჩი (ავსტრა, 16) 6:4, 6:4, 7:6(4)

#### 1/4 ფინალი

ჯოკოვიჩი (სერ, 1)-ნიშიკორი (იაპ, 7)
ფედერერი (შვეიც, 3)-ბერდიხი (ჩეხ, 6)
მონფილსი (საფ, 23)-რაონიჩი (კან, 13)
ფერერი (ესპ, 8)-მარეი (ბრიტ, 2)

# ასეც შეიძლება მოხდეს: ქალთა ტურნირზე სენსაციები გრძელდება

# მეოთხედფინალში კონტა vs ჟანგი

ასევე დასრულდა მერვედფინალური ეტაპი ქალებს შორის. და მივიღეთ ერთი უცნაური მეოთხედფინალური წყვილი, რომელიც არაგანთესილმა ჩოგბურთელებმა დააკომპლექტეს. **იოჰანა კონტამ** შეწყვიტა ბრიტანელი ქალების უიღბლო სერია ავსტრალიის ღია პირველობაზე. კერძოდ, ამ ქვეყნის წარმომადგენლები 33 წლის განმავლობაში ვერ გადიოდნენ მელბურნში მეოთხედფინალურ ეტაპზე და ნავსი გუშინ, სწორედ კონტამ გატეხა.

ბრიტანელი თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას რუსი **ეკატერინა მაკაროვას** წინააღმდეგ. პირველ სეტში ბრეიკით იგებდა, მაგრამ დათმო პარტია, მეორე სეტი ისე ჩაატარა, რომ ერთი ბრეიკ-პოინტის შანსიც არ მისცა მეტოქეს, მესამეში კი 5:4-ზე მატჩზე აწვდიდა, მაგრამ ვერ შეძლო შანსის გამოყენება. ყველაფერი მე-13 გეიმში გადაწყდა, რომელშიც ბრიტანელმა პირველივე ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, რის შემდეგაც მატჩზე ისე ჩააწოდა, რომ ქულა არ მისცა მაკაროვას.



იოჰანა კონტა

ამასობაში, გრძელდება ჩინელი **შუაი ჟანგის** ზღაპრული სვლა. ჩოგბურთელმა, რომელსაც აქამდე „დიდი სლემის" ტურნირებზე 14-დან 14-ჯერ ჰქონდა წაგებული პირველი წრე, მეოთხედფინალამდე მიაღწია და წინ აქვს კონტასთან შეხვედრა. ჩინელმა დაამტკიცა, რომ პირველ წრეში **სიმონა ჰალეპის** დამარცხება შემთხვევითობა არ ყოფილა. გუშინ, აზიელმა მორიგი განთესილი ჩამოიცილა გზიდან - მე-15 ნომერს, ამერიკელ **მედისონ კისს** სამ სეტში მოუგო, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კისმა მეორე სეტში ფეხი იტკინა და თვალცრემლიანი ასრულებდა შეხვედრას.

**ვიქტორია აზარენკა** აგრძელებს მთავარი ფავორიტის სტატუსის დამტკიცებას. ბელარუსმა, ამჯერად, ჩეხი **ბარბორა სტრიკოვა** დაამარცხა ორ სეტში. ეს იყო პირველი რთული მატჩი ტურნირის ორგზის ჩემპიონისთვის. სირთულე კი იმაში მდგომარეობდა, რომ აზარენკამ პირველად წააგო ამ ტურნირზე სეტში ოთხი გეიმი - 6:2, 6:4.

ვიქტორიას მორიგი მეტოქე გერმანელი **ანჟელიკ კერბერი** იქნება, ვინც შანსი არ დაუტოვა თანამემამულე **ანიკა ბეკს** - 6:4, 6:0. კერბერი უშანსოდ ჩანს აზარენკასთან. ბელარუსს გერმანელისთვის ექვსიდან ექვსი მატჩი აქვს მოგებული, მათ შორის, სამი კვირის წინ, ბრისბენის ფინალი ორ სეტში.

### ქალები

#### 1/8 ფინალი

**კერბერი (გერ, 7)**-ბეკი (გერ) 6:4, 6:0
**აზარენკა (ბლრ, 14)**-სტრიკოვა (ჩეხ) 6:2, 6:4
**კონტა (ბრიტ)**-მაკაროვა (რუს, 21) 4:6, 6:4, 8:6
**ჟანგი (ჩინ)**-კისი (აშშ, 15) 3:6, 6:3,6:3

#### 1/4 ფინალი

ს. უილიამსი (აშშ, 1)-შარაპოვა (რუს, 5)
ა.რადვანსკა(პოლ,4)-სუარესნავარო(ესპ,10)
კერბერი (გერ, 7)-აზარენკა (ბლრ, 14)
კონტა (ბრიტ)-ჟანგი (ჩინ)

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
დაიბეჭდა სტამბა კოლორში

საპატიო რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე
საკონტაქტო ტელეფონი რედაქციაში
238 84 44; 599 55 48 97

მთავარი რედაქტორი გია თვალაბეიშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28);** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-2015), გია თვალაბეიშვილი (2015-დან)**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**
ტელეფონი: **238 84 44; 238 74 44 (რედაქცია).** ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70;** გაზეთის გამოწერა: **238 26 73.**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608